როგორ მოვემზადოთ ერთიანი

ეროვნული გამოცდებისათვის

ქართული ენა და ლიტერატურა

სავალდებულო გამოცდა

2021

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის
ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება. აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი ---------- 5

2021 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში საკითხთა ჩამონათვალი

I. ქართული ენა ---------- 6

II. ქართული ლიტერატურა ---------- 7

ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები

I. ტექსტის რედაქტირება

ა) დავალებების ნიმუშები ---------- 9

ბ) შეფასების კრიტერიუმები ---------- 14

გ) კომენტარი ---------- 19

II. არგუმენტირებული ესე

ა) დავალებების ნიმუშები ---------- 20

ბ) შეფასების კრიტერიუმები ---------- 24

გ) კომენტარი ---------- 27

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი

ა) დავალებების ნიმუშები ---------- 27

ბ) შეფასების კრიტერიუმები ---------- 75

გ) კომენტარი ---------- 79

შესავალი

წინამდებარე კრებული განკუთვნილია მათთვის, ვინც 2021 წელს აპირებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას. კრებულში მოცემულია საგამოცდო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (საკითხთა ჩამონათვალი) და ტესტური დავალებების ნიმუშები, რომლებიც დაჯგუფებულია დავალებების ტიპების მიხედვით. თითოეულ ჯგუფს წინ უძღვის ინსტრუქცია და ბოლოს ერთვის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები, ასევე ახლავს მცირე კომენტარი.

გირჩევთ ყურადღებით წაიკითხოთ ინსტრუქციები და დავალებების პირობები, გაეცნოთ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც შეფასდება თქვენი ნამუშევრები, გაითვალისწინოთ რეკომენდაციები. ვიმედოვნებთ, რომ ეს კრებული დაგეხმარებათ უკეთ მოემზადოთ გამოცდებისათვის.

შეგახსენებთ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის 2021 წლის საგამოცდო ტესტში 3 დავალება იქნება: I. ტექსტის რედაქტირება (მაქსიმალური ქულა 16); II. არგუმენტირებული ესე (მაქსიმალური ქულა 24 ქ.); III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (მაქსიმალური ქულა 30 ქ.). ტესტის თითოეულ ვარიანტში მოცემული იქნება 2 ტექსტი: ერთი – პოეტური და მეორე – პროზაული. გარდა ამისა, ამ ტექსტთაგან ერთი საპროგრამო ნაწარმოები ან საპროგრამო ნაწარმოების ნაწყვეტი იქნება, ხოლო მეორე – არასაპროგრამო ნაწარმოები, ან ნაწყვეტი არასაპროგრამო ნაწარმოებიდან. თქვენი სურვილისამებრ უნდა აირჩიოთ ამ ორი ტექსტიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ამ ტექსტის ანალიზი დაწეროთ.

2021 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტის მაქსიმალური ქულაა 70, გამოცდისათვის განკუთვნილი დროა 3 საათი და 45 წუთი.

გ ი ს უ რ ვ ე ბ თ წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ს !

2021 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა

ქართულ ენასა და ლიტერატურაში

საკითხთა ჩამონათვალი:

I. ქართული ენა

1. ლექსიკოლოგია:	სიტყვა, მისი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; სიტყვის მნიშვნელობის ცვლა: გაფართოება და დავიწროება; სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, პარონიმები, დიალექტიზმები, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ნასესხები სიტყვები, ბარბარიზმები; სიტყვათა მყარი შეხამებანი; წარმოქმნილი და ძირეული სიტყვები; მარტივი და რთული სიტყვები; სიტყვათა შემოკლებით შეერთება; შემოკლებული დაწერა.
2. სტილისტიკა	სტილის რაობა; ფუნქციური სტილისტიკა; ლექსიკური სტილისტიკა; სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით; პარონიმები, ევფემიზმები, თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები; სტილისტური ხარვეზები: ტავტოლოგია, კალკი, ატროფია (სიტყვის გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით).
3. მორფოლოგია	მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ჯგუფები შინაარსის მიხედვით, საზოგადო და საკუთარ სახელთა ბრუნება; ზედსართავი სახელი, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები, ზედსართავ სახელთა ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად; არსებითი სახელი მსაზღვრელად; რიცხვითი სახელი, რიცხვითი სახელების ჯგუფები, რიცხვითი სახელების ბრუნება; ნაცვალსახელი, ნაცვალსახელთა ჯგუფები, ნაცვალსახელთა ბრუნება; ზმნა, ზმნის პირი და რიცხვი, ზმნისწინი, დრო, ასპექტი, კილო, გარდამავლობა, მწკრივები და სერიები, გვარი, ქცევა, კონტაქტი; სახელზმნა; ზმნიზედა; თანდებული; კავშირი; ნაწილაკი; შორისდებული.
4. სინტაქსი	წინადადება; სინტაქსური წყვილები, სინტაქსური ურთიერთობის სახეები; წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით; წინადადების წევრები; ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით; წინადადების სახეები აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადების სახეები; შერწყმული წინადადება, ერთგვარ წევრთა შეერთება; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; რთული წინადადება, რთული თანწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და მარტივი წინადადებებისა – რთულ ქვეწყობილად; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.
5. პუნქტუაცია	სასვენი ნიშნები; სასვენ ნიშანთა ხმარების წესები.

II. ქართული ლიტერატურა

1. მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურათ-მცოდნეობითი ტერმინები	დრამა, ეპოსი, ლირიკა; პოეზია, პროზა; ანდაზა, აფორიზმი, ბიოგრაფია, ელეგია, თქმულება, იგავ-არაკი, კომედია, ლეგენდა, ლექსი, მემუარი, მითი, მოთხრობა, მუხამბაზი, ნოველა, პოემა, პუბლიცისტიკა, რომანი, სონეტი, ტრაგედია, ტრიოლეტი, შაირი; აბზაცი, ეპიგრაფი, ეპილოგი, თემა, იდეა, კომპოზიცია, პროლოგი, რითმა, რიტმი, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ფაბულა, ფინალი; დიალოგი, მონოლოგი, პერიფრაზი, ციტატა; ლირიკული გმირი, პეიზაჟი, პერსონაჟი, პორტრეტი; ალეგორია, ალიტერაცია, ალუზია, გაპიროვნება, გროტესკი, ეპითეტი, ირონია, იუმორი, მეტაფორა, მოტივი, სარკაზმი, სატირა, ტროპი, შედარება, ხატოვანი თქმა, ჰიპერბოლა; მხატვრული ენა, მხატვრული სახე.
2. ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები	სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.
3. იაკობ ხუცესი	„შუშანიკის წამება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
4. იოვანე საბანისძე	„აბო თბილელის წამება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
5. გიორგი მერჩულე	„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
6. შოთა რუსთველი	„ვეფხისტყაოსანი“ („ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა ნ. ნათაძისა): „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირამდე“, „დასასრული“.
7. სულხან-საბა ორბელიანი	„სიბრძნე-სიცრუისა“, მემკვიდრის აღზრდის ამბავი; ლეონის თავგადასავალი. იგავ-არაკები: „მეფე ხორასნისა“, „ძუნწი და ვაჭარი“, „უგუნური მცურავი“, „სამნი ბრმანი“, „მეფუნდუკე და დიდვაჭარი“.
8. დავით გურამიშვილ	„დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“, „ქართველ უფალთა მეგვარტომობის იგავი“, „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დავით გურამისშვილის ლეკთაგან დატყოება“, „ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, ამისი მოთქმა დავითისაგან“, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“, „შველა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში“, „დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“.
9. ალექსანდრე ჭავჭავაძე	ლექსი „გოგჩა“.
10. გრიგოლ ორბელიანი	ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „საღამო გამოსალმებისა“, „პასუხი შვილთა“.
11. ნიკოლოზ ბარათაშვილი	ლექსები: „არ უკიჟინო, სატრფოო...“, „მერანი“, „ცისა ფერს“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ვპოვე ტაძარი“; პოემა „ბედი ქართლისა“.
12. ილია ჭავჭავაძე	ლექსები: „ბედნიერი ერი“, „პასუხის პასუხი“, „ჩემო კალამო“; პოემები: „განდეგილი“, „აჩრდილი“ – VII თავი; მოთხრობები: „კაცია-ადამიანი?!“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“; სტატია „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“
13. აკაკი წერეთელი	ლექსები: „აღმართ-აღმართ“, „განთიადი“, „სულიკო“, „ქებათა ქება (სხვებმა

	სვან ღვინო...)“; პოემები: „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“.
14. ალექსანდრე ყაზბეგი	მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.
15. ვაჟა-ფშაველა	ლექსები: „ჩემი ვედრება“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „კაი ყმა“, „იას უთხარით ტურფასა“; პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“; მოთხრობა „ამოდის, ნათდება“; პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.
16. დავით კლდიაშვილი	მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.
17. ნიკო ლორთქიფანიძე	მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“.
18. კონსტანტინე გამსახურდია	რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.
19. მიხეილ ჯავახიშვილი	რომანი „ჯაყოს ხიზნები“.
20. პოლიკარპე კაკაბაძე	პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ (I და IV მოქმედებები).
21. გალაკტიონ ტაბიძე	ლექსები: „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „თოვლი“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“, „მშობლიური ეფემერა“.
21. ტიციან ტაბიძე	ლექსები: „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“.
23. პაოლო იაშვილი	ლექსი „პოეზია“.
24. გიორგი ლეონიძე	ლექსები: „ნინოწმინდის ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“.
25. გურამ რჩეულიშვილი	მოთხრობა „ალავერდობა“.
26. ანა კალანდაძე	ლექსი „მკვდართა მზე ვარ“.
27. ჯემალ ქარჩხაძე	მოთხრობა „იგი“.
28. გურამ დოჩანაშვილი	მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები

I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ა) დავალებების ნიმუშები:

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

1.

არქეოლოგებმა ტუტანჰამონის სამარხში აღმოაჩინეს ნივთი რომელიც ფარაონის თვალებს მზის სხივების ზემოქმედებიდან იცავდა. ეს იყო ზურმუხტის ორი უთხელესი ფირფიტა, რომლებსაც ბრინჯაოს რკალი აერთებდა. უნდა აღინიშნოს რომ ასეთი ნივთების აღმოჩენა სხვა სამარხებშიც მოხდა. როგორც სჩანს მას ასევე იყენებდა ეგვიპტის წარჩინებული საზოგადოების არაერთი წარმომადგენლები.

საუკუნეების განმავლობაში ულტრაიისფერ სხივებისაგან თვალების დასაცავად სხვადასხვა ტიპის არაერთი ნივთი შეიქმნა თუმცა სათვალის დიზაინზე მუშაობა მე-XX საუკუნემდე არავის უფიქრია. სათვალის პოპულარობა კოკო შანელის სახელს უკავშირდება. 1920 წელს, ზღვაზე დასვენების დროს, მას მზისაგან კანი ძალიან დაწვია. შანელის მიბაძვით ლამის მთელმა თეთრ-კანიანმა სამყარომ გადაწყვიტა გარუჯვა. საჭირო გახდა მცხუნვარე მზისაგან თვალების დაცვა. მზის სათვალე, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ სამედიცინო დანიშნულებისა იყო, თანდათან მოდურ აქსესუარად იქცა.

1936 წელს ამერიკაში საგანგებოდ პილოტებისათვის შექმნეს მსუბუქი სათვალე, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს უკვე ყველა ამერიკელ ჯარისკაცს ეკეთა. შეიძლება ითქვას ის დღემდე ერთ-ერთი ყველაზე მოდური მზის სათვალეა მსოფლიოში.

2.

ჰალსტუხის მსგავსი აქსესუარი პირველად ძველ ეგვიპტეში გვხვდება. ეს იყო ქსოვილის ოთხ-კუთხა ნაჭერი, რაც მამაკაცებს მხრებზე ჰქონდათ მოსხმული და სიმბოლურად მფლობელის სოციალურ სტატუსზე მიანიშნებდა. თანამედროვე ჰალსტუხის წინამორბედად ძველი რომის ლეგიონერების ყელსახვევები არის მიჩნეული.

მამაკაცის ჩაცმულობის ეს მნიშვნელოვანი ატრიბუტი განსაკუთრებით პოპულარული 1635 წლიდან ხდება. ლუდოვიკო მეცამეტემ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცის გამო ხორვატი მეომრები რომლებიც ფრანგულ ჯარში მსახურობდნენ სამეფო კარზე მიიწვია. ხორვატებს კისერზე პატარა გაკვანძული ყელსახვევები ეკეთათ რაც ერთგვარად მათი განმასხვავებელი ნიშანი იყო. ეს აქსესუარი ისე მოწონებია მეფეს, რომ თავადაც გაუკეთებია ამის მსგავსი რითაც საფუძველი დაუდო ჰალსტუხების მოდას საფრანგეთში. მალე ის მრავალ ევროპულ

ქვეყნებში გახდა პოპულარული. ყელსახვევი აბრეშუმის, ატლასისა და შალის ქსოვილებიდან მზადდებოდა. სამრეწველო რევოლუციამ ჩაცმის ახალი ეტიკეტი მოითხოვა და ძველი ყელსახვევი უფრო ადვილად მოსარგებმა თანამედროვე ჰალსტუხმა შესცვალა.

დღეისათვის ჰალსტუხი შეგხვდებათ როგორც კლასიკური ისე თავისუფალ სტილის ტანსაცმელის მოყვარულთა გარდერობში.

3.

ქოლგა უხსოვარი დროიდან გამოიყენება. მისი თავდაპირველი დანიშნულება მცხუნვარე მზისაგან ადამიანის დაცვა იყო. ძველ ეგვიპტეში მას პალმის ფოთლებისა და ფერადი ბუმბულებიდან ამზადებდნენ და ძალაუფლების სიმბოლოდ სთვლიდნენ. პირველ საუკუნეში ჩინეთში გამოიგონეს დასაკეცი საჩრდილობელი, რომელიც თანამედროვე ქოლგას გავდა. მოკლე მილზე დამაგრებული იყო ჯოხები, რომლებიც ღერძის გარშემო ადიჩამოდიოდა.

იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ ქოლგას შუა საუკუნეების ევროპაშიც იყენებდნენ მწირია. რაც შეეხება მის დასაკეც ვარიანტს იგი საერთოდ არ არის ცნობილი. ქოლგის არსებობის პირველი კვალი მე-17-ე საუკუნეში გვხვდება, როცა კათოლიკე მისიონერების მიერ მოხდა ჩინეთიდან ქოლგების სუვენირებად ჩამოტანა. ეს ნივთი ფრანგებსა და იტალიელებს ძალიან მოეწონათ და მზესა თუ წვიმაში მისი გამოყენება დაიწყეს.

ქოლგა როგორც ქალის საჩრდილობელი ინგლისშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა მამაკაცებისათვის იგი მიუღებელი აღმოჩნდა რადგან ფრანგულ ქარაფშუტობის სიმბოლოდ იქნა აღქმული. ეს სტერეოტიპი დაამსხვრია ერთმა მოგზაურმა, ვისაც მალე მიმბაძველები გამოუჩნდნენ და შავი ქოლგა საქმიანი მამაკაცის განუყრელ ატრიბუტათ იქცა.

4.

მარაო ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აქსესუარია. მისი სხვადასხვა სახეობა უძველეს დროიდან გამოიყენება. ძველ ეგვიპტეში მას ფარაონთა სიდიადის სიმბოლოდ სთვლიდნენ. ტუტანჰამონის აკლდამაში ნაპოვნია რამდენიმე დიდი და პატარა მარაოები. ვარაუდობენ რომ ჩინეთში მარაო ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეებში გაჩნდა. გარდა ჩინეთისა, მარაოს წარმოების ტრადიციებით ცნობილია იაპონია სადაც დასაკეცი მარაო გამოიგონეს. ეს მარაოები ლერწამისა და აბრეშუმიდან მზადდებოდა.

XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში ვაჭრებისა და მისიონერების მიერ მოხდა ეგზოტიკური ქვეყნებიდან მარაოს სუვენირებად ჩამოტანა ევროპაში. აღმოსავლურმა მარაომ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. ევროპელ ოსტატებს მარაოს დამზადება ხელოვნების რანგში აყავდათ. ისინი მარაოებს მაქმანისა და აბრეშუმის ქსოვილისაგან ამზადებდნენ და ძვირფასი თვლებით, ოქროთი და ვერცხლით ამკობდნენ.

საქართველოში ეს აქსესუარი XIX საუკუნეში გაჩნდა როცა ქართველ არისტოკრატ ქალთა ყოფაშიც დამკვიდრდა არატრადიციული ევროპული სამოსი და, ცხადია მარაოც. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში თვალსაჩინო ადგილი უკავია მარაოების კოლექციას რაც უდავოდ გამოირჩევა მაღალ-მხატვრული ღირებულების ექსპონატებს შორის.

5.

კახეთის ისტორიული ქალაქი გრემი მდინარე ინწობის ნაპირზე იმყოფებოდა. ვარაუდობენ, რომ მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე უკვე ბრინჯაოს ხანაში უნდა ყოფილიყო. მიუხედავათ იმისა, რომ გრემი კახეთის დედაქალაქი იყო მის ისტორიაზე, თვით ქალაქზე, მის იერსახეზე მხოლოდ რამდენიმე მწირი ცნობები მოგვეპოვება. ერთი კი ცხადია დღემდე შემორჩენილი ნაგებობები და არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ არსებობის ხან მოკლე პერიოდში გრემი აყვავებული,

ფრიად მნიშვნელოვან ხუროთმოძღვრული ნაგებობებით დამშვენებული ქალაქი ყოფილა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სპარსული და ჩინური კერამიკის ნიმუშები რაც არქეოლოგიური გათხრებით იქნა მოპოვებული. იმას, რომ ქალაქს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია იმ დროის მოწინავე ქვეყნებთან, სწორედ ამ მასალებით დასტურდება.

1614 წელს კახეთი შაჰ-აბასს დაულაშქრია და სასტიკად აუოხრებია. შაჰის რისხვა გრემსაც დატყდომია თავს. როგორც როსტომ მეფის მემატიანე მოგვიანებით სწერდა, გრემის ერთ დროს მშვენიერი სასახლეები ნადირთა სადგომად იყო ქცეული. გრემმა როგორც კახეთის სატახტო ქალაქმა კიდევ რამდენიმე ათეულ წელს იარსება და შემდეგ პირველობა თელავს დაუთმო.

6.

არქეოლოგიურმა შესწავლამ ცხადყო, რომ უფლისციხის ტერიტორია ძველი წელთ აღრიცხვის VII საუკუნიდან ყოფილა დასახლებული. მოგვიანებით, მოსახლეობის ზრდისა და ეკონომიკის განვითარების შედეგად, ქალაქის დაარსებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ჩვენმა წინაპრებმა უფლისციხე გამოჰკვეთეს კლდეში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. სამხრეთიდან და დასავლეთიდან იგი ბუნებრივათ იყო დაცული, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან კი გამაგრება ჭირდებოდა. სწორედ ამიტომ კლდე გაუჭრიათ, ვრცელი თხრილი გაუკეთებიათ და მის გასწვრივ, ქალაქის მხარეს მაღალი და სქელი კედელი აღუმართიათ. ასე გამაგრებული ქალაქი მომხდურთათვის უთუოდ ძნელად ასაღები იქნებოდა.

VIII საუკუნიდან უფლისციხე ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი ხდება, კერძოდ იგი განსაკუთრებულ როლს თამაშობს არაბებიდან ქვეყნის განთავისუფლების პროცესში. ფეოდალურ საქართველოს გაერთიანების შემდეგ ქალაქმა თანდათან დაკარგა ფუნქცია. ამას თან დაერთო მონღოლთა დამანგრეველი შემოსევები. ურიცხვი მტრის განუწყვეტელმა თავდასხმებმა უფლისციხე ისე დაასუსტა, რომ სულ გაპარტახდა. მოგვიანებით უფლისციხეს რომელიც მთლიანად დაცლილი იყო მოსახლეობისაგან მხოლოდ მტრის შემოსევის დროს ცოცხლდებოდა. ამ დროს მას ახლომახლო სოფლების გლეხობა აფარებდნენ თავს.

7.

თანამედროვე დმანისის ახლოს არის ამავე სახელწოდების ისტორიული ქალაქის ნანგრევები. ქვემო ქართლის ეს ტერიტორია უძველესი დროიდან ქრისტიანულ კულტურის ძლიერი ცენტრი იყო. VI-VIII საუკუნეებში აქ საეპისკოპოსო კათედრალი ყოფილა. განსაკუთრებული მდებარეობის გამო დმანისის როგორც სტრატეგიული პუნქტის მნიშვნელობა სულ უფრო დიდდებოდა. IX საუკუნის ისტორიულ წყაროებში იგი უკვე ქალაქად იხსენიება. არაბობის დროს აქ ცოტა ხანით ამირაც კი მჯდარა. დავით აღმაშენებელმა, რომელმაც დიდგორის ომში სძლია მტერს თბილისის შემდეგ დმანისიც გაანთავისუფლა.

დმანისი და მისი მიმდებარე ტერიტორია ბევრჯერ გამხდარა გარეშე მტრის თავდასხმის ობიექტი. საუკუნეების განმავლობაში ქალაქს მრავალი გასაჭირი უნახია მაგრამ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იგი თემურლენგის შემოსევების დროს აღმოჩნდა. მოგვიანებით მას არც ოსმალოთა და სპარსელთა რბევა მოკლებია. XVIII საუკუნის ბოლოს დმანისს დრო და დრო ლეკებიც ესხმოდა თავს. მტრების განუწყვეტელი შემოსევების გამო ეკონომიკა მთლიანად მოიშალა რისთვისაც ქალაქი სულ გაპარტახდა და გაუკაცრიელდა. მოსახლეობიდან თითქმის მთლიანად დაცლილი დმანისი მოგვიანებით ნანგრევებად იქცა.

8.

სამშვილდე ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ქალაქია საქართველოში. იგი მდებარეობდა ისტორიულ ქვემო ქართლში ახლანდელი სამშვილდის მახლობლად. მისი თავდაპირველი

სახელწოდებაა „ციხე ორბისა“, თუმცა ის, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, ზოგჯერ აგრეთვე „დედაციხედაც“ მოიხსენიებდნენ.

სამშვილდე ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში უკვე სასახელო ქალაქი იყო. იგი რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში ისტორიულ ქვემო ქართლის საიმედო სიმაგრეს წარმოადგენდა. ჩვენს წინაპრებს სამშვილდე ორ მდინარეს შორის მოქცეულ კონცხზე გაუშენებია. ეს ადგილი სამი მხრიდან ძნელად მისადგომი იყო მეოთხიდან კი გამაგრება სჭირდებოდა. ამ მიზნით იგი ხუთმეტრიანი კედელით ჩაუკეტიათ. ქალაქის ბედი ხშირად ამ კედელთან წყდებოდა ხოლმე იმისათვის რომ მტრების პირველი დარტყმა სწორედ მასზე მოდიოდა. მართალია, ქალაქი მომხდურთა ხელშიც აღმოჩენილა, მაგრამ კედელს ამის კვალიც არ დატყობია. როგორც ჩანს სამშვილდეში შეღწევა სხვა გზით ხერხდებოდა. მტრის შემოსევების გამო ქალაქი თან და თან სუსტდებოდა თუმცა ქართლის მნიშვნელოვან სიმაგრეთ მაინც რჩებოდა. დღეისათვის სამშვილდე მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.

9.

უძველესი საყურე, რომელიც შუამდინარეთში აღმოაჩინეს დაახლოებით ოთხიათასხუთასი წლისაა. ვარაუდობენ, რომ საყურე ჯარისკაცს ეკუთვნოდა და მას ჯარების სახეობის გამანსხვავებელი ნიშნის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ძველ ეგვიპტეში საყურე მფლობელის მაღალ სოციალურ სტატუსზე მიანიშნებდა ხოლო ძველი რომაელები მას მონებისათვის ნიშნის დასადებათ იყენებდნენ. სამკაულის ფუნქცია საყურემ ანტიკურ სამყაროშივე შეიძინა. ამ დროიდან, სიმბოლურ დატვირთვასთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობოდა მის ესთეტიკურ მხარესაც.

ყურის გახვრეტის ტრადიციას, რომლის გავრცელებასაც ადგილი ჰქონდა აფრიკის ტომებში ევროპელი კოლონიზატორები ველურობის გამოხატულებად აღიქვამდნენ. აღსანიშნავია, რომ ევროპელ მეზღვაურებსაც ეკეთათ ყურზე ოქროს რგოლი რომელსაც მისთვის განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა. მეზღვაურებს ჯეროდათ, რომ, თუკი ზღვაში დაიღუპებოდნენ და გვამს ტალღა ნაპირზე გამორიყავდა ოქროს საყურეს საფასურად გარდაცვლილს ქრისტიანულ წესით დაკრძალავდნენ.

XIX საუკუნეში საყურე მხოლოდ სამკაულის დანიშნულებით გამოიყენებოდა და ძირითადად ქალბატონებისთვის იყო განკუთვნილი. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საყურემ ახალი ფუნქცია შეიძინა, კერძოდ ის მეამბოხე ახალგაზრდებისათვის პროტესტის გამოხატულებად და თვით-დამკვიდრების ერთგვარ საშუალებად იქცა.

10.

სხეულის ამა თუ იმ ნაწილის გახვრეტისა და მასში რგოლის ან სხვა ფორმის ნივთის ჩამაგრების ტრადიცია ძალიან ძველია. ზოგი ამას თავისი სოციალური სტატუსის ხაზგასასმელად აკეთებდა ზოგს კი წამდა, რომ ეს ნივთი ბოროტი ძალებისაგან მის დაცვას ახდენდა. ეგვიპტელ დიდ-გვაროვნებს ყურებში სპეციალური საცობები ეკეთათ ჭიპის გახვრეტის პატივი კი მხოლოდ ფარაონებს ჰქონდათ. მაიას ტომებსა და აცტეკებში გავრცელებული იყო ენის გახვრეტის რიტუალი. მათი რწმენით, სისხლს რომელიც ამ დროს ადამიანს ენისაგან სდიოდა ღმერთებთან მისი დაახლოება შეეძლო.

XX საუკუნის ბოლომდე სხეულის სხვადასხვა ნაწილის გახვრეტა დასავლურ კულტურისათვის თითქმის უცნობი იყო. მისი პოპულარიზაცია უკავშირდება პანკების მოძრაობას რომლის მიზანიც საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და პროტესტის გამოხატვა იყო. ახალგაზრდობამ ყურების, წარბების, ტუჩებისა და ცხვირის გახვრეტა დაიწყეს.

დღეს ასეთი აქსესუარი თვითგამოხატვის ერთგვარ საშუალებად იქცა და, ამასთანავე, მან სამკაულის ფუნქციაც შეიძინა. უნდა ავღნიშნოთ რომ ამგვარათ სხეულის შემკობა

ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სულაც არ არის, რადგან ამ პროცედურას შესაძლოა გართულებები მოჰყვეს.

11.

არქეოლოგებმა ტუტანჰამონის სამარხში აღმოაჩინეს ტილოს ხელთათმანი რასაც ფოთლების ორნამენტები ამშვენებდა და ზონრებით მაჯასთან იკვრებოდა. ეგვიპტურ კულტურაში ის ადამიანის სოციალურ სტატუსზე მიანიშნებდა. ხელთათმანი განსაკუთრებით პოპულარული გახდა შუა საუკუნეებში. მამაკაცებისათვის ეს აქსესუარი წარმატების სიმბოლოთ იქცა. სასულიერო პირებს ეპისკოპოსად კურთხევისას თეთრ ხელთათმანს გადაცემდნენ. აუცილებელი ატრიბუტი იყო ის რაინდებისათვის ფიცის დადების ცერემონიალის დროს. მოსამართლეები პროცესების წარმართვას უხელთათმნოდ არ ახდენდნენ. აღსანიშნავია რომ მოქალაქეები მას მხოლოდ განსაკუთრებული პრივილეგიის მინიჭების შემთხვევაში იცვავდნენ.

მოგვიანებით ხელთათმანი მანდილოსნების გარდერობშიც გამოჩნდა. ნაპოლეონი რომლის პირად კოლექციაში 240 წყვილი ინახებოდა ხელთათმანების ჩაცმას სამეფო კარის ქალბატონებსაც აიძულებდა. იმ დროს ძალიან პოპულარული იყო აბრეშუმისა და ტილოს ხელთათმანები თუმცა საუკეთესოდ მაინც ტყავიდან დამზადებული მიიჩნეოდა.

XX საუკუნეში ხელთათმანი სავალდებულო აქსესუარი გახდა. 1961 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ ეთიკის სახელმძღვანელოს მიხედვით არცერთი ქალი საზოგადოებაში უხელთათმნოდ არ უნდა გამოჩენილიყვნენ. მათთვის ასევე დაუშვებელი იყო ამ აქსესუარის გარეშე ცეკვა და ხელის ჩამორთმევა.

12.

უძველეს კულტურებში თავსაბურავს მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონია და იგი პატრონის საზოგადოებრივ სტატუსზე მიუთითებდა. ანტიკურ ხანაში ქუდი საზოგადოებრივ იერარქიაში ადამიანის ადგილს შეესაბამებოდა.

შუა საუკუნეების ევროპაში ქალებს რომლებიც სახლის ზღურბლს თავ-შიშველი გადააბიჯებდნენ სასტიკად სჯიდნენ. ინდივიდუალურობის შესანარჩუნებლად ქალებმა ფანტაზია გამოიყენეს და დროთა განმავლობაში ერთფეროვანი ქუდების ნაცვლათ ამ თავსაბურავის მრავალი ვარიაცია გაჩნდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარიდან ფრინველის ფიტულებით, ფოთლებითა თუ ტოტებით მორთული ქუდები შემოვიდა მოდაში რის შედეგადაც ფრინველის ზოგი სახეობა გადაშენების ზღვარზედაც კი აღმოჩნდნენ. XX საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა კანონმდებლობით მოახდინეს ბუმბულით ვაჭრობის აკრძალვა.

მეორე მსოფლიო ომმა საზოგადოებაში ქალის როლი საგრძნობლად შეცვალა, რამაც ჩაცმის სტილზედაც იქონია გავლენა. 50-იან წლებიდან ქუდი, როგორც სავალდებულო თავსაბურავი თანდათან სხვადასხვა ფორმის თავსაფარმა ჩაანაცვლა. XX საუკუნის დასასრულს ტანსაცმლის დიზაინერებმა კვლავ შესძლეს ქალების დარწმუნება რომ ის აუცილებელი აქსესუარი, რასაც საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა შეეძლო სწორედ ქუდი იყო.

13.

ძველ ეგვიპტესა და ანტიკურ საბერძნეთში მიაჩნდათ, რომ მამაკაცის გარუჯული კანი მის სიძლიერეზე მეტყველებდა ხოლო ქალების კანი, პირიქით ღია ფერისა უნდა ყოფილიყო. XX საუკუნემდე მაღალი წრის ყველა ქალბატონი მზისაგან თავის დასაცავად ფართო-ფარფლებიან ქუდებსა და ქოლგებს იყენებდნენ. ფერმკრთალი სახე ფუფუნებასა და დახვეწილ გემოვნებაზე

მინიშნებას ახდენდა ხოლო გარუჯული კანი ადამიანის დაბალ სოციალურ წარმომავლობას უსვავდა ხაზს.

გარუჯვა მოდური მოგვიანებით გახდა. ეს კოკო შანელის სახელს უკავშირდება. ზღვაზე დასვენების დროს მას მზისაგან კანი ძალიან დასწვია. შანელის მიბაძვით მისმა თაყვანისმცემლებმაც მოინდომეს გარუჯვა. რაკი ეს მომხიბვლელობის მახასიათებლათ იქნა მიჩნეული დაიწყეს გარუჯვის ეფექტის ხელოვნურად მიღების გზების ძიება. სპეციალური საშუალებები რომელთა სისტემატური მოხმარებისაგან კანი ნარინჯისფერი ხდებოდა კოსმეტიკურ პროდუქციის მწარმოებელი კომპანიებისათვის შემოსავალის წყაროდ იქცა.

XX საუკუნის მიწურულს მოდის მიმდევრები სოლარიუმებში ირუჯებოდნენ ულტრაიისფერი ნათურების მეშვეობით. დღეისათვის გარუჯვის ეფექტის მისაღებად სპეციალურ ნივთიერებას იყენებენ, რათა უკვე დიდი ინფორმაცია დაგროვდა მზის სხივების ჭარბი ზემოქმედებისა და გამოსხივების მავნებლობის შესახებ.

14.

კანქვეშ საღებავის შეყვანის გზით სხეულის მოხატვა ადამიანმა უძველეს დროიდან დაიწყო. პირველყოფილ ხალხებში ეს რელიგიური წარმოდგენების ანარეკლი იყო. სხეულის მოხატვის ხელოვნებამ განსაკუთრებით მაღალ ესთეტიკურ დონეს აზიის ქვეყნებში მიაღწია.

ამგვარი მოხატულობის მიმართ დამოკიდებულება დროთა განმავლობაში იცვლებოდა. გვიანდელ რომსა და შუა საუკუნეების ევროპაში ადგილი ჰქონდა მის გამოყენებას რათა სამხედრო ტყვეებისა და დამნაშავეებისათვის საგანგებო ნიშანი დაედოთ. XX საუკუნეშიც კი საზოგადოების დიდი ნაწილი არ წყალობდა ადამიანებს რომელთაც ტანი ამგვარად ჰქონდათ მოხატული რათა ის ცხოვრების გარკვეულ სტილზე მიანიშნებდა. 1990 წელიდან ის ფართოთ გავრცელდა და თან და თან ძალიან მოდური გახდა.

დღეს ეს მოხატულობა სრულებითაც აღარ წარმოადგენს სამარცხვინო „დაღს“ პირიქით, მან ესთეტიკური ფუნქციაც კი შეიძინა რის გამოც საკუთარი სხეულის ამგვარად დამშვენებას არაერთი ადამიანი სცდილობს. ის გავრცელებულია ტრადიციების მიმდევართა შორისაც. სხეულის ამგვარი მოხატულობა ხშირად სხვებისათვის დაფარულიც კია მაგრამ ის მაინც თვითგამოხატვის თამამ საშუალებად და ექსტრავაგანტურ აქსესუარად არის მიჩნეული.

ბ) შეფასების კრიტერიუმები

I. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები, მექანიკური შეცდომები ---------- *9ქ.*
ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (9) აკლდება თითო ქულა.

II. სტილისტური ხარვეზები და ტექსტური უზუსტობები ----------*2ქ.*
ამ ტიპის ყოველ ხარვეზსა თუ უზუსტობაზე მაქსიმალურ შეფასებას (2) აკლდება თითო ქულა.

III. პუნქტუაციური შეცდომები ---------- *5ქ.*
ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (5) აკლდება თითო ქულა.

1.

არქეოლოგებმა ტუტანჰამონის სამარხში აღმოაჩინეს ნივთი, რომელიც ფარაონის თვალებს მზის სხივების ზემოქმედებისაგან იცავდა. ეს იყო ზურმუხტის ორი უთხელესი ფირფიტა, რომლებსაც ბრინჯაოს რკალი აერთებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ნივთები სხვა სამარხებშიც აღმოაჩინეს. როგორც ჩანს, მას ასევე იყენებდა ეგვიპტის წარჩინებული საზოგადოების არაერთი წარმომადგენელი.

საუკუნეების განმავლობაში ულტრაიისფერი სხივებისაგან თვალების დასაცავად სხვადასხვა ტიპის არაერთი ნივთი შეიქმნა, თუმცა სათვალის დიზაინზე მუშაობა XX საუკუნემდე არავის უფიქრია. სათვალის პოპულარობა კოკო შანელის სახელს უკავშირდება. 1920 წელს, ზღვაზე დასვენების დროს, მას მზისაგან კანი

ძალიან დასწვია. შანელის მიბაძვით ლამის მთელმა თეთრკანიანმა სამყარომ გადაწყვიტა გარუჯვა. საჭირო გახდა მცხუნვარე მზისაგან თვალების დაცვა. მზის სათვალე, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ სამედიცინო დანიშნულებისა იყო, თანდათან მოდურ აქსესუარად იქცა.

1936 წელს ამერიკაში საგანგებოდ პილოტებისათვის შექმნეს მსუბუქი სათვალე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს უკვე ყველა ამერიკელ ჯარისკაცს ეკეთა. შეიძლება ითქვას, ის დღემდე ერთ-ერთი ყველაზე მოდური მზის სათვალეა მსოფლიოში.

2.

ჰალსტუხის მსგავსი აქსესუარი პირველად ძველ ეგვიპტეში გვხვდება. ეს იყო ქსოვილის ოთხკუთხა ნაჭერი, რომელიც მამაკაცებს მხრებზე ჰქონდათ მოსხმული და სიმბოლურად მფლობელის სოციალურ სტატუსზე მიანიშნებდა. თანამედროვე ჰალსტუხის წინამორბედად ძველი რომის ლეგიონერების ყელსახვევები არის მიჩნეული.

მამაკაცის ჩაცმულობის ეს მნიშვნელოვანი ატრიბუტი განსაკუთრებით პოპულარული 1635 წლიდან ხდება. ლუდოვიკო მეცამეტემ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცის გამო ხორვატი მეომრები, რომლებიც ფრანგულ ჯარში მსახურობდნენ, სამეფო კარზე მიიწვია. ხორვატებს კისერზე პატარა გაკვანძული ყელსახვევები ეკეთათ, რაც ერთგვარად მათი განმასხვავებელი ნიშანი იყო. ეს აქსესუარი ისე მოსწონებია მეფეს, რომ თავადაც გაუკეთებია ამის მსგავსი, რითაც სათავე დაუდო (საფუძველი ჩაუყარა) ჰალსტუხების მოდას საფრანგეთში. მალე ის მრავალ ევროპულ ქვეყანაში გახდა პოპულარული. ყელსახვევი აბრეშუმის, ატლასისა და შალის ქსოვილებისაგან მზადდებოდა. სამრეწველო რევოლუციამ ჩაცმის ახალი ეტიკეტი მოითხოვა და ძველი ყელსახვევი უფრო ადვილად მოსარგებმა თანამედროვე ჰალსტუხმა შეცვალა.

დღეისათვის ჰალსტუხი შეგხვდებათ როგორც კლასიკური, ისე თავისუფალი სტილის ტანსაცმლის მოყვარულთა გარდერობში.

3.

ქოლგა უხსოვარი დროიდან გამოიყენება. მისი თავდაპირველი დანიშნულება მცხუნვარე მზისაგან ადამიანის დაცვა იყო. ძველ ეგვიპტეში მას პალმის ფოთლებისა და ფერადი ბუმბულებისაგან ამზადებდნენ და ძალაუფლების სიმბოლოდ თვლიდნენ. პირველ საუკუნეში ჩინეთში გამოიგონეს დასაკეცი საჩრდილობელი, რომელიც თანამედროვე ქოლგას ჰგავდა. მოკლე მილზე დამაგრებული იყო ჯოხები, რომლებიც ღერძის გარშემო ადი-ჩამოდიოდა.

იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ ქოლგას შუა საუკუნეების ევროპაშიც იყენებდნენ, მწირია. რაც შეეხება მის დასაკეც ვარიანტს, იგი საერთოდ არ არის ცნობილი. ქოლგის არსებობის პირველი კვალი მე-17 საუკუნეში გვხვდება, როცა კათოლიკე მისიონერებმა ჩინეთიდან ქოლგები სუვენირებად ჩამოიტანეს. ეს ნივთი ფრანგებსა და იტალიელებს ძალიან მოეწონათ და მზესა თუ წვიმაში მისი გამოყენება დაიწყეს.

ქოლგა, როგორც ქალის საჩრდილობელი, ინგლისშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა მამაკაცებისათვის იგი მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან ფრანგული ქარაფშუტობის სიმბოლოდ იქნა აღქმული. ეს სტერეოტიპი დაამსხვრია ერთმა მოგზაურმა, რომელსაც მალე მიმბაძველები გამოუჩნდნენ და შავი ქოლგა საქმიანი მამაკაცის განუყრელ ატრიბუტად იქცა.

4.

მარაო ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აქსესუარია. მისი სხვადასხვა სახეობა უძველესი დროიდან გამოიყენება. ძველ ეგვიპტეში მას ფარაონთა სიდიადის სიმბოლოდ თვლიდნენ. ტუტანჰამონის აკლდამაში ნაპოვნია რამდენიმე დიდი და პატარა მარაო. ვარაუდობენ, რომ ჩინეთში მარაო ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეებში გაჩნდა. გარდა ჩინეთისა, მარაოს წარმოების ტრადიციებით ცნობილია იაპონია, სადაც დასაკეცი მარაო გამოიგონეს. ეს მარაოები ლერწმისა და აბრეშუმისაგან მზადდებოდა.

XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში ვაჭრებმა და მისიონერებმა ეგზოტიკური ქვეყნებიდან მარაო სუვენირებად ჩამოიტანეს ევროპაში. აღმოსავლურმა მარაომ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. ევროპელ ოსტატებს მარაოს დამზადება ხელოვნების რანგში აჰყავდათ. ისინი მარაოებს

მაქმანისა და აბრეშუმის ქსოვილისაგან ამზადებდნენ და ძვირფასი თვლებით, ოქროთი და ვერცხლით ამკობდნენ.

საქართველოში ეს აქსესუარი XIX საუკუნეში გაჩნდა, როცა ქართველ არისტოკრატ ქალთა ყოფაშიც დამკვიდრდა არატრადიციული ევროპული სამოსი და, ცხადია, მარაოც. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში თვალსაჩინო ადგილი უკავია მარაოების კოლექციას, რომელიც უდავოდ გამოირჩევა მაღალმხატვრული ღირებულების ექსპონატებს შორის.

5.

კახეთის ისტორიული ქალაქი გრემი მდინარე ინწობის ნაპირზე მდებარეობდა. ვარაუდობენ, რომ მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე უკვე ბრინჯაოს ხანაში უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ გრემი კახეთის დედაქალაქი იყო, მის ისტორიაზე, თვით ქალაქზე, მის იერსახეზე მხოლოდ რამდენიმე მწირი ცნობა მოგვეპოვება. ერთი კი ცხადია, დღემდე შემორჩენილი ნაგებობები და არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ არსებობის ხანმოკლე პერიოდში გრემი აყვავებული, ფრიად მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ნაგებობებით დამშვენებული ქალაქი ყოფილა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სპარსული და ჩინური კერამიკის ნიმუშები, რომლებიც არქეოლოგიური გათხრებით იქნა მოპოვებული. ის, რომ ქალაქს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია იმ დროის მოწინავე ქვეყნებთან, სწორედ ამ მასალებით დასტურდება.

1614 წელს კახეთი შაჰ-აბასს დაულაშქრავს და სასტიკად აუოხრებია. შაჰის რისხვა გრემსაც დასტყდომია თავს. როგორც როსტომ მეფის მემატიანე მოგვიანებით წერდა, გრემის ერთ დროს მშვენიერი სასახლეები ნადირთა სადგომად იყო ქცეული. გრემმა, როგორც კახეთის სატახტო ქალაქმა, კიდევ რამდენიმე ათეულ წელს იარსება და შემდეგ პირველობა თელავს დაუთმო.

6.

არქეოლოგიურმა შესწავლამ ცხადყო, რომ უფლისციხის ტერიტორია ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან ყოფილა დასახლებული. მოგვიანებით, მოსახლეობის ზრდისა და ეკონომიკის განვითარების შედეგად, ქალაქის დაარსებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ჩვენმა წინაპრებმა უფლისციხე გამოკვეთეს კლდეში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. სამხრეთიდან და დასავლეთიდან იგი ბუნებრივად იყო დაცული, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან კი გამაგრება სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ კლდე გაუჭრიათ, განიერი (ფართო) თხრილი გაუკეთებიათ და მის გასწვრივ, ქალაქის მხარეს, მაღალი და სქელი კედელი აღუმართავთ. ასე გამაგრებული ქალაქი მომხდურთათვის უთუოდ ძნელად ასაღები იქნებოდა.

VIII საუკუნიდან უფლისციხე ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი ხდება, კერძოდ, იგი განსაკუთრებულ როლს თამაშობს არაბებისაგან ქვეყნის განთავისუფლების პროცესში. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების შემდეგ ქალაქმა თანდათან დაკარგა ფუნქცია. ამას თან დაერთო მონღოლთა დამანგრეველი შემოსევები. ურიცხვი მტრის განუწყვეტელმა თავდასხმებმა უფლისციხე ისე დაასუსტა, რომ სულ გაპარტახდა. მოგვიანებით უფლისციხე, რომელიც მთლიანად დაცლილი იყო მოსახლეობისაგან, მხოლოდ მტრის შემოსევის დროს ცოცხლდებოდა. ამ დროს მას ახლომახლო სოფლების გლეხობა აფარებდა თავს.

7.

თანამედროვე დმანისის ახლოს არის ამავე სახელწოდების ისტორიული ქალაქის ნანგრევები. ქვემო ქართლის ეს ტერიტორია უძველესი დროიდან ქრისტიანული კულტურის ძლიერი ცენტრი იყო. VI-VIII საუკუნეებში აქ საეპისკოპოსო კათედრალი ყოფილა. განსაკუთრებული მდებარეობის გამო დმანისის, როგორც სტრატეგიული პუნქტის, მნიშვნელობა სულ უფრო იზრდებოდა. IX საუკუნის ისტორიულ წყაროებში იგი უკვე ქალაქად იხსენიება. არაბობის დროს აქ ცოტა ხნით ამირაც კი მჯდარა. დავით აღმაშენებელმა, რომელმაც დიდგორის ომში სძლია მტერს, თბილისის შემდეგ დმანისიც გაათავისუფლა.

დმანისი და მისი მიმდებარე ტერიტორია ბევრჯერ გამხდარა გარეშე მტრის თავდასხმის ობიექტი. საუკუნეების განმავლობაში ქალაქს მრავალი გასაჭირი უნახავს, მაგრამ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იგი თემურლენგის შემოსევების დროს აღმოჩნდა. მოგვიანებით მას არც ოსმალოთა და სპარსელთა რბევა მოჰკლებია. XVIII საუკუნის ბოლოს დმანისს დროდადრო ლეკებიც ესხმოდნენ თავს. მტრების

განუწყვეტელი შემოსევების გამო ეკონომიკა მთლიანად მოიშალა, რის შედეგადაც (გამოც) ქალაქი სულ გაპარტახდა და გაუკაცრიელდა. მოსახლეობისაგან თითქმის მთლიანად დაცლილი დმანისი მოგვიანებით ნანგრევებად იქცა.

8.

სამშვილდე ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ქალაქია საქართველოში. იგი მდებარეობდა ისტორიულ ქვემო ქართლში, ახლანდელი სამშვილდის მახლობლად. მისი თავდაპირველი სახელწოდებაა „ციხე ორბისა“, თუმცა მას, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, ზოგჯერ აგრეთვე „დედაციხედაც“ მოიხსენიებდნენ.

სამშვილდე ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში უკვე სახელმოხვეჭილი (სახელგანთქმული) ქალაქი იყო. იგი რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში ისტორიული ქვემო ქართლის საიმედო სიმაგრეს წარმოადგენდა. ჩვენს წინაპრებს სამშვილდე ორ მდინარეს შორის მოქცეულ კონცხზე გაუშენებიათ. ეს ადგილი სამი მხრიდან ძნელად მისადგომი იყო, მეოთხიდან კი გამაგრება სჭირდებოდა. ამ მიზნით იგი ხუთმეტრიანი კედლით ჩაუკეტავთ. ქალაქის ბედი ხშირად ამ კედელთან წყდებოდა ხოლმე, რადგან (იმიტომ რომ) მტრების პირველი დარტყმა სწორედ მასზე მოდიოდა. მართალია, ქალაქი მომხდურთა ხელშიც აღმოჩენილა, მაგრამ კედელს ამის კვალიც არ დასტყობია. როგორც ჩანს, სამშვილდეში შეღწევა სხვა გზით ხერხდებოდა. მტრის შემოსევების გამო ქალაქი თანდათან სუსტდებოდა, თუმცა ქართლის მნიშვნელოვან სიმაგრედ მაინც რჩებოდა. დღეისათვის სამშვილდე მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.

I. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები, მექანიკური შეცდომები ---------- *8ქ.*
ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (8) აკლდება თითო ქულა.
II. სტილისტური ხარვეზები და ტექსტური უზუსტობები ----------*2ქ.*
ამ ტიპის ყოველ ხარვეზსა თუ უზუსტობაზე მაქსიმალურ შეფასებას (2) აკლდება თითო ქულა.
III. პუნქტუაციური შეცდომები ---------- *6ქ.*
ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (6) აკლდება თითო ქულა.

9.

უძველესი საყურე, რომელიც შუამდინარეთში აღმოაჩინეს, დაახლოებით 4500 წლისაა. ვარაუდობენ, რომ საყურე ჯარისკაცს ეკუთვნოდა და მას ჯარების სახეობის განმასხვავებელი ნიშნის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ძველ ეგვიპტეში საყურე მფლობელის მაღალ სოციალურ სტატუსზე მიანიშნებდა, ხოლო ძველი რომაელები მას მონებისათვის ნიშნის დასადებად იყენებდნენ. სამკაულის ფუნქცია საყურემ ანტიკურ სამყაროშივე შეიძინა. ამ დროიდან, სიმბოლურ დატვირთვასთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობოდა მის ესთეტიკურ მხარესაც.

ყურის გახვრეტის ტრადიციას, რომელიც გავრცელებული იყო აფრიკის ტომებში, ევროპელი კოლონიზატორები ველურობის გამოხატულებად აღიქვამდნენ. აღსანიშნავია, რომ ევროპელ მეზღვაურებსაც ეკეთათ ყურზე ოქროს რგოლი, რომელსაც მათთვის განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა. მეზღვაურებს სჯეროდათ, რომ, თუკი ზღვაში დაიღუპებოდნენ და გვამს ტალღა ნაპირზე გამორიყავდა, ოქროს საყურის საფასურად გარდაცვლილს ქრისტიანული წესით დაკრძალავდნენ.

XIX საუკუნეში საყურე მხოლოდ სამკაულის დანიშნულებით გამოიყენებოდა და ძირითადად ქალბატონებისთვის იყო განკუთვნილი. XX საუკუნის მეორე ნახევარში საყურემ ახალი ფუნქცია შეიძინა, კერძოდ, ის მეამბოხე ახალგაზრდებისათვის პროტესტის გამოხატულებად და თვითდამკვიდრების ერთგვარ საშუალებად იქცა.

10.

სხეულის ამა თუ იმ ნაწილის გახვრეტისა და მასში რგოლის ან სხვა ფორმის ნივთის ჩამაგრების ტრადიცია ძალიან ძველია. ზოგი ამას თავისი სოციალური სტატუსის ხაზგასასმელად აკეთებდა, ზოგს კი

სწამდა, რომ ეს ნივთი მას ბოროტი ძალებისაგან იცავდა. ეგვიპტელ დიდგვაროვნებს ყურებში სპეციალური საცობები ეკეთათ, ჭიპის გახვრეტის პატივი კი მხოლოდ ფარაონებს ჰქონდათ. მაიას ტომებსა და აცტეკებში გავრცელებული იყო ენის გახვრეტის რიტუალი. მათი რწმენით, სისხლს, რომელიც ამ დროს ადამიანს ენიდან სდიოდა, ღმერთებთან მისი დაახლოება შეეძლო.

XX საუკუნის ბოლომდე სხეულის სხვადასხვა ნაწილის გახვრეტა დასავლური კულტურისათვის თითქმის უცნობი იყო. მისი პოპულარიზაცია უკავშირდება პანკების მოძრაობას, რომლის მიზანიც საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და პროტესტის გამოხატვა იყო. ახალგაზრდობამ ყურების, წარბების, ტუჩებისა და ცხვირის გახვრეტა დაიწყო.

დღეს ასეთი აქსესუარი თვითგამოხატვის ერთგვარ საშუალებად იქცა და, ამასთანავე, მან სამკაულის ფუნქციაც შეიძინა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარად სხეულის შემკობა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სულაც არ არის, რადგან ამ პროცედურას შესაძლოა გართულებები მოჰყვეს.

11.

არქეოლოგებმა ტუტანჰამონის სამარხში აღმოაჩინეს ტილოს ხელთათმანი, რომელსაც ფოთლების ორნამენტები ამშვენებდა და ზონრებით მაჯასთან იკვრებოდა. ეგვიპტურ კულტურაში ის ადამიანის სოციალურ სტატუსზე მიანიშნებდა. ხელთათმანი განსაკუთრებით პოპულარული გახდა შუა საუკუნეებში. მამაკაცებისათვის ეს აქსესუარი წარმატების სიმბოლოდ იქცა. სასულიერო პირებს ეპისკოპოსად კურთხევისას თეთრ ხელთათმანს გადასცემდნენ. აუცილებელი ატრიბუტი იყო ის რაინდებისათვის ფიცის დადების ცერემონიალის დროს. მოსამართლეები პროცესებს უხელთათმნოდ არ წარმართავდნენ. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეები მას მხოლოდ განსაკუთრებული პრივილეგიის მინიჭების შემთხვევაში იცვამდნენ.

მოგვიანებით ხელთათმანი მანდილოსნების გარდერობშიც გამოჩნდა. ნაპოლეონი, რომლის პირად კოლექციაში 240 წყვილი ინახებოდა, ხელთათმანების ჩაცმას სამეფო კარის ქალბატონებსაც აიძულებდა. იმ დროს ძალიან პოპულარული იყო აბრეშუმისა და ტილოს ხელთათმანები, თუმცა საუკეთესოდ მაინც ტყავისაგან დამზადებული მიიჩნეოდა.

XX საუკუნეში ხელთათმანი სავალდებულო აქსესუარი გახდა. 1961 წელს ნიუ-იორკში გამოცემული ეთიკის სახელმძღვანელოს მიხედვით, არცერთი ქალი საზოგადოებაში უხელთათმნოდ არ უნდა გამოჩენილიყო. მათთვის ასევე დაუშვებელი იყო ამ აქსესუარის გარეშე ცეკვა და ხელის ჩამორთმევა.

12.

უძველეს კულტურებში თავსაბურავს მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონია და იგი პატრონის საზოგადოებრივ სტატუსზე მიუთითებდა. ანტიკურ ხანაში ქუდი საზოგადოებრივ იერარქიაში ადამიანის ადგილს შეესაბამებოდა.

შუა საუკუნეების ევროპაში ქალებს, რომლებიც სახლის ზღურბლს თავშიშველი გადააბიჯებდნენ, სასტიკად სჯიდნენ. ინდივიდუალურობის შესანარჩუნებლად ქალებმა ფანტაზია გამოიყენეს და დროთა განმავლობაში ერთფეროვანი ქუდების ნაცვლად ამ თავსაბურავის მრავალი ვარიაცია გაჩნდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფრინველის ფიტულებით, ფოთლებითა თუ ტოტებით მორთული ქუდები შემოვიდა მოდაში, რის შედეგადაც ფრინველის ზოგი სახეობა გადაშენების ზღვარზედაც კი აღმოჩნდა. XX საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა კანონმდებლობით აკრძალეს ბუმბულით ვაჭრობა.

მეორე მსოფლიო ომმა საზოგადოებაში ქალის როლი საგრძნობლად შეცვალა, რამაც ჩაცმის სტილზედაც იქონია გავლენა. 50-იანი წლებიდან ქუდი, როგორც სავალდებულო თავსაბურავი, თანდათან სხვადასხვა ფორმის თავსაფარმა ჩაანაცვლა. XX საუკუნის დასასრულს ტანსაცმლის დიზაინერებმა კვლავ შეძლეს ქალების დარწმუნება, რომ ის აუცილებელი აქსესუარი, რომელსაც საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა შეეძლო, სწორედ ქუდი იყო.

13.

ძველ ეგვიპტესა და ანტიკურ საბერძნეთში მიაჩნდათ, რომ მამაკაცის გარუჯული კანი მის სიძლიერეზე მეტყველებდა, ხოლო ქალების კანი, პირიქით, ღია ფერისა უნდა ყოფილიყო. XX საუკუნემდე მაღალი წრის ყველა ქალბატონი მზისაგან თავის დასაცავად ფართოფარფლებიან ქუდებსა და ქოლგებს იყენებდა. ფერმკრთალი სახე ფუფუნებასა და დახვეწილ გემოვნებაზე მიანიშნებდა, ხოლო გარუჯული კანი ადამიანის დაბალ სოციალურ წარმომავლობას უსვამდა ხაზს.

გარუჯვა მოდური მოგვიანებით გახდა. ეს კოკო შანელის სახელს უკავშირდება. ზღვაზე დასვენების დროს მას მზისაგან კანი ძალიან დასწვია. შანელის მიბაძვით მისმა თაყვანისმცემლებმაც მოინდომეს გარუჯვა. რაკი ეს მომხიბვლელობის მახასიათებლად იქნა მიჩნეული, დაიწყეს გარუჯვის ეფექტის ხელოვნურად მიღების გზების ძიება. სპეციალური საშუალებები, რომელთა სისტემატური მოხმარებისაგან კანი ნარინჯისფერი ხდებოდა, კოსმეტიკური პროდუქციის მწარმოებელი კომპანიებისათვის შემოსავლის წყაროდ იქცა.

XX საუკუნის მიწურულს მოდის მიმდევრები სოლარიუმებში ირუჯებოდნენ ულტრაიისფერი ნათურების მეშვეობით. დღეისათვის გარუჯვის ეფექტის მისაღებად სპეციალურ ნივთიერებას იყენებენ, რადგან უკვე დიდი ინფორმაცია დაგროვდა მზის სხივების ჭარბი ზემოქმედებისა და გამოსხივების მავნებლობის შესახებ.

14.

კანქვეშ საღებავის შეყვანის გზით სხეულის მოხატვა ადამიანმა უძველესი დროიდან დაიწყო. პირველყოფილ ხალხებში ეს რელიგიური წარმოდგენების ანარეკლი იყო. სხეულის მოხატვის ხელოვნებამ განსაკუთრებით მაღალ ესთეტიკურ დონეს აზიის ქვეყნებში მიაღწია.

ამგვარი მოხატულობის მიმართ დამოკიდებულება დროთა განმავლობაში იცვლებოდა. გვიანდელ რომსა და შუა საუკუნეების ევროპაში მას იყენებდნენ, რათა სამხედრო ტყვეებისა და დამნაშავეებისათვის საგანგებო ნიშანი დაედოთ. XX საუკუნეშიც კი საზოგადოების დიდი ნაწილი არ სწყალობდა ადამიანებს, რომელთაც ტანი ამგვარად ჰქონდათ მოხატული, რადგან ის ცხოვრების გარკვეულ სტილზე მიანიშნებდა. 1990 წლიდან ის ფართოდ გავრცელდა და თანდათან ძალიან მოდური გახდა.

დღეს ეს მოხატულობა სრულებითაც აღარ წარმოადგენს სამარცხვინო „დაღს“, პირიქით, მან ესთეტიკური ფუნქციაც კი შეიძინა, რის გამოც საკუთარი სხეულის ამგვარად დამშვენებას არაერთი ადამიანი ცდილობს. ის გავრცელებულია ტრადიციების მიმდევართა შორისაც. სხეულის ამგვარი მოხატულობა ხშირად სხვებისათვის დაფარულიც კია, მაგრამ ის მაინც თვითგამოხატვის თამამ საშუალებად და ექსტრავაგანტურ აქსესუარად არის მიჩნეული.

გ) კომენტარი

ამ დავალების შეფასებისას ნათლად ჩანს, რომ აბიტურიენტთა ნაწილი ტექსტის რედაქტირების ნაცვლად მექანიკურად ეძებს და ასწორებს ცალკეულ ფორმებს, რაც განსაკუთრებით გაუმართლებელია სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომებისა და სტილისტური ხარვეზების გასწორებისას. ფორმა, რომელიც შეცდომაა ერთ შემთხვევაში, სხვა კონტექსტში შეიძლება სწორი იყოს, ამიტომ ამ დავალების შესრულებისას ძალზე მნიშვნელოვანია აბიტურიენტმა ყურადღებით წაიკითხოს ტექსტი და შეცდომების გასწორებისას კარგად გაიაზროს კონტექსტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება რედაქტირებულის ნაცვლად ბუნდოვანი, ფაქტობრივი შეცდომებითა და ხარვეზებით სავსე ტექსტი მიიღოს.

ტექსტის რედაქტირება ზემოთ მოცემული კრიტერიუმებით ფასდება. როგორც ხედავთ, სხვადასხვა წელს შეფასების კრიტერიუმების მიხედვით ქულათა განაწილება შესაძლოა ოდნავ განსხვავებული იყოს, თუმცა ჯამური ქულა უცვლელი რჩება.

II. არგუმენტირებული ესე (24 ქულა)

ა) დავალებების ნიმუშები:

ინსტრუქცია

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 120 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

1.

არსებობს მოსაზრება, რომ საზოგადოებრივი აზრისა და განწყობის შექმნაში გადამწყვეტია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

2.

არსებობს მოსაზრება, რომ მოწინააღმდეგის დამცირება და შეურაცხყოფა საკუთარი უძლურების მაჩვენებელია.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

3.

არსებობს მოსაზრება, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება შეუძლებელია დიდი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შეგნების გარეშე.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

4.

არსებობს მოსაზრება, რომ წარმატების მიღწევა შეუძლებელია პოპულარობისა და დიდებისაკენ სწრაფვის გარეშე.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

5.

ტოლერანტობა ნიშნავს სხვა ადამიანების მრწამსის, ინტერესებისა და ღირებულებების პატივისცემასა და აღიარებას.

გაიაზრეთ ამ ტერმინის არსი და ისე შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება:

ტოლერანტობა არ ნიშნავს უპრინციპობას. იგი გულისხმობს საზოგადოების წევრების მიერ ურთიერთდათმობების საფუძველზე მიღწეულ შეთანხმებას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

6.

ქსენოფობია არის შიში, რომელიც უცხო კულტურის, განსხვავებული ადამიანების მიუღებლობასა და მათ მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში გამოიხატება.

გაიაზრეთ ამ ტერმინის არსი და ისე შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება:

ქსენოფობია ფეხს ვერ მოიკიდებს თავისუფალ და განათლებულ საზოგადოებაში.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

7.

დისკრიმინაცია არის საზოგადოების ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის უფლებების შეზღუდვა ან დარღვევა მასზე უპირატესობის მოპოვების მიზნით.

გაიაზრეთ ამ ტერმინის არსი და ისე შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება:

ის, ვინც სხვას ჩაგრავს და ავიწროებს, თავადაც დისკრიმინაციის მსხვერპლია.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

8.

ტერორიზმი არის რთული სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის უკიდურესი საშუალება.

გაიაზრეთ ამ ტერმინის არსი და ისე შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება:

როდესაც ადამიანები ცდილობენ გაამართლონ ძალადობრივი ქმედებები, უნებურად ხელს უწყობენ ტერორიზმის გაძლიერებას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

9.

არსებობს მოსაზრება, რომ გარემოს დაცვის მიზანი მხოლოდ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა თუ იქნება, მაშინ გარემო შეიძლება დაუცველი აღმოჩნდეს.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

10.

არსებობს მოსაზრება, რომ სასკოლო განათლების მთავარი მიზანია ახალგაზრდებში ლიდერის თვისებების ჩამოყალიბება.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

11.

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

12.

არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაცია საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას და ეს ახალი ტიპის კოლონიზაციას წააგავს.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

13.

არსებობს მოსაზრება, რომ სხვადასხვა ერის კულტურათა დაახლოება უკეთ წარმოაჩენს თითოეული მათგანის უნიკალურობასა და თავისთავადობას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

14.

არსებობს მოსაზრება, რომ საზოგადოების კარჩაკეტილობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეროვნულ თვითშეგნებას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

15.

არსებობს საფრთხე, რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატების სახით შემოგვრჩეს.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

16.

ჩვენი ქვეყნის ისტორიით ვამაყობთ, მაგრამ მისი შესწავლითა და ღრმად გააზრებით თავის შეწუხება არ გვინდა.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

17.

ტექნოლოგიური საშუალებებით გადატვირთული გარემო ზღუდავს ადამიანის წარმოსახვას, უკარგავს მას ძიებისა და ახლის აღმოჩენის სურვილს.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

18.

დღევანდელ ახალგაზრდობას უფრო მეტად აღელვებს სოციალური უთანასწორობის პრობლემები, ვიდრე მის წინა თაობას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

19.

დღევანდელი ახალგაზრდების აზრით, ყველა ადამიანი თავისთავად გამორჩეულია და არ არის საჭირო დიდი ძალისხმევა, რომ განსხვავებულად გამოიყურებოდე.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

20.

შესაძლოა ცოდნა და ინტელექტი ადამიანმა სხვისი ჩაგვრისა და მასზე ძალაუფლების მოპოვების ინსტრუმენტად გამოიყენოს.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

21.

ახალგაზრდებს ხშირად არ მოსწონთ საკუთარი ქვეყნის კულტურა, არ მიაჩნიათ იგი ღირებულად და საინტერესოდ.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

22.

დღევანდელ ახალგაზრდებს მხოლოდ პირადი კეთილდღეობა კი არ აღელვებთ, არამედ მათ სამყაროს უკეთესობისაკენ შეცვლა სურთ.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

ბ) შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომი, რომლის მოცულობაც 120 სიტყვას არ აღემატება, VII, VIII და IX კრიტერიუმებით არ შეფასდება.

I კრიტერიუმი

№	*დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	2
2.	დავალების პირობა ნაწილობრივ ***არაადეკვატურადაა*** გაგებული.	1
3.	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ესეს სტრუქტურა სრულად შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომი ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, წარმოდგენილი მაგალითები არ არღვევს ტექსტის მთლიანობას, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	1
2.	ესეს სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომში ***დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა და/ან აბზაცები ***სწორად არ არის*** გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	*პრობლემის გააზრება*	*ქულები*
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზერელე ცოდნა, არ ჩანს აბიტურიენტის სათანადო ინფორმირებულობა და ერუდიცია.	1
4.	აბიტურიენტი ვერ ერკვევა განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემატიკაში.	0

IV კრიტერიუმი

№	*მსჯელობის დასაბუთება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული და არგუმენტები ***გამყარებულია*** შესაფერისი მაგალითებით.	5
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტაცია არასაკმარისია და/ან ***არ არის გამყარებული*** შესაფერისი მაგალითებით.	4
3.	მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტებსა და მოხმობილ მაგალითებს ***დამაჯერებლობა აკლია***.	3
4.	მსჯელობა ***ზერელედაა*** დასაბუთებული და არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
5.	მსჯელობა ***ძალზე ზოგადია,*** არგუმენტები და/ან მაგალითები არაადეკვატურია.	1
6.	მსჯელობა დასაბუთებული ***არ არის.***	0

V კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	2
3.	ნაშრომში ***ძირითადად*** არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა არის დასმული პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის მცდელობა.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.	0

VI კრიტერიუმი

№	ფაქტობრივი სიზუსტე	*ქულები*
1.	ნაშრომში არ არის ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	*ქულები*
1.	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, გვხვდება ორიოდე სტილისტიკური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება რამდენიმე სტილისტი-კური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომის სტილი ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია სტილის ერთგვაროვნება; აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტიკური ხარვეზები.	1
4.	ნაშრომის სტილი მთლიანობაში არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, სტილისტიკურად გაუმართავია.	0

VIII კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული ერთზე მეტი შეცდომა.	4
2.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	3
3.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	2
4.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
5.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

IX კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	2
2.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

გ) კომენტარი

აბიტურიენტების უმრავლესობას არ უჭირს ამ დავალების შესრულება. ახალგაზრდებს აღელვებთ ჩვენი საზოგადოებისათვის აქტუალური პრობლემები, მსჯელობენ ამ საკითხებზე და საკუთარ დამოკიდებულებასაც თამამად აყალიბებენ. ამავე დროს თვალში საცემია ის გარემოება, რომ, სამწუხაროდ, აბიტურიენტთა ნაწილს არ ესმის ისეთი ტერმინების მნიშვნელობა, როგორებიცაა: გარემოს დაცვა, სიტყვის თავისუფლება, გლობალიზაცია, მასობრივი ინფორმაცია, რაც ზოგადი განათლების დაბალ დონეზე მიუთითებს. ამის გამო ამ ახალგაზრდებს უჭირთ არგუმენტირებული ესეს შესრულება. გარდა ამისა, ზოგიერთი აბიტურიენტი ყურადღებით არ კითხულობს დავალების პირობას, კარგად არ იაზრებს მას, ამიტომ მის მიერ დაწერილ ესეს არაფერი აქვს საერთო დავალების პირობასთან და მასში დასახელებული პრობლემა მხოლოდ სხვა კონტექსტშია ნახსენები. ბუნებრივია, ამგვარი დავალებები ან არ სწორდება, ან ძალიან დაბალ შეფასებას იმსახურებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ესეების დიდი ნაწილი ენობრივი თვალსაზრისით ჩამორჩება მის შინაარსობრივ მხარეს. ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებს უჭირთ მსჯელობა არა იმიტომ, რომ მათ სათანადო არგუმენტები არ გააჩნიათ, არამედ იმიტომ, რომ აზრის ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბება უჭირთ არასათანადო ენობრივი კომპეტენციის გამო.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

ა) დავალებების ნიმუშები:

გაითვალისწინეთ, საგამოცდო ტესტში მოცემული ორი მხატვრული ტექსტიდან უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი და მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით უნდა შეასრულოთ დავალება!

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

<u>გაითვალისწინეთ,</u> ნაშრომი, რომლის მოცულობა *<u>არ აღემატება 120 სიტყვას,</u>* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

1.

ყურადღებით წაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მთაწმინდის მთვარე“:

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი

ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!

მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით

მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე...
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!

აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით,

ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული...
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...

და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,

თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები;

თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,

თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა;

რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე.

რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,

რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ლირიკული გმირის მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ ბუნების მისეულ აღქმას);

- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

2.

კოტე ჯანდიერის მოთხრობაში „გლობალიზაცია“ პერსონაჟი თავისი ცხოვრების ამბებს ჰყვება:

ჩემი და ანიჩკა რვა წლისა იყო, მე კი ოთხისა, როცა კახეთში აჯანყება დაიწყო. ქაქუცა ხო გაგიგიათ? ხო, ქაქუცა ჩოლოყაშვილი. თავდაპირველად უფრო მატნისა და ლალისყურის ტყეებში იმალებოდნენ მაგისი ბიჭები. ამ ჩვენი სამხრიჯვრიდან ნახევარი დღის სავალიც არ არის მატნამდე. ხოდა, თურმე, პაპაჩემი აბგაში ხმიადებს, ყველსა და მაწონს ჩაუწყობდა ხოლმე ანიჩკასა და გადაღმა ხეობაში ატანდა ქაქუცას რაზმელებისთვინა. ენდობოდა და იმიტომ, იცოდა მაგისი ჭკუის ამბავი. ერთხელაც მდევარს გადაწყდომოდა ე ჩემი და. აკი გითხარით, პატარაა, კაცო, რვა წლისა. სამხრიჯვარი გედეევლო... ის არი, ტყეში უნდა შავიდეს და აბგა სამალავში მიიტანოს, რო ფლოქვების თქარათქური მეესმა. არ დაბნეულა ე თითისტოლა გოგო – სანოვაგე სადღაცა ქვის ქვეშ დაუმალამს, როგორც პაპამ დაარიგა, ზედ ხმელი ფოთლები მიუყრია, თითონ კი წკეპლამომარჯვებული დახვედრია მილიციასა. ათნი ყოფილან. წინ დიდ შავ ცხენზე გადამჯდარი მალაქია ინაკავაძე მოუძღვით, კახეთის მილიციის უფროსის მოადგილე, ორმეტროიანი, ცალთვალა პირუტყვი. მაგისი გამოჩენა შიშის ზარსა სცემდა აქაურ მოსახლეობასა. დგაა ანიჩკა, გამხდარი, გაკნაჭული და უყურებს ბაყბაყდევივით თავს წამომდგარ ინაკავაძესა. ის კიდე, ტყავის ლაპლაპა, შავ ტუჟურკაში გამოწყობილი, უნაგირზე წამოხორხლილა და თავისი ცალი თვალით ზემოდამ ბურღამს შაშინებულ ბალღსა. „აქ რას აკეთებ, პატრონი არა გყამსო?“, – ასე უკითხამს. „ჩემი პატრონი ვანა პაპაა, მე კიდე დაკარგულ ხბორებს ვეძებო, – ანიჩკას უთქვამს, – სამხრიჯვრიდან გაგვექცნენ და უნდა ვიპოვნოო“. „ვერა გყოლია კარქი პატრონიო, – გასცინებია ინაკავაძესა და მაგისი შავი ცხენიც ახვიხვინებულა, – ამსიშორეზე როგორ გამოგიშვა პაპაშენმაო?“ ისევ ახვიხვინებულა ოდროგელა ულაყი. „საშინელი ცხენი იყოო, – მერე ყვებოდა ანიჩკა, – შავი, შავი, კუნაპეტი, კისერზე ირიბი ნაჭრილობევით, თანაც გიჟურად ატრიალებდა წითელ თვალებს და ბრაზიანად სცემდა ტაშტისოდენა ფლოქვებსაო“. საღამოთი ჩაფსმულ-ჩასველებული დაგვიბრუნდა პატარა გოგო, მაგრამ ვანას გატანებული სანოვაგე მილიციის წასვლის მერე მაინც მიეტანა სამალავში და იქ დეეტოვებინა...

აი, თქვენა, შვილო, დაბლიდან რომ ამაიარეთ, დიდრონი სახლი ხო შაგხვდათ წყაროსთანა?.. ეგა, გენაცვა, ერისთავიანთ სახლია. ძია გიორგის მანდა ჰქონდა საკვირაო სკოლა გახსნილი ხელმოკლე ოჯახის ბალღებითვინ. ძია გიორგი და ძალო ელისაბედი წერა-კითხვას ასწავლიდნენ სოფლის ბალღებსა... დიდი კაცი იყო ცხონებული გიორგი. ოცდაოთხ წელში კომუნისტებმა დააპატიმრეს ღრმად მოხუცებული. ვიღაცა ოხერმა ინაკავაძეს ენა მიუტანა – ერისთავიანთ სახლში ჩოლოყაშვილის რაზმელები ათევენ ღამესაო. სწორედ ღამით მოლაგდნენ მილიციები. მართალია, სახლში ვერავინ იპოვეს მოხუცი ცოლ-ქმრის გარდა, მაგრამ გიორგი მაინც წაიყვანეს თელავის ციხეში და მერე ეგ საცოდავი ცოცხალი აღარავის უნახამს. დაკითხვას ვერ გაუძლო და გული გაუსკდაო, ეგრე გავიგეთ. ვინ იცის, სცემდნენ კიდეცა. მალაქია ინაკავაძე მა რას იზამდა?! ყველაფერთან ერთად, ლოთიცა ყოფილა ეგ შობელძაღლი. არყით გალექებული, ღამ-ღამობით ტუსაღების ცემითა და ტანჯვა-წამებით იქცევდა თავსა... ამის მერე აღარც ელისაბედს უცხოვრია

დიდხანს. ისედაც სუსტი ქალი იყო ცხონებული, სიფრიფანა, კულტურული. აბა ეგრე ერთბაშად მოზღვავებულ დარდს რას გაუძლებდა?! გამწარდა მთელი კამეჩაანთკარი, თელავი, საზოგადოდ კახეთი. ქაქუცა დასაბმელი გამხდარა, დეეფიცნა – შურს ვიძიებო. ხოდა, გენაცვა, მოენე მიუგზავნიათ მალაქიასთვინა, ვითომც ჩოლოყაშვილი ლალისყურს ზეით, ძელქვნარი როა, იქა დგაა ბანაკადაო. მოტყუვდა ინაკავაძე, დიდი რაზმით წამოვიდა. ბიჭებმა სროლა-სროლით გაიტყუეს ძელქვებ ზეითა, საძოვრებისკენა, საცა ხელისგულივით ჩაანს ყველაფერი; ზეიდან და ქვეიდან გზა მაუჭრეს, ალყა დაარტყეს და დასცხეს. იმ დღეს გაწყდა თითქმის თელი კახეთის მილიცია.

ჩვენა კიდევა, არხეინად ვაართ ქედს გადმოღმა, სამხრიჯვრის ბინებზე. არც ვიცით რა ცოდო-მადლის განკითხვაა ლალისყურთან. ზაფხულია, კაცო, ჭრიჭინებს გაუდით ტკარცალი. ვანა პაპა და ჩემი და ანიჩკა მზეზე გამთბარი წყლით მაბანავებენ ლახანკაში. პატარა ვარ, ოთხი წლისა. თურმე ფეხებ წყალში ვატყაპუნებ და ვწუწამ ვანასა და ანიჩკასა. „ნელა, შე ზაქოო“, – ვანა იძახის. უცბათ ჭიხვინი გავიგონეთ. აბა იალაღებზე ცხენის ჭიხვინი ვის გაუკვირდება, მაგრამ ის რაღაცა გამაყრუებელი და თავზარდამცემი იყო, გრგვინვასეეფ. გავიხედეთ და რასა ვხედამთ? ღოლუაანთ ხევის მხრიდან ვეებერთელა შავი ულაყი ამოვარდა; მოჰქრის გაგიჟებული და მიწას აზანზარებს, წითელი ლაშ-პირიდან თეთრი ქაფი გადმოსდის, მოვერცხლილ უნაგირსა და ფერდზე კი სისხლის კვალი დაჰყვება. რა თქმა უნდა, ანიჩკამ იცნო ინაკავაძის ცხენი, რაღაცა უთხრა პაპასა და ორთავენი იქით გაიქცნენ. მე ვიღას ვახსოვდი – ჩამტოვეს ეგრე ტიტველი ლახანკაშია.

როდის-როდის მობრუნდა ანიჩკა, ამამიყვანა ატირებული, კალთაში ჩამისვა და ახლად გარეცხილ-გამზეურებული ფქვილის ტომრით დამიწყო გამშრალება. თან მაწყნარებს – „ნუ სტირი, ბიჭო, სირცხვილია, დაგინახამენო“. მე კიდე ღაპაღუპით ჩამამდის ცრემლები, თან ცალი თვალითა ვხედამ, როგორ მოჰყავთ ვანასა და კიდევ ორ-სამ მწყემსსა დაფლეთილ-დასისხლიანებული, უგონო ინაკავაძე. იქვე, ღოლუაანთ ხევში ჩავარდნილი ეპოვნათ. რაკი სისხლით გაჟღენთილი ტანისამოსი არა სცილდებოდა – გაუჭრეს პერანგი, ჩექმები და გალიფე, ტყავის ფენჯაკი გახადეს და მერე სახელდახელოდ ხის იაშიკებზე გადმააწვინეს. მე და ანიჩკა სულგანაბულები ვუყურებდით, როგორა სწმენდნენ არყიანი ჩვრებით ნატყვიარებსა და ფიქლებზე დავარდნისას გადაფლეთილ ალაგებს... „რას დაგიყვლეპნიათ თვალები, გადით აქედანაო!“ – თავზე ისე დაგვკივლა ბებერმა სარქალმა, რო ორივენი შავხტით. ანიჩკამ თვალებზე ხელი ამაფარა და ისე გამარიდა მანდაურობას, გეგონება, თვითონ ძალიან ბევრის მნახველ-გადამტანი ქალი ყოფილიყო...

საღამოზე კი ცხენოსნები მოვიდნენ, ქაქუცასები. მგონი ხუთნი იყვნენ. ჩოხები ეცვათ. ვანამ სახელდახელო პურ-მარილი გაშალა, არყის ბოთლიც დაზდგა და სტუმრები მიიპატიჟა. დინჯად საუბრობდნენ, დილანდელი სროლის ამბავსა ყვებოდნენ. „სულძაღლი ინაკავაძე მგონი გაგვექცაო, – თქვა ერთ-ერთმა, – სამი ტყვია მოვარტყით და ღოლუაანთ ხევში გადავარდა, მაგრამ მოგვიანებით შიგ ჩასულებმა ვეღარც ცოცხალი ვიპოვეთ და ვეღარც მკვდარიო“. რას იფიქრებდნენ, რო კახეთის მილიციის უფროსის მოადგილე, ჭრილობებდაბანილი და გადახვეული, იქვე, ფარეხში ეწვინა ვანასა. მაგისი მიბაძვით არც სხვა მწყემსებს დასცდენიათ სიტყვა... ვანამ წყნარად გაისტუმრა ქაქუცას ბიჭები. სამ დღეს თუთუნში არეულ ბალახებს ადებდა და ანწლის ნაყენს ასმევდა დაჭრილს. სამი დღის მერე კი მილიცია მოვიდა და სიცხისაგან გათანგული ინაკავაძე ჯერ თელაველი, მერე კი თბილისელი ექიმების ხელში აღმოჩნდა. კახეთში აღარ დაუბრუნებიათ, იქვე, თბილისში დაიტოვეს...

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ანიჩკას მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

3.

ყურადღებით წაიკითხეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“:

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით;
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.
იდაყვ-დაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ჰბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..

არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..
მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
ჰშფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე – ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თვისსა მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..
მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდ ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან – შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ლირიკული გმირის მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ ბუნების მისეულ აღქმას);
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

4.

ყურადღებით წაიკითხეთ გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „ანაბარი“:

ბარელებმა ცხენები ამოიყვანეს სოფელში გასაყიდად.

– ქალო! – ცოლს დაუძახა ბასილამ.

– ქალო, არ გეყურება შენა!

– რა გინდა, რა!

– გამაიყვანე ძროხა.

– კაცო, ლუკმა პურს ხომ არ გამოგვიწყვეტ ოჯახში, ცხენს რომ ჰყიდულობ, რა ჯანდაბა შაგვინახავს, ეგ ერთი ძროხა გვიგდია.

– გამაიყვანე, რომ გელაპარაკები!

ცოლი ცივად შებრუნდა და ბოსლიდან ალვანი ძროხა გამოიყვანა.

– რომელი ცხენი გინდა? – იკითხა ბარელმა.

– საღარი.

– ესა?

– ჰო, ეგა.

– ამას ერთი ძროხა არ ეყოფა, ორი უნდა მომცე; თუ გინდა, წითელი ცხენი წაიყვანე მაგ ძროხაში.

– წითელი არ მინდა, საღარს ვყიდულობ. – ბასილაი ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

– გადადი, აკეენთ გამოართვი სესხად ძროხა, უთხარი, ექვს ცხვარს მოგცემთ შემოდგომაზეო.

– მე არაფერსაც არ გამოვართმევ.

– რამდენს ლაპარაკობ შენა, ჰა!

ცოლი ისევ უხმოდ წავიდა და ცოტა ხანში ძროხით დაბრუნდა.

– უნაგირი არ გინდა? – ჰკითხა ბარელმა ბასილას და ვერცხლის უნაგირზე ანიშნა.

– რამდენს აფასებ?

– ათი ცხვარი მომეცი და შენი იყვეს.

– ცხვარი არ მყავს ეხლა, თუ გინდა, მატყლს მოგცემ.

– ოთხმოცი კილო მოიტა და წაიღე.

– ქალო! – გასძახა ბასილამ ცოლს, რომელსაც ნაყიდი ცხენი ეჭირა საბლით.

– კარგი, კაცო, წამოდი, მშივრები ხომ არ გავწყდებით.

– გადადი და ქორაანთ ოთხმოცი კილო მატყლი ესესხე.

– არ წავალ.

– ვის ველაპარაკები მენა, ჰა!

– არ წავალ, თუ ყიდვა გინდა, ადექი და ის ოქრო მიეცი.

– რაა? ვინ გაკითხებს შენ იმ ოქროსა, ჰა? – საცემნელად გაედევნა ცოლს ბასილაი. ქალმა ცხენს ხელი უშვა და გაიქცა.

* * *

ხატობიდან ცხენით ბრუნდება მთვრალი ბასილაი. ბილიკზე მოაჭენებს იორღა საღარს. უცებ ცხენს ფლოქვები ნამიან ბალახზე გაუსხლტა და უფსკრულში ელვასავით გადაენთო მხედრიანად.

კვდება ბასილაი. მოუთმენლად მოელის სიძეს, რომელსაც უნდა უთხრას, სადა აქვს ოქრო შენახული.

– მე მითხარ, კაცო, არ მენდობი? – ეუბნება ცოლი.

– ქალებთან არ ითქმის, – ამბობს ბასილაი.

– აბა, ამდენ ვალებს რომ მიტოვებ, რითი გავისტუმრო, რითი?

– ხომ იცი, ის ოქრო ჩემი არ არის.

– ხომ ხედავ, აღარ მობრუნდა პატრონი.

– შეიძლება მობრუნდეს, მერე?

– აღარ მოვა, მომკვდარა.

ბასილამ იცის, რომ აღარ მოვა დუმაცხოელი აკაი, რომელმაც ეს ერთი ქოთანი ოქრო ჩააბარა ჯარში წასვლის წინ, მაგრამ მაინც ვერ ღალატობს სინდისს. დღემდე ერთი ოქროც არ მოაკლო ანაბარს.

– ხომ ხედავ, იგვიანებს სიძე. მითხარი, სად არის. – ეხვეწება ცოლი.

– მერე რა ვუთხრა?

– ვის? ხომ გითხარი აღარ არის-მეთქი.

– იმის არყოფნას რა ვუთხრა, ანაბარი გაგინიავე-მეთქი?

– მაშ, მე რითი გადავიხადო ამდენი ვალები?

– ცხენი გაყიდე.

– ცხენს ფეხი აქვს მოტეხილი, ვინ იყიდის?

– უნაგირი გაყიდე.

– არ ეყოფა.

– ჩემი ბუხრის ქუდი და ქამარ-ხანჯალი გაყიდე.

ბასილაი სიძის უნახავი გაშრა.

რამდენიმე წლის მერე მისი ცოლიც გაშრა.

ქარმა დაუქროლა ცარიელ საბძელს.

სიძეებმა ჩამონგრეული სახლის კედლები გაყიდეს.

ჭიკნიაის კაცაი ნაყიდ კედლის ქვებს მარხილით ეზიდება თავის ახალ სახლამდე. ოქროთი სავსე ქოთანს მძიმედ ჩადგამს მარხილზე დაწყობილ ქვებში და ზემოდანაც ქვებს დააყრის, რომ სოფელმა არ შეამჩნიოს.

ორღობეში ჭრიალით მიდის ხარ-მარხილი. ზემოთ გორაზე ხავსი ეკიდება ბასილაის საფლავზე დაგდებულ რიყის ქვას.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ბასილას მხატვრული სახის შესახებ;

- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

5.

ავთანდილი ცდილობს დაეხმაროს სასოწარკვეთილ ტარიელს:

ყმამან უთხრა: „რაშიგან ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა?
ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი არა სწვავსა?
ვის უქმნია შენი მსგავსი სხვასა კაცთა ნათესავსა?
რად სატანას წაუღიხარ? რად მოიკლავ ნებით თავსა?

თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა.
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.

ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ:
მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
ვისთვის კვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ.
თავსა მრთელსა რად შეიკრავ? წყლულსა ახლად რად იწყლულებ?

ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილნი სდებიან?
ვის არ უნახვან პატიჟნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?
მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან?
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!

ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს ჭირად!“
მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად;
ოდეს ტურფა გაიეფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად“.

რათგან ვარდი ამას იტყვის, უსულო და უასაკო,
მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო?
უბოროტო ვის ასმია რაცა საქმე საეშმაკო?
რად ემდურვი საწუთროსა? რა უქმნია უარაკო?

ისმინე ჩემი თხრობილი, შეჯე, წავიდეთ ნებასა,
ნუ მიჰყოლიხარ თავისსა თათბირსა, გაგონებასა,
რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!
ასრე არ სჯობდეს, არ გეტყვი, რად მეჭვ რასაცა თნებასა!“

მან უთხრა: „ძმაო, რა გითხრა, ძრვაცა არ ძალ-მიც ენისა,
ძალი არა მაქვს ხელ-ქმნილსა შენთა სიტყვათა სმენისა;
რად ადვილად გიჩს მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა?
აწ მივსწურვივარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა.

ამას მოკვდავი ვილოცავ, არადეს ვითხოვ, არ, ენით:

აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით,
მუნ ერთმანერთი კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიხარენით!
მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით!
საყვარელმან საყვარელი ვით არ ნახოს, ვით გაწიროს!
მისკე მივალ მხიარული, მერმე იგი ჩემ კერძ იროს;
მივეგებვი, მომეგებოს, ამიტირდეს, ამატიროს.
ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!

მართ გარდაწყვედით იცოდი, გეტყვი მართალსა პირასა:
სიკვდილი მახლავს, დამეხსენ, ხანსაღა დავჰყოფ მცირასა;
არ ცოცხალ ვიყო, რას მაქმნევ? რა დავრჩე, ხელსა მხდი რასა?
დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევჰრთვივარ სულთა სირასა...

ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?
ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყო ცნობასა!
ვარდი ვერ არის უმზეოდ; იყოს, დაიწყებს ჭნობასა;
მაწყენ, დამეხსენ, არა მცალს, არცაღა ვახლავ თმობასა!“

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ავთანდილის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

6.

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან „საქმე“:

– ბოდიში, თქვენ შემთხვევით სულელი ხომ არ ბრძანდებით? – ლუკას ჰკითხეს.

კაცი, რომელიც მოთმინებიდან გამოიყვანა ლუკას უცნაურმა ღიმილმა, ოდნავ გადაიხარა მისკენ და შიშნარევი მუქარით ასე ჰკითხა: „ბოდიში, თქვენ შემთხვევით სულელი ხომ არ ბრძანდებით?“

– არა, არა, – თავი გაიქნია ლუკამ და იმავე ღიმილით ტრამვაის ჭერს ახედა. სულ სხვას ფიქრობდა. იმ კაცთან რა საქმე ჰქონდა – ლუკას ახსენდებოდა...

ლუკა ოცი წლისა რომ იყო, ერთ პატარა, მშვენიერ, თოვლიან ქალაქში მოხვდა, ქუჩები მოკირწყლული, სუფთა იყო, კოხტა სახლები იდგა, სამსართულიანი, მოკლე, ვიწრო, ფერადი ტრამვაები რბილად მიგორავდნენ ლიანდაგზე, ჰაერიც სუფთა იყო, მშრალი, გამჭვირვალე, კამკამა... აღარ იცოდა, საით წასულიყო, გაკვირვებული შესცქეროდა გამვლელებს და მათი გულგრილობა აბნევდა – ისინი ქალაქს შეჩვეულნი იყვნენ, ლუკა კი, უცხო, აფორიაქებული, პატარა ქუჩებში დაბორიალობდა და მერე ფანჯრებშეორთქლილი ტრამვაისკენ გაუწია გულმა. რატომღაც მეხუთე გაჩერებაზე გადაწყვიტა ჩასვლა, მინას ხელისგული წაუსვა და ხარბად შეაცქერდა სახლებს, წარწერებს, უფოთლო ხეებს... პირველსავე გაჩერებაზე დიდი ბაღი დაინახა, ორი მხარზე თხილამურებგადებული ბიჭი ფართო ჭიშკარში შედიოდა. ჩასვლა მოუნდა, მაგრამ გაახსენდა – „არა, არა, მეხუთეზე...“ ტრამვაი რომ დაიძრა, მაშინვე ინანა, ბაღთან რომ არ ჩავიდა, – „რას

ამოვიჩემე ეს მეხუთე...“ მეორე გაჩერება მაღაზიასთან იყო, უზარმაზარი მინის მიღმა იდგა და ურცხვად, გულგრილად უღიმოდა პერანგისამარა, ვარდისფერფეხებიანი მანეკენი. მერე რაღაც უშნოდ გლუვი, ჩაჟამებული შენობა დაინახა, ხასიათი წაუხდა. ერთხანს აღარც იყურებოდა ფანჯარაში, ვაგონი მოათვალიერა. ხალხი წამოიშალა და ყველამ ჩასასვლელს მიაშურა. „მესამე, – გაიფიქრა, – მესამე გაჩერებაა, ბოლო...“ მარტოკა დარჩა, ოქროსკბილებიანი კონდუქტორიც ჩავიდა. „ეს თუ მესამეა, – ფიქრობდა, – მობრუნდება და მეოთხე გაჩერება ისევ იმ მაღაზიასთან იქნება, მეხუთე კი...“ აღელდა, ძალიან უნდოდა, სწორედ ბაღთან ყოფილიყო მეხუთე გაჩერება. კონდუქტორი მალე შემობრუნდა, ტრამვაიმ წრე შემოიარა და ისევ უკან, დაღმართში ფრთხილად დაეშვა. ლუკა ახლა მეორე მხარეს გადაჯდა, კარგად რომ დაენახა მაღაზია. მართლაც იქ გაჩერდა, აღტაცებული შეჰყურებდა ლამაზფეხება მანეკენს – ეს მეოთხე გაჩერება იყო, მეხუთე კი სწორედ დიდ ბაღთან აღმოჩნდა, ისე გაუხარდა, რატომღაც გაამაყდა კიდეც და მძიმედ ჩაიარა ტრამვაის ორი მაღალი საფეხური, ბაღშიაც ასევე დარბაისლურად შევიდა, მაგრამ დიდხანს აღარ ეყო ეს სიდინჯე – საამო სუსხი იდგა, სწორედ ისეთი, სახეს ოდნავ რომ წიწკნის... იქვე, შესასვლელთან, უზარმაზარი თოვლის პაპა გაჯგიმულიყო, გვერდში ცოცხჩარჭობილი, თავზე კასრი ჩამოემხოთ. ბაღი ფერდობზე იყო, ზევიდან თხილამურებით მოსრიალებდნენ, უხილავ სვეტებს მოხდენილად უვლიდნენ გვერდს, ციგებითაც მოჰქროდნენ, დიდი, ოღროჩოღრო დაღმართი იყო და ხანდახან ციგა თუ გადაყირავდებოდა, სიცილი ისმოდა, ისეთი საღი, ისეთი ბედნიერი... ლუკა აღმართს სირბილით შეუყვა, ხარბად ისუნთქავდა კრიალა ჰაერს, გზად თოვლს დასწვდა, დააგუნდავა, არბოდა და უხაროდა, მერე მაღალი ხის კენწეროს ესროლა გუნდა – ოცი წლისა იყო... გორაკის თავზე შეჩერდა და ქვემოთ, ჭიშკართან მდგარ ხალხს დააცქერდა. თავი მაღლა ასწია, გადიდდა – ეს მაღლა დგომის უნებური სიამაყე იყო, კბილებს შუა ღონივრად, გაბმით შეისრუტა ჰაერი, სწორედ აქედან ეშვებოდნენ ციგით და მასაც მოუნდა, ქარი რომ აწივლებულიყო. რიგში ჩამწკრივებულ ბავშვებს გადახედა, ყველაზე დიდი ციგა შეარჩია და პატარა პატრონს სთხოვა: „ერთხელ ჩავალ, რა...“ უარსაც გააჩნია – ბიჭს არც შეუხედავს მისთვის, ისე გაიქნია თავი. ათი წლის ბიჭი იქნებოდა, წარბებშეკრული, ტუჩებმოკუმული, თავი გაიქნია და მორჩა, უარის თქმა ოდნავადაც არ ეუხერხულა – ხელთათმანი წაიძრო, უბიდან ჩხირი ამოიღო, დაიხარა და ფეხსაცმელთან ბეჯითად მოიცილა თოვლი. ლუკა რაღაცნაირად დაჩიავდა, მოტყდა, ხელებჩამოყრილი, გორაკის თავზე იდგა, მოიბუზა, აღარ იცოდა რა ექნა, რა ჯანდაბა უნდოდა ამ ბაღში, ანდა, საერთოდ, ამ ქალაქში რა უნდოდა და უცებ იგრძნო, ზურგსუკან პალტოზე ვიღაცამ რომ დაქაჩა, შებრუნდა და ჯერ ვერავინ დაინახა. მერე ძირს დაიხედა და განცვიფრდა – ერთი ციდა ბავშვი იყო, ისე შეფუთვნილი, მხოლოდ თვალები უჩანდა; მაინც ეტყობოდა, რომ უღიმოდა, ცალი ხელით ლუკას პალტოს ებღაუჭებოდა, მეორეთი კი თავისი ციგის ღვედს აწვდიდა. ლუკა თავიდან ვერაფერს მიხვდა, ისე დაუჯერებლად პატარა იყო ბავშვი და იმისი ციგა. ორ გაშუქებულ თვალს შესცქეროდა და როცა გამოერკვა, იგრძნო, მასაც შუქი რომ ჩაუდგა თვალებში, ასე იდგნენ და ერთმანეთს მისჩერებოდნენ – ლუკა, თხელი, მაღალი, ზემოდან დაჰყურებდა და, გახარებული, გულიანი ღიმილით უღიმოდა, ის კი პატარა, ბუთხუზა, მრგვალი, ქვემოდან ასცქეროდა და ღიმილით აკიაფებულ მზერას არ აშორებდა. ირგვლივ, ალბათ, ისევ იცინოდნენ და მხიარულობდნენ, მაგრამ ლუკას აღარაფერი ესმოდა, მოჯადოებული, სიხარულისაგან ყელში გორგალმოწოლილი, ამ მოულოდნელად თავსდამტყდარ, გაცისკროვნებულთვალებიან, კოჭებამდე ქურქში შეფუთვნილ ბედნიერებას მოხიბლული დასცქეროდა და მერე ბავშვი უფრო მაგრად დაებღაუჭა პალტოს, ფეხისწვერებზე აიწია, ღვედიანი ხელი ლუკას თითებზე მიადო და ორჯერ დაუქნია თავი... ლუკამ ციგას უმწეოდ

დახედა, ორი მტკაველი თუ იქნებოდა, სიფრიფანა, ჭრელ-ჭრელი ფიცრებით იყო აწყობილი და გაეცინა – რომ დამჯდარიყო, ერთიანად დალეწავდა... ბავშვი ახლა რაღაცნაირი ვედრებითაც კი უყურებდა და ლუკამ ვეღარ მოითმინა, დაიხარა, ხელები წაავლო და აიყვანა, თვალებში ჩახედა და, ისევ გაღიმებულს ყურებიან ქუდზე იქ აკოცა, სადაც ლოყა უნდა ჰქონოდა. ციგა ჯერ ჰაერში კონწიალობდა, მერე კი თოვლზე უხმაუროდ დაეცა, რადგან ბავშვმა ხელები კისერზე შემოაჭდო, სქელი კაშნეთი აფარებული ტუჩები თვალის უპეზე მიადო და ასე აკოცა. ლუკამ მაგრად ჩაიხუტა გულში, ქუდზე გადაუსვა ხელი და თოვლზე ფრთხილად დასვა. მერე დაღმართი ჩაირბინა, ასე სჩვეოდა – თუკი რაიმე ძალიან გაუხარდებოდა, თუკი ნამდვილ ბედნიერებას იგრძნობდა, იქაურობას სასწრაფოდ უნდა გასცლოდა – ეშინოდა რაიმე რომ არ შეცვლილყო. ის კი არა, ქალაქიც იმავე დღეს დატოვა. პირველივე მატარებლით. და დიდი ხნის შემდეგაც, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ათასნაირი ჯურის ხალხი ხვდებოდა და უსამართლოდ აწყენინებდა ვინმე, გულდაწყვეტილსა და გაგულისებულს, როცა დიდი მხარდაჭერა მოუნდებოდა, ლუკა ყოველთვის გრძნობდა, რომ ვიღაცა პალტოზე ექაჩებოდა და მაშინვე თვალის უპესაც ახსენდებოდა სქელი კაშნედან გამოჟონილი კოცნა...

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ლუკას მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

7.

ავთანდილი ცდილობს დაეხმაროს სასოწარკვეთილ ტარიელს:

„ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი,
ერთხელ შეჯე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა მხდელი,
ნუთუ მაშინ მოვიქარვო სევდა ესე აწინდელი;
მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქმნას შენი საქადელი!“

ეხვეწებოდა, „შეჯეო“, აჯას ხვეწნითა არვებდა,
იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა;
ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარვებდა.
დაიმორჩილა, ეამა, არ ივაგლახა, არ ვებდა.

ცხადად უთხრა, „შევჯდებიო, მომიყვანე ცხენი წინა!“
მან მოჰგვარა, წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა;
მინდორთავე წაიყვანა, ტანი მჭევრი აძრვევინა,
ხანი წავლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა.

შეაქცევს და ეუბნების საუბართა შვენიერთა,
მისთვის სძრვიდა სასაუბროდ მათ ბაგეთა ძოწის-ფერთა,
მისი სმენა გააყმობდა მსმენელისა ყურთა ბერთა;
მოაშორვა კაეშანი, დათმობავე შეაერთა.

რა შეატყო მოჯობება მან სევდისა მუფარახმან,

– განანათლა პირი ვარდი სიხარულმან დაუსახმან, –
ცნობიერთა დასტაქარმან, უცნობოთა ოხრვა-ახმან,
ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა რასმე მზრახმან.

შე-რასმე-ჰყვეს საუბარსა, სიტყვა ჰკადრა არ-მალული:
„ერთსა რასმე მოგახსენებ, გამიცხადე დაფარული:
ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,
რაგვარ გიყვარს? რაგვარ გიღირს? თქვი, დავიღო მერმე სული!“

მან უთხრა: „სახე რა გითხრა მის უსახოსა სახისა!
ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა,
მჯობი ყოვლისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ხისა;
არ-სასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა“.

ავთანდილ უთხრა: „ვლამოდი მართ მაგისსავე თქმევასა;
აწ რათგან გითქვამს, პასუხსა გკადრებ და ნუ მეჭვ თნევასა:
სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრის არ-ლევასა,
ამად არ გიქებ საქმისა უარესისა რჩევასა.

სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომჭედლისა დნობილი,
უასაკო და უსულო, არ სიტყვიერი, ცნობილი;
აღარად გინდა ასმათი, – ნახე მართალი ბრჭობილი!
პირველ, გლახ, მისი ნაჭვრეტი, თვით მერმე შენი დობილი,

თქვენს შუა მქმნელი საქმისა, შენგან ნახმობი დობისა,
თქვენი შემყრელი მსახური, შენგან ღირს-ქმნილი ხმობისა,
მისი გამზრდელი, გაზრდილი, მისთვის მიხდილი ცნობისა,
გლახ, დაგიგდია, არ ჰნახავ, შაბაშ მართლისა ბრჭობისა!“

მან უბრძანა: „რაცა გითქვამს, უმართლე ხარ მეტის-მეტად:
საბრალოა ასმათ მისად მგონებლად და ჩემად მჭვრეტად;
მე სიცოცხლე არ მეგონა, შენ მომესწარ ცეცხლთა შრეტად,
რათგან დავრჩი, გვალე, ვნახოთ, თუცავე ვარ ჯერთცა რეტად“.

დაჰმორჩილდა, გაემართნეს ავთანდილ და ამირბარი.
ვერ მიგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი:
კბილნი – ვითა მარგალიტნი, ბაგე – ვარდი ნაპობარი.
გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ავთანდილის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

8.

ყურადღებით წაიკითხეთ ფრაგმენტები ნუგზარ შატაიძის მოთხრობიდან „წერილი ძმას“:

ძმაო სერგო! მე კარგად ვარ. ამჟამად ვიმყოფები ფშავში და ამ წერილსაც მაღაროსკარიდან გწერ... ვიმუშავე ძალზედ ნაყოფიერად – გავაკეთე მრავალი ესკიზი და ჩანახატი...

ერთხელ, როდესაც უკვე ღამდებოდა, სოფელი კი არსად ჩანდა, დავინახე ვიღაც კაცი, რომელიც ბალახს თიბავდა და ვთხოვე, ჩემთვის ღამე გაეთენებინა, რაზედაც იგი სიამოვნებით დამთანხმდა. ეს კაცი აღმოჩნდა ვინმე ხირჩლა ჭინჭარაული, დაახლოებით ორმოცი წლისა. ჩემმა მასპინძელმა ბალახის თიბვა მიატოვა და წინ გამიძღვა. ავიარეთ ფერდობი, ავედით ერთ მოშიშვლებულ მთაზე... დავინახე მიწური სახლი, რომლის წინაც, მოტიტვლებულ ეზოში, 5 თუ 6 ბავშვი თამაშობდა. ჩემს დანახვაზე ისინი დაფრთხნენ და გაიქცნენ.

შევედით მიწურში, სადაც დაგვხვდა მასპინძლის ცოლი – ნაადრევად დაბერებული, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ლამაზი ქალი. დიასახლისმა დაგვსხა ტახტზე, წინ დაგვიდგა პატარა ტაბლა და შეუდგა ვახშმის სამზადისს. მე ინტერესით ვათვალიერებდი ოთახს: გაშავებულ, პატარა ბუხარს, მის თავზე შემოდებულ, გამურულ ფანდურს, წყლის რამდენიმე თუნგს და ხის დერგებს, სადაც ჩემი მასპინძლები ყველსა და ერბოს ინახავდნენ. მაგრამ ეს ყველაფერი დამავიწყა ერთმა საკვირველმა თექამ,[1] რომელიც მოპირდაპირე კედელზე იყო გაკრული...

სივრცის განცდა არის ერთი მთავარი მახასიათებელი ხელოვნებისა. ხევსურულ მიწურში ნანახმა თექამ მე დამარწმუნა, რომ სივრცის გადმოცემა ხაზების სისტემის გარეშე, მარტო ფერების საშუალებითაც ყოფილა შესაძლებელი.

ეს იყო ფანტასტიური აღმოჩენა!.. მე ამ აღმოჩენამ იმდენად შემძრა, რომ დამავიწყდა სად ვიყავი და ვინ ვიყავი. გონს რომ მოვეგე, უკვე ფეხზე ვიდექი და ჩემი გაოცებული მასპინძლების თვალწინ იმ საკვირველ თექას ხელით ვსინჯავდი. ის არ ჰგავდა ჩვეულებრივ აბსტრაქტულ ნამუშევრებს – არც ფერით, არც კომპოზიციით და არც, მითუმეტეს, სიუჟეტით, მაგრამ მასში მე ვგრძნობდი საქართველოს მიწა-წყალს, ზეცას, ჰაერსა და მის გამაოგნებელ კოლორიტს... ჩემი პარიზში ყოფნის დროს ასეთი ორიგინალური არაფერი მენახა. თანდათანობით ვრწმუნდებოდი, რომ მისი ადგილი აქ არ იყო, ეს თექა [პარიზში], ლუვრის საუკეთესო დარბაზში უნდა გამოეფინათ, რათა მისი ხილვით დატკბობის საშუალება მილიონობით ადამიანს მისცემოდა.

ამ ფიქრებიდან მასპინძლის ხმამ გამომიყვანა, რომელიც სუფრასთან მეპატიჟებოდა. ტახტზე ჩამოვჯექი თუ არა, ხირჩლამ ჟიპიტაურით სავსე ყანწი მომაწოდა და მე, როგორც აქ არის მიღებული, დავლოცე მისი ჯალაბი და საქონელი, შემდეგ კი ფრთხილად შევაპარე, რომ თექა ძალიან მომეწონა და რასაც დამიფასებდა, უყოყმანოდ გადავუხდიდი.

მან თავი გააქნია და მთხოვა, რომ ამ საკითხზე აღარ გვესაუბრა.

დავლიეთ კიდევ რამდენიმე ყანწი და ამასობაში დაღამდა კიდეც. არ ვიცი, სასმელის ბრალი იყო თუ კედელში ჩამაგრებული ჭრაქის მოლიცლიცე შუქისა – ხელოვნების იმ ნაწარმოებმა სულ სხვა, იდუმალი ფერი მიიღო და ჩემს თვალწინ სრულიად ახალი ღირსებებით წარმოსდგა... თითქმის მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, სულ იმ თექაზე ვფიქრობდი და ვგრძნობდი, რომ მის გარეშე აქედან წასვლა ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა...

მეორე დილით ადრე ავდექით. დიასახლისმა სუფრა გაგვიშალა... სამ-სამი ყანწი რომ დავლიეთ, მე ისევ თექაზე ჩამოვაგდე ლაპარაკი. მასპინძელმა მითხრა, რომ ის მისი ბებიის დედის, ვინმე გულქან არაბულის, ნახელავი იყო. ჩემის მხრივ მე ვუამბე ჩემი თავგადასავალი – ვუთხარი, რომ მხატვარი ვიყავი და ამ საქმეს საფრანგეთში ცხრა წლის განმავლობაში ვსწავლობდი... არ

[1] იგულისხმება მოთელილი მატყლისგან (თექისგან) დამზადებული ხალიჩა.

დავუმალე, რომ ეს თექა წარმოადგენს სრულიად ახალ, ჯერ კიდევ უცნობ მიმდინარეობას, რომელმაც, შესაძლებელია, რევოლუციური გარდატეხა შეიტანოს თანამედროვე ევროპის მხატვრულ რეალობაში. დასკვნის სახით კი ვუთხარი, რომ ჩვენი ვალია, ეს ნამუშევარი უსათუოდ გავაცნოთ ევროპელ მხატვრებს, რაც ორმხრივ სასარგებლო საქმე იქნება – ჯერ ერთი, რომ ისინი სულ სხვა თვალით შეხედავენ არა მხოლოდ საკუთარ შემოქმედებას, არამედ თვალნათლივ დაინახავენ მხატვრობის განვითარების პერსპექტივას და მეორეც, ჩვენი პატარა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და საამაყო იქნება ის, რომ ამ პერსპექტივას გენიალური ქართველი შემოქმედი, ანუ მისი დიდი ბებია დაუდებს სათავეს... ბოლოს არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ ვუთხარი, თექა უნდა მომყიდო-მეთქი.

არაო, – მიპასუხა, – გუშინაც ხო გითხარი, რომ ვერ გავყიდიო. მაშინ, მაჩუქე-მეთქი! ეს მზაკვრული ხერხი წინასწარ მოვიფიქრე და ჩემი გეგმის კულმინაციად დავსახე, რადგან ვიცოდი, რომ მთიელი კაცი სტუმარს ასეთ თხოვნაზე უარს ვერაფრის დიდებით ვერ ეტყოდა. მართლაც, ჩემს სიტყვებზე ძალიან მოიწყინა, სახე ხელისგულებში ჩამალა და დიდხანს, ძალიან დიდხანს იჯდა ეგრე. მე ვხვდებოდი, რომ მის არსებაში ორი გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს: ვერც თექას ელეოდა და არც სტუმრის წყენინება უნდოდა... ბოლოს, როდის, როდის თავი აიღო და შემომხედა. შევცბი: თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. მერე არაყი დაისხა, დალია და დაახლოებით ასეთი რამე მითხრა: „მე ადრე დავობლდი. ექვსი წლისას დედა მომიკვდა, რვისას – მამა. ბებია მზრდიდა, მაგრამ თორმეტისა რო შევსრულდი, ისიც მომიკვდა. დავრჩი მარტო. საქონელს ვუვლიდი, თივას ვამზადებდი, ტყიდან შეშას ვეზიდებოდი. აქ მკაცრი ზამთარი იცის – თოვლი, ყინვა, ზვავები. კარგად რომ მოვიზარდე, ეს ჩემსავით ობოლი, ბოგანო ქალი შევირთე და ოჯახი კომლად ვაქციე. ექვსი ბალღი გვეყოლა, სულ ერთმანეთის მიმდევნოები. მამლის ყივილზე ვდგები, ვწვალობ, ვშრომობ, წელებზე ფეხს ვიდგამ, რომ ჯალაბი როგორმე გამოვკვებო, მაგრამ მაინც მშივრები და შიშველ-ტიტვლები ვყრივართ. ზოგჯერ ისე შემჯავრდება ყველაფერი, რო თავის მოკვლა მინდება. მოვალ დაღლილ-დაქანცული და ტახტზე მივეგდები – არ ვიცი, თოფი დავიცე თუ ხანჯალზე დავეგო, მაგრამ ამ თექას რო შევხედავ, გულში ნათელი მიდგება, ყველაფერი მავიწყდება, ისევ კაცი მგონია ჩემი თავი, – ერთხანს იყუჩა, მერე ყანწი ისევ შეავსო და თქვა, – ეხლა, როგორც შენ იტყვი, თუ ეგრე გულით გინდა, ადექი, ჩამოხსენი და წაიღე“.

ერთხანს გაოგნებული ვიჯექი, მერე ავდექი, გადავეხვიე, ორთავ მხარზე ვაკოცე, დავემშვიდობე და წამოვედი.

ახლა მაღაროსკარის ფოსტაში ვზივარ და ამ წერილს გწერ. სრულიად არ ვნანობ, რომ ის თექა არ წამოვიღე. ალბათ, ისევ იმ გამურულ კედელზე ჰკიდია და მის პატრონს, ერთ უბრალო ხევსურს, ცხოვრების ამაოებისაგან აწეწილ სულს უმშვიდებს. ხელოვნების უმთავრესი დანიშნულებაც ხომ ეს არის.

მარად შენი მოყვარული ძმა დავით კაკაბაძე.

4 აგვისტო. 1928 წელი.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ წერილის ავტორის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

9.

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი უამბობს ავთანდილს სასახლეში გამართული თათბირის შესახებ, რომელიც ნესტანის გათხოვებას ეხებოდა:

დილასა ადრე სრას მიხმეს, დღე რა ქმნა მწუხრმან ჟამითა;
ავდეგ, ვცნა მათი ამბავი, წასლვა ვქმენ მითვე წამითა;
ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა,
რა მივე, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავჯე სკამითა.

გვიბრძანეს, თუ: „ღმერთმან ასრე დაგვაბერნა, და-ცა-გვლია;
ჟამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვივლია;
ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია,
ყმისა არ-სმა არად გვგავა, ამათ ზედა წაგვითვლია.

აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,
სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ“.

ვთქვით: „თქვენი ძისა არა-სმა გულსა ვით მიეფარების,
მაგრა კმა ჩვენად იმედად, ვინ მზესა დაედარების;
ვისცა სთხოვთ შვილსა სასიძოდ, მას დიდად გაეხარების,
სხვამცა რა გკადრეთ? თვით იცით, მაგას რა მოეგვარების“.

დავიწყეთ რჩევა საქმისა, გული მიც, თუცა მელია;
ვთქვი: „ჩემგან დაშლა ამისა არ ითქმის, არ-საქმნელია!“
მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია,
თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ, მისებრი არ რომელია“.

რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა;
ერთმანერთსაცა უჭვრეტდეს, სიტყვაცა აგრე სწბებოდა.
ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა,
ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა.

დედოფალმან თქვა: „ხვარაზმშა მეფეა მორჭმით მჯდომელი,
მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი!“
შეცილებამცა ვინ ჰკადრა, რათგან თვით იყო მნდომელი!
მოწმობა დავჰრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მხდომელი.

გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოველი,
შესთვალეს: „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოველი;
არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე-გასათხოველი,

თუ მოგვცემ შვილსა სამისოდ, სხვასა ნუღარას მოელი“.

კაცი მოვიდა, აევსო ჯუბაჩითა და რიდითა,
გაჰხარებოდა ხვარაზმშას სიხარულითა დიდითა;
ებრძანა: „მოგვხვდა ღმრთისაგან, ჩვენ რომე ვინატრიდითა!
თვით მაგისებრსა შვილსამცა ჩვენ ხელსა რასა ვჰხდიდითა!“

კვლა გაგზავნეს კაცნი სხვანი სასიძოსა მოყვანებად,
დაჰვედრეს, თუ: „ნუ აყოვნებთ, მოდით ჩვენად ნაბრძანებად“.
მე მაშვრალი, ნაბურთალი, საწოლს შევე მოსვენებად,
გულსა სევდა შემეყარა, ვიწყე ჭირთა მოპოვნებად.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ მეფის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

10.

რომანში „იუპიტერის სინანული“ ჯემალ ქარჩხაძე მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობს რომაელი იმპერატორი ნერონი, გაექცეს ამბოხებულ ხალხს:

ნერონი შავ ცხენზე იჯდა, შავი ლაბადა ეცვა და შავ ღამეს ფრთხილად მიარღვევდა. დიდი გზა არ ჰქონდა გასავლელი. ფაონის მამულამდე ქალაქის ბოლოდან სულ სამი-ოთხი მილი თუ იქნებოდა. გზაზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ქალაქში კი ხმაური იზრდებოდა და თითქოს თანდათან ახლოვდებოდა. ნერონი უკან არ იყურებოდა. წეღანდელი შიში სადღაც გამქრალიყო. შიშის მაგივრად ახლა გულში ნაღველი ედგა, მწარე, ენით გამოუთქმელი ნაღველი, და ასე ეგონა, ხალხი კი არ ხმაურობდა მის ზურგს უკან, ხალხის ყიჟინა და ღრიანცელი კი არ ახლოვდებოდა, არამედ თავად ქალაქი რომი აღმდგარიყო, დაძრულიყო ეს ვეება, საშინელი ურჩხული, სიყვარულ-სიძულვილის გაუგებარი და გამოუხსნელი გორგალი, დაძრულიყო თავის სახლებიანად და სასახლეებიანად, ტაძრებიანად და ქანდაკებებიანად, ქუჩებიანად და მოედნებიანად, დაძრულიყო შვიდივე ბორცვი და ფეხდაფეხ მოსდევდა. და ნერონმა არც კი იცოდა, რა ერჩივნა: გაქცეოდა თუ ვერ გაქცეოდა.

უკან ხმაური იზრდებოდა, ჩირაღდნების რიცხვი მატულობდა და ქალაქი ისე ჩახჩახებდა, თითქოს ხანძარი გასჩენიაო. წინ კი სიბნელე და სიწყნარე იყო. ნერონი თავისდაუნებურად ყურს უგდებდა ქალაქის ხმაურს და ნაღველში გახსნილი შიშით გაჟღენთილ გულში დროდადრო მწარე სიცილი უფეთქავდა. სულელი რომაელები თავიანთი სისულელის გამო დარწმუნებული არიან, რომ, როგორც კი ნერონს მოიშორებენ, მყისვე ღვთაებრივი სამართლიანობის მარადიულ ნათელში შევლენ. ბრმა გულუბრყვილობა. ჭკუამოკლე სიხარული. ბერწი მეხსიერება. ამათ სიახლე განახლება ჰგონიათ და ამიტომ დღეს ისეთივე აღტაცებით ზეიმობენ ნერონის დამხობას და გალბას აღზევებას, როგორი აღტაცებითაც გუშინ კლავდიუსის დამხობა და ნერონის აღზევება იზეიმეს... და ტრიალებს ასე წუთისოფელი ბრმა შურისძიებასა და ცრუ იმედს შორის... ამაოება... და ნერონიც,

ამხელა ხელოვანი, ისე გაიხსნა და განზავდა ამაოებაში, ერთი ღირსეული ლექსი ვერ შეთხზა!.. რაც აქამდე უკეთებია, მხოლოდ მზადება და ვარჯიში იყო. ნუთუ ყოველივე მზადებით უნდა დამთავრდეს?.. რად გინდოდა ეს იმპერატორობა?! რა ხმლად და ფარად გამოგადგება?! რატომ გვიბნევენ ასე უმოწყალოდ გზა-კვალს ღმერთები, რატომ? ახლა რომ ყველაფრის თავიდან დაწყება შეძლებოდა, ნერონი ბრიტანიკუსს დაუთმობდა პირველობას – თვალის ჩინივით გაუფრთხილდებოდა, რომ შემთხვევით საჭმელში საწამლავი არ შეჰყოლოდა – თვითონ კი ფაფუკ ღრუბელში გაეხვეოდა და სამხრეთის ნიავს გაჰყვებოდა, თავის სიცოცხლეს ლექსებად დაჭრიდა, ტკბილი სიმღერის ნაკურთხ ჭურჭელში ჩააწყობდა და ხელოვნების წმინდა ცეცხლზე მსხვერპლად მიიტანდა, რათა შეწირული მსხვერპლისაგან სხვა სიცოცხლე წარმოქმნილიყო, რომელიც მარადიული გაზაფხულის უსასრულო ჭალების ბოლოს ზეციურ მწვერვალზე შედგამდა ფეხს, სადაც დიდი უსინათლო[2] უკვდავ ღმერთებს ლექსად ებაასება. ეს იყო ნერონის მოწოდება და არა იმპერატორობა.[3] მაგრამ ნერონი ამას გვიან მიხვდა... თუმცა, ვინ იცის, იქნებ არც არის გვიან?.. ამაღამდელ ღამეს თუ გადაურჩა... ფაონის მამულში ეპაფროდიტუსი ელის. იქნებ ოსტიაში ხომალდი ჰყავს გამზადებული? იქნებ მოესწროს გაქცევა?..

მარციუსის არხი გადაჭრა და ფაონის მამულამდე თითქმის აღარაფერი ჰქონდა დარჩენილი, რომ უცებ მარჯვნიდან, სადაც პრეტორიის ბანაკი იყო, გზაზე რამდენიმე მხედარი გამოჩნდა. ნერონს გული გაუცივდა და ცხენი ინსტინქტურად შეაყენა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და მყისვე ისევ განაგრძო გზა, ოღონდ ოდნავ გვერდზე კი შებრუნდა, რომ სახე არ ეჩვენებინა.

მხედრებმა ერთი შეავლეს თვალი, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ, თავიანთი გზით წავიდნენ. ნერონმა შვებით ამოისუნთქა და იმავ წამს კიდევ ერთი მხედარი დაინახა, რომელიც, ჩანს, დანარჩენებს ჩამორჩენოდა. დიდი იყო, ფართო მხარ-ბეჭი ჰქონდა, გაჩაჩხული იჯდა ცხენზე და თავისთვის რაღაცას ღიღინებდა. ნერონი რომ დაინახა, ღიღინი შეწყვიტა, ყურადღებით დააცქერდა, ერთხანს ასე უყურა, მერე უცებ თავისი ცხენი მის ცხენს გაუპირდაპირა და ნაბიჯსაც აუჩქარა. ნერონს ისევ გაუცივდა გული. ნუთუ ეს არის? ნუთუ ეს დათვი აირჩია ბედისწერამ იმპერატორის მკვლელად?.. მხედარი აშკარა ქადილით მოდიოდა და ნერონის გული – პატარა, გამხმარი, უსიცოცხლო – მკერდის ბნელ ღრუში უსასოოდ ცახცახებდა და უხმოდ ფეთქავდა. ნერონი ცდილობდა სახე მოერიდებინა, თან ჩუმად უთვალთვალებდა. ჯერ ანიკეტუსს მიამსგავსა, მერე ანიკეტუსის ცენტურიონს, რომელიც ანიკეტუსს ჰგავდა. ერთი დაპირება დააპირა, ცხენი გვერდზე გაეწია, მაგრამ ძალა არ ეყო. როდესაც სულ ახლო მოვიდა, ისე, რომ ცხენებმა ლამის შუბლი შუბლს მიაბჯინეს, მხედარი უცებ შეკრთა, თვალები გაუფართოვდა, სახეც შეეცვალა, სწრაფად მოზიდა მარჯვნივ აღვირი და ნერონს გზა მისცა, თან შიშით, განცვიფრებით თუ სიხარულით – ამის გარკვევა ძნელი იყო – ისე, თითქოს ყელში გაჩხერილი ლუკმა უკანვე ამოაგდოო, ამოიძახა:

– დიდება ცეზარს! – და სწრაფად გაეცალა.

ნერონი გახევდა. ერთხანს ასე გახევებული იდგა. ფიქრები დამფრთხალი ჩიტებივით გაიფანტნენ. ბოლოს, როგორც იქნა, დამშვიდდა და გულში იმედი და სიხარული აუმოძრავდა. მეომარმა იცნო. იცნო და, იმის ნაცვლად, რომ მოეკლა, სალამი მისცა. განა მთელი ლაშქარი ასე არ მოიქცევა? იმპერატორის ურჩობა ადვილია, სანამ იმპერატორი არა ჩანს. როგორც კი დაინახავენ,

[2] იგულისხმება ანტიკური სამყაროს გამოჩენილი პოეტი ჰომეროსი, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, ბრმა იყო.

[3] ნერონი თავს დიდ პოეტად და მსახიობად მიიჩნევდა.

ყველანი ასე შეშინდებიან. მთავარია, ნერონმა გაბედოს და თავაწეული, მხნე ნაბიჯითა და ზვიადი ღიმილით წარდგეს ხალხისა და ლაშქრის წინაშე...

ცხენი ნელა მიატრიალა და გაიხედა, მაგრამ, ქალაქის ბორცვებზე რომ ურიცხვი ჩირაღდანი დაინახა და ყრუ გუგუნი გაიგონა, რომელშიაც არტახებშეხსნილი მუქარა იდგა, ცხენი უკანვე შემოატრიალა. არა, ის ქალაქი – ანთებული, აღტკინებული, იმედიანი – მისი აღარ იყო.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ნერონის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- დაახასიათეთ ავტორის თხრობის მანერა და ტექსტის ენობრივი თავისებურებები.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

11.

ტარიელი ავთანდილს უამბობს მეფის სასახლეში გამართული თათბირის შემდეგ ნესტანთან შეხვედრის ამბავს:

ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული,
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული;
ასმათმან დამსვა შორს-გვარად გულსა მე ლახვარ-ხებული;
მერმე წამოჯდა წარბ-შერჭმით, გამწყრალი, გარისხებული.

მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხვე მშლელი პირისა მტკიცისა,
გამწირავი და მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა!
მაგრა ნაცვალსა პატიჟსა მიგცემსო ზენა, მი-, ცისა!“
ვჰკადრე: „რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მე უიცისა?..“

„შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად მოყვანება?!
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება;
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება.
ღმერთმან ქმნა და დაგირჩინა ცუდად შენი ხელოვნება!

გახსოვს, ოდეს „ჰაის“ ჰზმიდი, ცრემლნი შენნი ველთა ჰბანდეს,
მკურნალნი და დასტაქარნი წამალთა-ყე მოგიტანდეს?
მამაცისა სიცრუეთა სახენიმცა რანი ჰგვანდეს!
რათგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ვინმი უფრო დაზიანდეს!

ამას ვბრძანებ: ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა,
ეგრეც მე მაქვს პატრონობა, უგზოს ვლიდენ, თუნდა გზეთსა!
ეგე აგრე არ იქმნების, წა, მომცთარხარ მოსაცეთსა,
აზრნი შენნი შენვე გგვანან, მტყუანსა და შენ აგეთსა!

ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო!
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!
სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო“.
ესე სიტყვა დაასრულა, ყმა ატირდა, სულთქვნა, აჰ-ყო.

თქვა: „რა მესმა ესე მისგან, მეიმედა მეტის-მეტად,
კვლა მიეცა თვალთა ძალი მის ნათლისა ეგრე ჭვრეტად.

აწ დავკარგე; რად არ გიკვირს, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რეტად?
ვა, სოფელო უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად!

შევჰხედენ, ვნახე სასთუნალ მუსაფი გაშლით მდებარე,
ავიღე, ავდეგ მე ღმრთისა და მერმე მათი მქებარე,
ვჰკადრე, თუ: „მზეო, დაგიწვავ, ჩემიცა დაწვი მზე ბარე!
რათგან არ მომკალ, პასუხი ერთაი გკადრო მე ბარე.

რომე გკადრებ, ესე სიტყვა აწ თუ ცუდად ნალიქნია,
ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყოლა ჩემთვის ნუ შუქნია!
თუ მაღირსებ განკითხვასა, ავი არა არ მიქნია“.
მან მიბრძანა: „რაცა იცი, თქვიო“, თავი დამიქნია.

კვლაცა ვჰკადრე: „მე თუ, მზეო, თქვენთვის ფიცი გამეტეხოს,
ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთვის გაამეხოს!
ვისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მეხოს?
მაშა მაშინ რაგვარ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მეხოს?“

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ნესტანის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

12.

თხზულებაში „იუპიტერის სინანული“ ჯემალ ქარჩხაძე იმპერატორ ნერონის უკანასკნელი ღამის შესახებ მოგვითხრობს:

ანიკეტუსისთანა ერთგული ქვეშევრდომი ნერონს სხვა არავინ ჰყოლია – ეტყობა, ერთგულება მართლა სიბრიყვის უკანონო შვილია - და ნერონმაც ღირსეულად დაუფასა სამსახური[4]: სხვები რომ სიკვდილით დასაჯა, იმას გადასახლება აკმარა. ალბათ, აჯობებდა არც გადაესახლებინა. ახლა რომ აქ ჰყოლოდა, დიდი ნუგეში იქნებოდა. ანიკეტუსი არ გაიპარებოდა. ანიკეტუსი არ მიატოვებდა თავის იმპერატორს... მერედა, საიდან უნდა სცოდნოდა ნერონს, რომ ანიკეტუსი სანატრელი გაუხდებოდა?! განა უნდოდა გადაესახლებინა, მაგრამ რა ექნა? უკეთესი და უარესი მხარე ყველფერს აქვს. ანიკეტუსმა დავალება კი პატიოსნად შეასრულა მაშინ, მაგრამ ასევე პატიოსნად რომ უამბო ყველაფერი, მას შემდეგ ნერონს მის დანახვაზე ყოველთვის გაუგებარი ზიზღი ეუფლებოდა და, რომ არ მოეკლა, იმიტომაც გადაასახლა...

ჩუ!.. გაიფაჩუნა რაღაცამ თუ არ გაიფაჩუნა?

ჯერ ეგონა, რომ გაიფაჩუნა, მერე, განაბულმა რომ დაძაბულად მიუგდო ყური, იფიქრა, მომეჩვენაო, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც გახურებულმა გონებამ ორივე ვარაუდი შეძლებისდაგვარად აწონ-დაწონა, მიხვდა, რომ სულ ერთი იყო, მოეჩვენა თუ მართლა გაიფაჩუნა. თუ არ გაიფაჩუნა, გაიფაჩუნებს. ღამის სიბნელეში ჩაფლული ვეება ბაღი მკვლელებითაა სავსე.

[4] ნერონმა საკუთარი დედა, აგრიპინა, ერთგულ ანიკეტუსს მოაკვლევინა.

ბევრნი არიან და ყველგან არიან. ბუჩქებში, ხეების ძირას, ქანდაკებების უკან, სვეტებქვეშ... შეიარაღებულები, გაფაციცებულები, მომზადებულები... ნიშანსღა ელიან, რომ შემოცვივდნენ და ყოველი მხრიდან ერთდროულად დაესხან თავს... ნეტა ყველა ნერონივით კანკალებს სიკვდილის მოლოდინში, თუ ნერონი განსაკუთრებით მგრძნობიარეა? რომ სცოდნოდა, სიკვდილთან შეხვედრა ასეთი ძნელი იქნებოდა, ეგებ ამდენი ხალხი არც დაეხოცა. მაგრამ, საკუთარ თავზე თუ არ გამოსცადე, ისე სხვის სიმწარეს როგორ გაიგებ?.. ანიკეტუსი ირწმუნებოდა, აგრიპინას შიშისა არაფერი ეტყობოდაო. თუმცა ანიკეტუსი რას შეამჩნევდა! სენეკა?[5] აკი სენეკამ, როგორც ნერონს უამბეს, საკუთარი მაგალითით დაამტკიცა, რომ სოკრატეს[6] აუმღვრეველი სიმშვიდე მითი და ლეგენდა არ ყოფილა! დაამტკიცა კია?.. ნერონს წამით ყელში სიბრაზე მოაწვა და ინანა, რომ სენეკას ასეთი ზარ-ზეიმით მოაკვლევინა თავი იმის ნაცვლად, რომ ჩუმად და უხმაუროდ მოეშორებინა, როგორც ბუროსი მოიშორა, რომელსაც წამლად საწამლავი შეაპარა.

საწამლავის ხსენებაზე აბურდული ფიქრები უეცრად ადგილზე გაშეშდნენ. გუშინ, როდესაც საბოლოოდ გადაუწყდა იმედი და დარწმუნდა, ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა, საწამლავი მოიმარაგა; სათუთად ჩადო ოქროს პატარა კოლოფში, როგორც უკანასკნელი ნუგეში, რომელსაც შერცხვენისგან უნდა ეხსნა და თან წამოიღო. სასაცილოც იყო და გულისმომკვლელიც, რომ საწამლავი იმ ავყია ლოკუსტას გამოართვა, რომლის ხსენებასაც კი ვერ იტანდა...

უეცრად ტვინში რაღაც განათდა. პირველი მკვლელობაც ლოკუსტას საწამლავით ჩაიდინა და უკანასკნელი მკვლელობაც ლოკუსტას საწამლავით უნდა ჩაედინა. ეს ხელოვნებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცხოვრებას. ამის გაფიქრებაზე ნაწლავებზე რაღაცამ საამოდ და სევდიანად შეუღიტინა, ხოლო იმავ წამს ის ლექსები მოაგონდა, რომლებიც ჯერ არ შეეთხზა და, ჩანს, ვერც ვეღარასოდეს შეთხზავდა, და ამჯერად ის ადგილი, სადაც წეღან შეღიტინება იგრძნო, მწარედ აეწვა. საწამლავი სად შეინახა, აღარ ახსოვდა და იმაზე დაიწყო ფიქრი, გაეხსენებინა თუ არა. სიკვდილის შიში ერთი უმთავრესი ადამიანური თვისებაა და თუ აგრიპინამ არაფერი შეიმჩნია, ან სენეკამ არაფერი შეიმჩნია, ან სხვებმა – თუნდაც სოკრატემ – არაფერი შეიმჩნიეს, იმიტომ კი არა, რომ არ ეშინოდათ, არამედ იმიტომ, რომ შიში ხელოვნურად დამალეს და ბუნებას აუმხედრდნენ. ბუნების წინააღმდეგ ამხედრება კი უგუნურებაა. ნერონზე შორს ამ გზაზე არავინ წასულა და ნერონზე უკეთ არავინ იცის, რომ ბუნების ნიღბით შეცვლა შეუძლებელია, რადგან ეს ღმერთების არსებობას ხიფათს უქმნის, ხოლო რაკი ასეა, შიშის გამომჟღავნება არ არის სირცხვილი, პირიქით – შიშის დამალვაა სირცხვილი. გონიერების მაგალითი კი ვინ უნდა მისცეს ადამიანებს, თუ არა ადამიანთა შორის უკეთესმა?..

ასეთი ახსნა გასაჭირში ჩავარდნილ პატივმოყვარეობას თავიდან კარგ სალბუნად დაედო და ნერონს გულს მოეფონა, მაგრამ მალე ისევ შემოეპარა ეჭვი: თუ მაინც ისა სჯობს, სიმამაცის მაგალითი მისცეს ადამიანებს იმპერატორმა და არა შიშის?..

საბოლოოდ გადაწყვიტა, დრო არ დაეკარგა და საწამლავი მოეძებნა, რათა საჭიროების შემთხვევაში ორივე მაგალითის მისაცემად მზად ყოფილიყო, მაგრამ, მისდა გასაკვირად, საწამლავი ვერსად იპოვა, თუმცა მთელი ოთახი გადააქოთა. ნერონი შეფიქრიანდა. კარგად ახსოვდა, რომ საწამლავი ნამდვილად წამოიღო. მაშ, რა იქნა? „ალბათ, ბიბლიოთეკაში დავტოვე“, – იმედიანად

---

[5] სენეკა - რომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ორატორი და ფილოსოფოსი, ნერონის აღმზრდელი, რომელმაც იმპერატორის ბრძანებით თავი მოიკლა.

[6] სოკრატე - ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი, რომელმაც უდრტვინველად მიიღო სასიკვდილო განაჩენი და თვითონ დალია საწამლავი.

თქვა გულში მცირე ყოყმანის შემდეგ. ბიბლიოთეკა გვერდით იყო, მარცხნივ, და საწოლი ოთახისგან მაღალი, მოჩუქურთმებული კარი ჰყოფდა. ნერონი ამ კარს მიადგა. ჯერ მიაყურადა, მერე ნელა შეაღო. რაკი საშიში ვერაფერი შეამჩნია, გაბედა და ფრთხილად შევიდა... სიბნელეს თვალი შეაჩვია და საწამლავს დაუწყო ძებნა. დიდხანს ეძია. თაროებზე, მაგიდაზე, ქანდაკებათა კვარცხლბეკებზე, იატაკზე, გრაგნილებს შორის, დაფებს შორის... საწამლავი უკვალოდ გაქრა. ალბათ, მცველებმა მოიპარეს და თან წაიღეს, ან მსახურებმა... რა უნდოდა საწამლავს ოქროს კოლოფში!..

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ნერონის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- დაახასიათეთ ავტორის თხრობის მანერა და ტექსტის ენობრივი თავისებურებები.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

13.

ყურადღებით წაიკითხეთ ოთარ ჭილაძის ლექსი „გამოთხოვება“:

რა მოხდა, თუკი ვეღარ შევხვდებით.
ამქვეყნად რაც კი ხდება შემთხვევით, -
მარადიული ის არის მხოლოდ
და ასეთია ყოველთვის ბოლო
ნამდვილი გრძნობის, განცდის და ვნების.
და მეც ამ დიდი კანონის ნებით
მიყვარხარ!
მაგრამ ამ სიტყვას ახლა
იაფი სცენის სურნელიც ახლავს,
რაც არ უხდება და არც ჭირდება,
ამიტომ, ალბათ, გამიჭირდება
მისი წარმოთქმა. მაგრამ გახსოვდეს,
მაგრამ გჯეროდეს, რომ არასოდეს
არ დაგავიწყებ ჩემს ხმას და სახელს,
შენგან მრავალი ტკივილის მნახველს.
და გზა, რომელიც გაიყო ორად
და უკვე იქცა ცოდვად თუ ჭორად,
იყოს დღეგრძელი, რომ შენი წილი,
თავისი ღორღით, მტვრითა და ჩრდილით,
ტანჯვის გზად იქცეს და უცხო თვალი:
ყრმის თუ მოხუცის, კაცის თუ ქალის,
გხედავდეს მხოლოდ ამ გზაზე მავალს,
რადგან დღეიდან მე შენი ხმა ვარ.
რადგან მე უკვე ვიყავი ღმერთი
და მოვიგონე ეს გრძნობა ჩემთვის,
ჩემს დასაცავად და დასაღუპად.
და რისხვა, გულმა რაც დააგუბა,
რაც გულს აქამდე ძალით ეკავა,

წვრილმან გრძნობების წასალეკავად
გასასვლელს ეძებს, რომ დღეის იქით
შენს ნაკვალევზე დიოდეს იგი.
და უსასრულოდ, დღისით თუ ღამით,
და თუნდაც მხოლოდ სულ ერთი წამით
იქცეს კოშმარად და მოჩვენებად,
დაგიფრთხოს ძილი და მოსვენება,
რომ ფრთებშეკვეცილ ფრინველის მსგავსად
აღარ შეგეძლოს გაფრენა არსად.
მერე რა მოხდა, თუ უცხო თვალი,
ჩვენი უცნაურ სეირით მთვრალი,
ბაგეს გადასცემს დამცინავ ღიმილს
და იმ ღიმილის უხეში ქიმი
გაგვივლის გულში...
შენ კი გახსოვდეს,
რომ ვერ მიაგნებ ხსნას ვერასოდეს,
რომ მე ვარ ჯვარიც და ეშაფოტიც
და ჩემი სულის ყველა ნაფოტი
იმ კოცონისთვის გროვდება ახლა,
რომელზეც შენი სურვილით ახვალ.
მაგრამ იქამდე შენი სახელი,
ვით ჩემი მტრების თანამზრახველი,
ან ვით ურჩხული: ცხრა ხმით, ცხრა ხელით
დამახრჩობს, თუკი ამოძახებას ვერ შევძლებ უცებ.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ლირიკული გმირის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ, რა შეიძლება იყოს ამ სასიყვარულო ურთიერთობის დასრულების მიზეზი;
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

14.

ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ვკითხულობთ, თუ როგორ მოატყუეს ლუარსაბ თათქარიძის ძმა დავითი და ნიშნობაზე საპატარძლოს ნაცვლად ერთი „მოხდენილი ახალგაზრდა გოგო“ აჩვენეს:

მოსემა და სუტ-კნეინამ ესე დააწყეს საქმე... კაი ბადე დაუგეს ლუარსაბსა და კარგადაც გააბეს.

ორი კვირა რომ გავიდა, აღტაცებულმა ლუარსაბმა, აქაო და საქმე გარიგდაო, კარგის ნიშანით თავისი უფროსი ძმა დავითი გამოისტუმრა. დიდის ყოფით მიიღეს დავითი. ხალხი მოსემ არ მოიწვია, სრულიად არავინ, რომ ეშმაკობა არ შეუტყონ, ლუარსაბსაც მისწერა – ნურავის შეატყობინებო. აი, ის წიგნი ნამდვილი თავისი ღირსებით და შეცდომებით:

„ჩემო აღმატებულო ბედნიერო გვაროვანო სიძეო:.

თუმცა დიდად ბედნიერი ვარ რომელიცა რომა შენგანა ვარ დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით აღავსე ნეტარითა სიძოობითა თქვენითა და თვალი ჩემი აახილე

რომელიცა რომა დაინახა ისევ გაზაფხული მუხთალისა სოფლისა ამისა ფრიად სიხარულში ვარ რომელიცა ეხლა ვარ ჩემო აღმატებულო გვაროვანო სიძეო რომელიცა გთხოვ გამოგზავნო ნიშანი რომა საქმემ არ დაიგვიანოს დიდი ხალხი არ გამოგზავნო რომელიცა რომა მე მოხუცებული კაცი ავადა ვარ სნეული და პატივი და მასლაათი და ქეიფი რომელიცა აწ მე აღარ ძალმიძს რომელიცა ფრიად შეაწუხებენ ქორწილში რომელიც თქვენ იქნებით ჩემს სახლში მასპინძელი დიაღ დიდი ხალხი მოვიწვიოთ თქვენცა დიდი და პატიოსანი ნათესაობა გყავს რომელიცა არც მე ვარ უნათესაო და ბლომად შევყაროთ ისე როგორათაც შეჰფერის დიდებულს გვაროვნობასა თქვენსა და ჩემსა ოჯახს სახლკარიანობასა ჩემსა...

სხვებრ ბძანდებოდეთ ბედნიერებით იესო ძე ღვთის მიერ ვითხოვ თქვენს ბედნიერებას რომელიცა რომა მსურს ნახვა თქვენი თქვენი სიმამრი ბრწყინვალე თავადი მოსე ნოშრევანისძე გძელაძე:.“

რასაკვირველია, თავაზიანი ლუარსაბი ამ წიგნის შემდეგ აღარ გაგზავნიდა ბევრს ხალხსა. მარტო ერთი დავითი და ერთი კიდევ ვიღაცა გამოისტუმრა, რომ ახალი სიმამრი, რადგანაც ავად არის, არ შეაწუხონ, დავითს კი დააბარა, რომ ფულზედ კარგად მოილაპარაკოს, როდის ჩააბარებენ, და მერე ქალი კარგად გასინჯოს.

დიდის პატივით მიიღო მოსემ დავითი. ქალის მაგიერად ის მშვენიერი გოგო მორთეს და დავითს ისე აჩვენეს. დავითი გაგიჟდა – რომ დაინახა და გულში არ იყო რომ შურმაც არ გაუარა, ნამეტნავად თავისი მჭლე ცოლი რომ მოაგონდა ამასთან. ვახშამზედ რომ ისხდნენ, მარტო ოთხნი იყვნენ – დავითი და ამასთან მოყოლილი ის ვიღაცა, თითონ მოსე და ამისი მოზრდილი შვილი... მოსემ ბოდიში მოიხადა, რომ ხალხი არ დაუპატიჟა ამისთანა ბრწყინვალე გვარიშვილებსა.

– რა ვქნა, შენი ჭირიმე, – უთხრა დავითს მოსემა, – ჩემო ახალო მოყვარევ! ავადა ვარ, თასლიბს ვერ გავუწევდი. სიძუნწეში არ ჩამომართო, შენი ჭირიმე! აბა, ჯერ ისე ავადმყოფი რა არის, მერე მასპინძელი რა უნდა იყოს. თორემ იმდენი სიკეთე ღმერთმა შენ მოგცეს, რამდენი ნათესაობა და მახლობლობა მე მყვანდეს. მაგრამ ჩემი მაყურებლები რა ქეიფს გასწევდნენ. ისევ ის ვამჯობინე – ნუ დავპატიჟებ-მეთქი. ამ ნიშნობამ ისე შინაურულად ჩაიაროს, ქორწილი კი ჩემს კისერზედ იყოს. ქორწილისა რა ბძანა ჩემმა სიძემა?

– რაც ჩქარა იქნება, ისა სჯობიაო, – უპასუხა დავითმა, – პირფერობაში კი ნუ ჩამომართმევთ და ეს ქალი რომ ჰნახოს იმან, იმ წამშივე ჯვარს დაიწერს, თავი არ მომიკვდება!

– მზეთუნახავი ყოფილა, – დაუმატა სტუმარმაც.

– რა ვქნა? მადლობა ღმერთსა, ღმერთმა ეგ მომცა და ყველაფერი ღვთის ნებაზედ ჰკიდია, – სთქვა მოსემა, – მიხარიან, თქვენმა მზემ, რომ ქალი მოგეწონათ.

– ღმერთმა აცოცხლოს პატარძალი! – წამოავლო ჯამს ხელი დავითმა, – ღმერთმა ტკბილად შეაბეროსთ ერთმანეთს!

– მადლობელი ვარ, თქვენი ჭირიმეთ! – დაუკრა ყველას თავი მოსემა. – მაშ რაც მალე იქნება, ისა სჯობია.

– იმან ისე მოგახსენათ, – უპასუხა დავითმა, – მეც, სწორედ მოგახსენოთ, მაგას ვურჩევ ჩემს ძმასა. რაღა გავაგრძელოთ საქმე.

– ჩემის ფიქრითაც ეგრე სჯობია, – სთქვა მოსემა. – ქალი აქა ჰდნება – მამისაგან კი არ უნდა ითქვას ესა, მაგრამ შორეული ხომ არა ხართ, თქვენთან რა დავმალო, – ქალი აქა ჰდნება...

– ის კიდევ იქ, თქვენმა სიცოცხლემ! – წაართო სიტყვა დავითმა.

– მაშ, როცა მიბძანებთ, მაშინ იყოს ქორწილი, – სთხოვა მოსემა.

ერთის სიტყვით, გადასწყვიტეს, რომ სამშაბათს საღამოზედ სიძე უნდა მოვიდეს და იმ ღამესვე ჯვარი უნდა დაიწეროს. მეორე დღეს დავითმა ფულზედ ჩამოუგდო ლაპარაკი. მოსემ დააჯერა, რომ ქორწილის მეორე დღეს ორასს თუმანს სულ ბაჯაღლო ოქროებს თავის ხელით მიართმევს. ხელი-ხელს დაჰკრეს, დავითი – მეორე დღეს პატარძალი აღარ აჩვენეს – შინ წამოვიდა და მოსე თავის სახლში დარჩა. როცა მოსემ ცხენზედ შესო და გამოისტუმრა დავითი, როცა მარტო დარჩა, ხელები დაიფშვნიტა მეტის სიხარულისაგან და სთქვა ღიმილით: ყოჩაღად წავიყვანე საქმე. ეხლა ჩემი წუხილი მარტო ის არის, რომ სუტ-კნეინას ხრიკი მოვუგდო, ერთი მიზეზი რამ მოვუგონო, რომ ფული აღარ მივცე იმაზედ მეტი, რაც მიმიცია, თორემ, იმისგან რომ მოვტყუვდე, სირცხვილია.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ მოსე გძელაძის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ მომავალი ქორწინების მიმართ თათქარიძეების დამოკიდებულების შესახებ;
- დაახასიათეთ ავტორის თხრობის მანერა და ტექსტის ენობრივი თავისებურებები.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

15.

ყურადღებით წაიკითხეთ ტიციან ტაბიძის ლექსი „მეარღნეები და პოეტები“:

...და ალიონზე თეთრ დუქანთან
სტირის არღანი.
მტკვარი ახლოა, უნდა მტკვარში
თავი დავიხრჩო.
სიყვარულისგან მეტ მოთმენის
არა მაქვს ღონე,
მინდა ამ დილას ამ ცივ მტკვარში
თავი დავიხრჩო.
მეტი მოზიდეთ კალმახები
მაშ არაგვიდან,
რაც იყოს იყოს, ამ ქეიფსაც
ერთხელ ავიტან.
ერთ ლამაზ ქალზე მარტო ერთი
ლექსი დარჩება,
განა გავხდებით პოეტები
ლექსის ჩარჩებად?..
– ნინა, ნინა, ჩემო ნინა
გათხოვება, ხომ არ გინდა?
– გათხოვება რომ მინდოდეს,
შენი კითხვა მე რად მინდა?“
ასე მეარღნე, დაამტვრიე,
დასცხე, გეთაყვა,
აბა რად გიღირს ერთი ძველი
შენ მუხამბაზი!
რამდენი ძველი სიყვარული
ამ მტკვარს თან გაჰყვა,

ზაჰესის სინას ხომ გაჰყვება
ახლაც ჯამბაზი.
„შაბათი რომ დაღამდება,
კვირა გათენდება.
თამრიკო მოწამლულა,
რაღა მეშველება?“
ტყვილი იქნება, ჩემო ძმაო,
თავს ვინ იწამლავს?
ალბათ იმ ქალსაც სულ ტყუილად
ჰქვიოდა თამრო!
ის სხვა სიყვარულს უეჭველად
გულში იმალავს,
რამდენიც გინდა, თვითონ ვიცი,
იმას ჰყავს საქმრო...
ჩემო მეარღნევ, გენაცვალე,
წაიღე სული,
საქართველოში ნეტა ასე
ვინმეს ვუყვარდე!
რა ვუყოთ მერე, პოეტი ვარ
ხელით წასული, -
საქართველოში ხომ ფეტვივით
სთესავენ ვარდებს!
ვიცი გიყვარვარ, ასე მწარედ
მიტირებ არღანს,
ვიცი გიყვარვარ, რომ არ გინდა
მოკვდეს თამარი.
შენ, ჩემო ძმაო, თუ მოკვდები
არვინ დაგმარხავს,
თავის სამარხი ზედ გარტყია
ვერცხლის ქამარი.
ცდები, მეარღნევ, გათხოვდება
ეგ შენი ნინა!
არ დაიჯერო, ის თამრიკოც
რომ მოიწამლოს.
ქალი ქალია, დიდხანს უქმროდ
რამ არონია,
ქალი ქალია და იშოვის
თავის მალამოს.
უბრალოდ ვკვდებით მეარღნეები
და პოეტები,
მაგრამ ჩვენ ალბათ თავის მოკვლაც
გვეპატიება...

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ არის გამოხატული ლექსში ლირიკული გმირის განცდებისა და ყოფითი გარემოს ურთიერთმიმართება;

- იმსჯელეთ, რატომ უნდა იყოს მნიშვნელოვანი ავტორისათვის თვითმკვლელობის თემა;
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

16.

ილია ჭავჭავაძის თხზულებაში „კაცია-ადამიანი?!“ მოთხრობილია ლუარსაბისა და დარეჯანის დაქორწინების ამბავი:

ქორწილის ღამეს დიდი ამბები მოხდა. მოვიდა სიძე დიდის მაყრიონით, ძმაც თანა ჰყვანდა, სწორედ სამშაბათს დღეს. იმ დღეს საცოლო არ აჩვენეს, რასაკვირველია. მოსესაც შეეყარა დიდი ხალხი. უგანზრახვოდ არ იყო ეს ხალხის შეყრა მოსეს მხრით... როცა ყველაფერი მოამზადეს, მერე მიიპატიჟეს საქმროცა. როცა შევიდა ლუარსაბი საყდარში და თვალი მოჰკრა თავის საცოლოსა, ელდა ეცა. მოუბრუნდა თავის ძმას დავითს, თავაზასაც და ზრდილობასაც თავი დაანება და უთხრა:
– დავით, აკი მზეთუნახავიაო?

ხალხს სიცილი წასკდა, საწყალი პატარძალი სირცხვილით აინთო და ტირილი დაიწყო. დავითი წინ წადგა; რომ დაინახა ერთი უმსგავსო პატარძალი, მღვდელს მიუბრუნდა: – მამაო! ჯერ სხვა იწერს ჯვარს, თუ ეს რა ამბავია?

– კნიაზი ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯან მოსე გძელაძის ასული იწერს ჯვარს, – მიუგო მღვდელმა.

– პატარძალი სად არის?

– აი, ესა ბძანდება.

– ლუარსაბ! – დაუძახა ძმას დავითმა, – მოგვატყუეს, ეგ ის არ არის, ჯვარი არ დაიწეროო.

მთელი ხალხი გაოცდა. ლუარსაბი დაღონებული და უფრო გაფითრებული გამოვიდა საყდრიდან, მთელი მაყრიონი გამოჰყვა. ცხენები მოიკითხეს, უნდა წამოსულიყვნენ. ცხენები დაემალათ. შეატყობინეს მოსეს, რომ საქმრო ჯვარს არ იწერსო. მოვიდა მოსე და თან მოიყვანა მრავალი ხალხი.

– კნიაზო დავით! ეს რა ამბავია? – უთხრა გაჯავრებულსავით მოსემ, – ქალი საყდარშია და საქმრო ეხლა დადგა უარზედ? აქამდინ სად იყავით, თუ არ გინდოდათ ჩემი ქალი? ვინ გეხვეწებოდათ? თქვენისთანა ოჯახისშვილები მეხვეწებოდნენ, რომ არ მივეცი!

– აი, ბატონო, ქალი მანდ არის და, ვისაც გნებავდეთ, იმას მიეცით. ჩემი ძმა კი მაგის შემრთველი არ არის, – მიუგო თავგამოდებით დავითმა.

– ეხლა განა? როცა მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომ ჩემს ქალს ირთავს შენი ძმა, როცა შენმა ძმამ საყდარშიაც შეიყვანა ჩემი ქალი? არა, თავზედ ლაფს არავის არ დავასხმევინებ! ან უნდა ჯვარი დაიწეროს, ან არა და აქედამ ცოცხლები ვეღარ წახვალთ! გაგონილა? სიძე სახლში ჩამიდგეს, ქალი საყდარში შეიყვანოს და ჯვარი აღარ დაიწეროს!..

– ის კი გაგონილა, რომ პატარძალი შეცვალონ! ეს შენი ქალი არ არის.

– ხალხო და ჯამაათო! დახე, რომ ვეღარა მოუგონიათ რა, იმას ამბობენ, შენი ქალი არ არისო, – დაუძახა ხალხს მოსემ.

– მაშ ვისია, თუ მაგისი არ არის! – გაიხმაურა მოსეს ხალხმა, – ჩვენ ფიცს მოგცემთ.

– არა, ბატონებო, ჩემი ძმა ჯვარს არ იწერს. თუ ძალაზედ დადგებით, არც ჩვენ ვართ ლაჩრები, – წარმოსთქვა დავითმა და ხანჯალი მოიმართა. ქალები, ვინც კი იყვნენ საყდარში, სულ აქეთ-იქით

მიიფანტნენ... პატარძალი კი და ორი ვიღაც ბებერი მოსემ საყდრიდამ არ გამოაყვანინა, იმედი ჰქონდა, რომ როგორმე მოახდენდა ჯვარისწერას.

– მაშ მოსე თავადიშვილი აღარ ყოფილა, – წამოიძახა მოსემ, – თუ თქვენ ჩემი ოჯახი შეგარცხვენინოთ; ჩემის ცოცხალის თავით არ ვაკადრებ ჩემს გვარს, რომ თათქარიძეებმა საყდარში ქალი გამიუპატიურონ, ჯვარი უნდა დაიწეროს.

– არ დაიწერს.

– უკანასკნელი სიტყვაა?

– უკანასკნელია.

– დავით! – უეცრად გადაასხვაფერა სიტყვა მოსემ და ხმაც მოურბილა, – აქეთ მობძანდი.

დავითი გაჰყვა. იქით ორნივ გაშორებით გადგნენ. მოსემ ამოიღო ხუთი თუმანი და უთხრა ხმადაბლა დავითს:

– ეს ხუთი თუმანი, დაჩუმდი, შენ რა გინდა? შენ ხომ არ ირთავ?

დავითი დარბილდა.

– ხუთ თუმანზე ძმა როგორ გავყიდო? – უპასუხა.

– შვიდი იყოს.

– ან შვიდად.

– რვა იყოს!

– ვერც რვა თუმნად.

– მაშ რამდენი გინდა?

– ათი მაინც იყოს.

– ცხრაზედ რას იტყვი?

– არა, ათი.

– ეჰ, ჯანი გავარდეს: ათი იყოს. - ამოიღო ათი თუმანი და მისცა. დავითმა ჯიბეში ჩაიდო.

– მე კი დავჩუმდები და ჩემი ძმისა შენ იცი, - უთხრა ღიმილით დავითმა.

– ოღონდ შენ დაჩუმდი და ერთი ორიოდე კაცი თქვენი მაყრიონიდამაც დაიყოლიე და ლუარსაბს მე მოვუხერხებ.

– ბატონი ხარ. მაგის პირობას გაძლევ.

– მაშ ხელი დაჰკარ.

დაჰკრეს ხელი ხელს და საწყალ ლუარსაბს ძალად გადასწერეს ჯვარი იმ ღამესა. მოსემ არც დაპირებული ორასი თუმანი მისცა... ლუარსაბს არ მიჰყვანდა ცოლი, მინამ არ გამისწორდებაო, ბოლოს ესეც რომ ვერა გახდა-რა – გარემოებას დაემორჩილა და წამოიყვანა შინ თავისი დარეჯანი.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ მოსე გძელაძის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ (გაითვალისწინეთ დავითის ქცევის მოტივაცია);
- დაახასიათეთ ავტორის თხრობის მანერა და ტექსტის ენობრივი თავისებურებები.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

17.

ყურადღებით წაიკითხეთ ავთანდილისა და შერმადინის დიალოგი:

შერმადინს ეტყვის, უბრძანებს პირ-მზე, ნათელთა მფენელი:
„ესე დღე არის იმედი, ჩემის გულისა მლხენელი,
შენგან თავისა შენისა საჩემოდ გამომჩენელი“.
მქებრად ამბისა მათისა ხამს მკითხველი და მსმენელი.

იტყვის: „როსტან არ გამიშვა, არცა სიტყვა მომისმინა;
მან არ იცის, რათა, ვინა და სულ-დგმული ვისგან ვინ-ა;
უმისოდმცა ნუ ცოცხალ ვარ ნუცა გარე, ნუცა შინა!
რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა!

თუცა მისი არ-გაწირვა ჩემგან მტკიცობს, არ სათუობს,
გული, მისი უნახავი, ტირს და სულთქვამს, ვაებს, უობს,
კაცსა არას არ იახლებს, ერიდების, ჰკრთების, ქსუობს.
ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს!

სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა,
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ-მოწყენა,
გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა.

რადღა ვაგრძელებ სიტყვასა? ჟამია შემოკლებისა!
აწ გაპარვაა წამალი ამა გულისა ლებისა.
რასაცა გვედრებ, ისმენდი, ვირე დრო გქონდეს ხლებისა;
შენ გაამაგრე დაჭირვა ჩემისა ნასწავლებისა!

აწ მეფეთა სამსახურად პირველ თავი დაამზადე,
სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე,
სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ეთავადე,
სამსახური აქამდისი, კვლა გავლენა გააკვლადე!

მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნუმცა მოგაკლდების,
ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულიმცა შენი კვდების!
შემოვიქცე, შენი ჩემგან ვალი კარგად გარდიხდების;
პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდების“.

ესე ესმა, ცრემლი ცხელი შერმადინსცა თვალთა სდინდი;
მოახსენა: „მარტოობით ჭირსა რადმცა შევუშინდი!
მაგრა რა ვქნა, უშენოსა დამეცემის გულსა ბინდი!
წამიტანე სამსახურად, მოგეხმარო, რადცა გინდი!

ვის ასმია მარტოსაგან ღარიბობა ეგზომ დიდი?!
ვის ასმია პატრონისა ჭირსა შიგან ყმისა რიდი?!
დაკარგულსა გიგონებდე, რა ვიქმნები აქა ფლიდი?“
ყმამან უთხრა: „ვერ წაგიტან, რაზომსამცა ცრემლსა ჰღვრიდი.

შენგან ჩემი სიყვარული ვითმცა არა დამეჯერა?
მაგრა საქმე არ მოხდების, ჟამი ასე დამემტერა!
ვის მივანდო სახლი ჩემი, შენგან კიდე ვინმც მეფერა?!
გული დადევ, დაიჯერე, ვერ წაგიტან, ვერათ ვერა!

თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი მინდორთა მე რებად;
არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად?
გაჭრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად!
ასრეა ესე სოფელი, შესჯერდი კვლა შეჯერებად!

რა მოგშორდე, მახსენებდი, სიყვარული ჩემი გქონდეს!
არ ვეშიშვი მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს!
ხამს, მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს.
მძულს, რა კაცსა საუგო საქმე არად არ შესწონდეს!

მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად;
ჩემსა მზესა დავეთხოვე, გავუშვივარ, დავდგე მე რად!
მას თუ დავსთმობ, სახლსა ჩემსა, ვეღარ დავსთმობ ვისსა ვერად?

აწ ანდერძსა ჩემსა მოგცემ, როსტანს წინა დაწერილსა;
შენ შეგვედრებ, დაგიჭიროს, ვითა გმართებს ჩემსა ზრდილსა.
მოვკვდე, თავსა ნუ მოიკლავ, სატანასგან ნუ იქმ ქმნილსა,
ამაზედა იტირებდი, დაიდებდი თვალთა მილსა!“

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ავთანდილის მხატვრული სახის შესახებ მოცემული ტექსტის მიხედვით;
- იმსჯელეთ შერმადინის მხატვრული სახის შესახებ მოცემული ტექსტის მიხედვით;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

18.

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ნოდარ დუმბაძის მოთხრობიდან „ნუ გააღვიძებ“:

ეს ამბავი კუკურას ომში წასვლამდე ერთი თვით ადრე მოხდა. კვირა დღე იყო. მარჩენალი ძროხა გამოეყვანა კუკურას ბაზარზე და ყიდდა. გვერდით გაცრეცილ, ლურჯ კაბაში გამოწყობილი თავისი ფეხშიშველი დაი ნათელა ედგა. კი არ ედგა, ორივე ჭადრის ძირში დაგორებულ ქვებზე ისხდნენ. დიდზე – კუკურა, უფრო მომცროზე – ნათელა.

კუკურა თუთუნს აბოლებდა თავჩაღუნული და ჯოხით რაღაცას ხაზავდა მიწაზე. ნათელას გვერდით ბალახით გაძეძგილი კალათა ედგა და ჭადარზე მიბმულ აზმუვლებულ ძროხას დროდადრო თითო მჯიღ ბალახს აჩრიდა პირში.

არავინ არ ევაჭრებოდა კუკურას, ისე კი ცა და ქვეყანა ეკითხებოდა:

– რავა ყიდი მაგ ძროხას, კუკურა?

– რამდენს იწველის, კუკურა, შენი ძროხა?

– ყველი თუ იცის ერბოიანი?

– რქენიე ხომ არაა, ბიჭო!

– სახელს რას უძახით?

– დერგში ხომ არ იცის ფეხის ჩადგმა?

ზოგს პასუხობდა კუკურა, ზოგს – არა.

ანანია მივიდა ბოლოს, ნიბლაძე.

– როგორ ყიდი, ბიჭო, მაგ ძროხას?

ფეხზე წამოუდგა ანანიას კუკურა. კუკურას ძროხას კი არა, მთელ ბაზარს რომ იყიდდა, ის კაცი იყო ანანია ნიბლაძე.

– სამი ათას მანეთად ვყიდი, ანანია ბატონო!

– ძვირია, ბიჭო!

– ვიცი.

– მერე, დოუკელი, თუ იცი!

– შენთვის ქაღალდია მაგი ფული, ანანია ბატონო, ჩემთვის კი საცხოვრებელია აგი ძროხა.

– რატომ ყიდი მერე? – მოუჭრა სიტყვა ანანიამ და თავმოყრილ ხალხს შეხედა კმაყოფილმა. კუკურამ არაფერი არ უპასუხა. ქვაზე დაჯდა ისევ.

– არ გეყურება? – გაუმეორა კითხვა ანანიამ.

– ამ შიშველ ციცას ხედავ შენ, ანანია? – ამოხედა ქვევიდან კუკურამ და ყვრიმალზე კუნთი აუთამაშდა.

– ორი ათას ხუთასი! – თქვა ანანიამ და ჯიბეში ხელი ჩაიყო.

– ერთი თვეა კლასში არ უვლია ამ ბაღანას, წუღა და კაბა ჭირდება. – თქვა კუკურამ და ნათელას შეხედა.

– მიეცი, ბიჭო, კაი ფასს გაძლევს! – ურჩია ვიღაცამ.

– მე რომ წავალ ჯარში, ამას და ნენას ჭამა არ უნდათ? – ჰკითხა შუამავალს კუკურამ.

– ორი ათას რვაასი! – თქვა ანანიამ და ფული ამოიღო ჯიბიდან... კუკურამ თვალი შეავლო ვეებერთელა ასმანეთიანებს. ანანიამ ცერსა და საჩვენებელ თითზე დაიფურთხა და ფული გადაკეცა.

– წაიყვანე! – თქვა კუკურამ და ფულს თვალი აარიდა. ანანიამ საოცარი სისწრაფით დათვალა ფული და კუკურას გადასცა. კუკურამ თავის მხრივ დიდხანს თვალა ფული, მერე ფაქიზად გაახვია გაზეთში და ჯიბეში ჩაიცურა. ანანიამ ძროხა ახსნა და იქვე მდგარ გლეხს გამოელაპარაკა.

– რამდენ კაცს ჩამოიარს, თუ იცი, აკაკია?

– კაცს გააჩნია, ანანია ბატონო.

– დღეს 10 კაცი ნადი[7] მყავს და ხვალ სამოცი, – სახლის გადახურვაზე.

– გაუჭირდება, ბატონო ანანია.

– გოჭს და ინდაურს მივახმარ.

– მაშინ, იცოცხლე, გეყოფა.

– რაც არ უნდა იყოს, ძროხაა მაინც! – თქვა ანანიამ და ძროხას გავაზე დაჰკრა ხელი.

მთელი ამ საუბრის განმავლობაში გაკვირვებული კუკურა ხან გლეხს უყურებდა, ხან ანანიას, ხან გლეხს, ხან ანანიას. მერე უცებ ნესტოები დაებერა და ტუჩები გაუფითრდა.

– რისთვის გინდა, ბატონო ანანია, მაგი ძროხა შენ? – ჰკითხა.

ანანიას გაეცინა.

– რისთვის და დასაკლავად! – უპასუხა ანანიას მაგივრად გლეხმა.

– დასაკლავად?

– აბა, შენ რავა გეგონა?! – გაუკვირდა ანანიას.

---

[7] **ნადი** – მუშახელი, რომელიც უსასყიდლოდ ეხმარება ვინმეს ყანაში თუ სხვა საშინაო სამუშაოზე.

კუკურამ სწრაფად ჩაიყო ჯიბეში ხელი და გაზეთის შეკვრა ამოიღო, მერე ძროხასთან მივიდა და ყელზე ხელი მოხვია.

– რას ბრძანებ, ანანია ბატონო, ამის დაკვლა ვინ გაიგონა?! ა, ბატონო, თქვენი ფული, მიჭირს თვარა, ამისთვის მემეტება?

– გაგიჟდი, ბიჭო, რაღა დროს პირის შეშლაა! – მოქაჩა ბაწარი ანანიამ.

– როგორ გეკადრება, ანანია ბატონო, მე გამომისვი აგერ დანა ყელში და მაგას არ დაგაკვლევინებ, ამის დამკვლელს ხელი არ უნდა შეახმეს? – კუკურამ ფრთხილად გამოართვა ბაწარი ხელიდან ანანიას, ჯიბეში ფული ჩაუკუჭა და ნათელას მიუბრუნდა:

– წაიყვანე, გოგო, სახლში, აგი ძროხა!

– სამი ათასი მანეთი! – თქვა ანანიამ.

– წაიყვანე, გოგო!

– სამი ათას ორასი!..

– რას ბრძანებ, ანანია ბატონო? – გაიღიმა კუკურამ.

– სამი ათას ხუთასი, ბიჭო! – თქვა ანანიამ. ნათელა გაჩერდა და ძმას შეხედა თვალებში. კუკურა გაშრა. ჯერ ნათელას შეხედა შიშველ ფეხებზე, მერე – ფულს, მერე – ანანიას და მერე ძროხას. ერთხანს ასე იდგა. ხალხი გატრუნული უცქეროდა საოცარ სანახაობას.

– რა გითხარი, გოგო, მე შენ? – გაუჯავრდა კუკურა ბოლოს გაშტერებულ ნათელას დაკარგული ხმით და ძროხას ხელი ჰკრა ფერდში.

– წადი, ძროხა, შინ! – ახლა ძროხას გაუჯავრდა კუკურა და ძროხა წავიდა შინ. კუკურა უკან მიჰყვა.

– ვაი, შენს პატრონს! – თქვა ანანიამ.

– აგი სულელი ყოფილა! – თქვა ვიღაცამ.

1942 წლის გაზაფხულზე მოხდა ეს ამბავი.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ კუკურას მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ანანიას მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

19.

„ვეფხისტყაოსანში“ აღწერილია ავთანდილისა და ასმათის შეხვედრა:

ჩამოვიდა, ცხენი ახსნა, მისგან ხესა გამობმული,
ზედა შეჯდა, გაემართა, ქვაბი დაჰხვდა კარ-განხმული.
მუნით ქალი გამოიჭრა გულ-მდუღარე, ცრემლ-დასხმული,
ეგონა, თუ: „დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ-ბაკმული“.

ვერ იცნა, – სახე არ ჰგვანდა მისი მის ყმისა სახესა, –
ფიცხლად გაიქცა, მიჰმართა ზახილით კლდესა და ხესა;
ყმა გარდაიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა;
ხმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთ-სახესა.

მას ყმასა თავი არ მისცა, ჭვრეტადცა ებილწებოდა,
ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე, მი და მო ძრწებოდა,

ტარიელს ვისმე უზახდა მწედ, თუცა არ ემწებოდა,
ავთანდილ მუხლთა უყრიდა, თითითა ეხვეწებოდა.

ეტყოდა: „სულე! რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი,
უფერო-ქმნილნი მინახვან ვარდნი და ისი იანი,
მისი რა მითხარ, ვინ არის ტან-სარო, პირ-ბაკმიანი?
სხვად არას გიზამ, ნუ გეშის, ნუ ჰყივი აგრე ხმიანი!..
ქალო, არ იცი, სით მოვალ, რა ჭირნი მომითმენიან,
ოდითგან ვეძებ ამბავთა, ესე არვისგან მსმენიან.
შენ მიპოვნიხარ, სიტყვანი ჩემი რაზომცა გწყენიან,
ვერ დაგეხსნები, მიამბე, ჩემგან ნუღარა გრცხვენიან!“

ქალმან უთხრა: „რას შეგესწარ, მე ვინ ვარ და ანუ შენო?
მზე არ მახლავს, შეგეტყვების, თრთვილო, ასრე მით მაწყენო!
გრძელი სიტყვა საწყინოა, ასრე მოკლედ მოგახსენო:
ვერასათვის ვერ გიამბობ, რაცა გინდა, იგი ქმენო!“

კვლაცა ჰკითხა ზენარობით, მიუყარნა მუხლნი წინა,
მაგრა ვერა ვერ დაჰყარა, მუდარობა მოეწყინა,
პირსა ზედა გაგულისდა, თვალთა სისხლი მოიდინა,
ადგა, თმათა წამოზიდნა, ყელსა დანა დააბრჯინა.

ეგრე უთხრა: „მე ეზომი ჯავრი ვითა შეგარჩინო?
რაგვარა თუ ამატირო, ცრემლი ცუდად დამადინო!
გიჯობს, მითხრა, ამის მეტი მართ აღარა არ გაწყინო,
თვარა ღმერთმან მტერი ჩემი მოკლას, ვითა მოგაკვდინო!“

ქალმან უთხრა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი:
თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები, მრთელი ვარ და მოუკვდავი.
რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ჭირთა უნახავი?
კვლა, თუ მომკლა, სასაუბროდ აღარ მედგას ზედა თავი...“

ყმამან თქვა, თუ: „არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა,
სხვასა რასმე მოგონება სჯობს, საქმისა გამორჩევა“.
გაუშვა და ცალკე დაჯდა, ტირს, დაიწყო ცრემლთა ფრქვევა,
ქალსა უთხრა, გაგარისხე, აწ, არ ვიცი, ვით დავრჩე, ვა!“

ქალი დაუჯდა კუშტ-გვარად, ქუშობს, ჯერთ არ დამტკბარია;
ავთანდილ ქვე ზის ტირილად, აღარას მოუბარია.
ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია,
კვლა იქით ქალი ატირდა, მისთვის გულ-ნალმობარია.

ყმა მტირალი შეებრალა, ამად ცრემლნი ცხელნი ღვარნა,
მაგრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა.
ყმამან ცნა, თუ: „გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყნარნა“,
ცრემლ-დენილი შეეხვეწა, ადგა, მუხლნი მიუყარნა.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ავთანდილის მხატვრული სახის შესახებ მოცემული ტექსტის მიხედვით;
- იმსჯელეთ ასმათის მხატვრული სახის შესახებ მოცემული ტექსტის მიხედვით;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

20.

თამაზ ჭილაძის მოთხრობაში „გასეირნება პონის ეტლით“ აღწერილია ამბავი, თუ როგორ მიატოვებს ფუფუნებაში გაზრდილი მარინე ქმარს, რომელთანაც საერთო ენას ვერ პოულობს და უბრუნდება თავის პირველ სიყვარულს, ღარიბ მხატვარს, ნიკას:

– ნიკა, ნიკა, მე უბედური ვარ...

ნიკა დაბნეული იყო, არ იცოდა, რა ეთქვა... მარინეს დაბრუნებაზე გულის სიღრმეში ყოველთვის ფიქრობდა, ეფერებოდა ამ ფიქრს, ელოლიავებოდა, ანებივრებდა და ზრდიდა, მაგრამ ახლა, როდესაც ატირებულ მარინეს პირისპირ შერჩა, დაიბნა და ვერაფერი თქვა...

– გაიხადე საწვიმარი...

მარინემ თავი მაღლა ასწია და შეაჩერდა:

– ნიკა, თუ შენ... თუ შენ კიდევ გიყვარვარ, ხელს ნუ მკრავ, მე ახლა არსად არა მაქვს წასასვლელი, რაღაცა მემართება, თვითონ არ ვიცი რა...

– მე არც წინათ მიკრავს ხელი...

– ჰო, მართალი ხარ. ნუთუ არაფრის დავიწყება არ შეგიძლია?..

– მე ისე ცოტა რამ მახსოვს, რომ...

– ნიკა, ნიკა, ყველაფერს ნუ მათქმევინებ, ნუ მათქმევინებ... მეგონა, არ შემირთავდი.

– შეიძლება მართალიც იყავი... განა მე მაშინ ცოლის შერთვა შემეძლო. ან განა ახლა ვარ საცოლოდ მოწყობილი. განა დედაშენმა არ თქვა: მაგას შვილს როგორ გავატანო. ალბათ მართალი იყო ქალბატონი ეკა. ყველაფერი ის, რასაც შენ ფიქრობდი, რაზედაც ოცნებობდი, რისთვისაც გამზადებდნენ და გზრდიდნენ, მე ნამდვილად არ შემეძლო მომეცა...

– ნიკა, შენ ხომ გიყვარდი...

ნიკამ შეხედა მარინეს, მას თვალები ცრემლებით გავსებოდა და ტუჩები უთრთოდა... შეეცოდა, თუმცა შეცოდება ყოვლად უადგილო გრძნობა იყო ახლა... მან მარინეს ხმაში, ცრემლებსა და გამოხედვაში რაღაც ახალი დაინახა; ეს მარინეს არ ჰგავდა. ეს არ იყო ძველი სიამაყე, არ იყო გულგრილი, უზრუნველი, არაფრისმთქმელი სიტყვა. მისი ცრემლები ნამდვილად სწვავდნენ და მის სიტყვებს გულიდან ამოყოლილი წუხილი ახლდა თან...

– ნიკა, შენ არ იცი... მეც ვერ მითქვამს, ვერ გამიგებინებია, სიტყვა არ მყოფნის გითხრა ის, რასაც განვიცდი... ზღვაზე ერთხელ ვნახე, გემის ღუზა ვერაფრით ვერ ამოათრიეს. ეტყობა, ფსკერზე რაღაცას წამოედო და მაგრად ჩაიჭედა შიგ. გემი ცახცახებდა და ვერსად კი ვერ მიდიოდა.

აი ის ღუზა, ფსკერზე რაღაცას წამოდებული ღუზა, მთელ ჩემს ცხოვრებას ერთ ადგილას ჰყინავდა და ნაბიჯსაც ვერ ვდგამდი ისე, რომ მისი უხეში მოქაჩვა არ მეგრძნო. დღეს ღუზაზე მობმული ჯაჭვი უეცრად გაწყდა და ახლა ასე უაზროდ მოვეხეტე აქ... არ ვიცი, სწორია თუ არა ჩემი საქციელი, მე ახლა არაფერი არ ვიცი...

ნიკა მივიდა, მხარზე ხელი მოჰხვია: – დამშვიდდი, დამშვიდდი მარინე...

და ნიკა უეცრად მიხვდა: მას უნდა გადაეწყვიტა, მიეღო თუ არა მარინე. რადგან მარინეს მიღება მისგან განსაკუთრებულ ძალას მოითხოვდა, უნდა გაეგო – ჰქონდა თუ არა თვითონ ის უნარი, რომელიც ასე აფრასავით აწყვეტილ, მშფოთვარე სულს დაამშვიდებდა და კალაპოტში ჩააყენებდა.

„გაქვს თუ არა უფლება მოატყუო ადამიანი, რომელიც შენგან შველას მოითხოვს? ამდენი ფიქრი, ამდენი განსჯა და აწონ-დაწონა! საიდან მოდის, საიდან გაჩნდა? ნუთუ ეს იმის ბრალია, რომ მარინე აღარ მიყვარს?.. ფიქრი, ამდენი ფიქრი...“

ნიკამ შეხედა მარინეს... და უცებ ყველაფერი ერთმანეთში აირია... ნიკამ მარინე ხელში აიტაცა... ატარა ხელში აყვანილი, ატარა დიდხანს, აღარაფერი ახსოვდა, ვერაფერს ხედავდა. გრძნობდა მხოლოდ მარინეს ტანს, მის სუნთქვას, სურნელს.

– მარინე... ყოველთვის მიყვარდი... მარინე... მარინე...

მარინე იწვა, წამწამებზე ცრემლი უბრწყინავდა და თვალდახუჭული იღიმებოდა.

მეორე დილით მარინემ ადრე გაიღვიძა. ლოგინზე წამოჯდა, ხელები მუხლებზე შემოიხვია და იკითხა:

– ქარია?

ნიკამ არ უპასუხა. თვალდახუჭული იწვა და ქარს უსმენდა. „ქარი ღრუბლებს გადარეკს...“

– მოდი, ნიკა, დღეს ბაღში წავიდეთ...

ეზოს ჭიშკართან ქალბატონი ეკა იდგა, სახეგაქვავებული, მედიდური და რისხვადქცეული.

– ამასაც მოვესწარი, – უთხრა მარინეს. – ასე გადაგვიხადე სამაგიერო, ხომ...

– დედა, სირცხვილია...

– ერთი ამას დამიხედეთ, სირცხვილზე რომ ლაპარაკობს!... წამოდი ახლავე შინ...

მარინემ არ უპასუხა და ოთახში შეირბინა. ქალბატონი ეკა კართან გაჩერდა:

– ყველაფერზე ხელი აიღე, ქმარი მიატოვე და ამ... – მერე ნიკას მიუბრუნდა: – უთხარით, რომ წამომყვეს... მარინე გათხოვილია, მას ქმარი ჰყავს... იცოდეთ, რომ კანონი არსებობს...

– მართალია, მარინე გათხოვილი იყო... მე ვიცი, რომ ადამიანს შეუძლია თვითონ აირჩიოს, რაც უნდა!..

– მე არავისთვის არაფერი მითხოვია, ახლა თქვენ გთხოვთ, გთხოვთ უმორჩილესად, შემიძლია დაგიჩოქოთ კიდეც... გამოუშვით მარინე ჩემთან, იფიქროს, იფიქროს და მერე გადაწყვიტოს, გთხოვთ...

ნიკამ მარინეს შეხედა.

– მე წავალ ნიკა...

ნიკამ არაფერი უთხრა. ოთახიდან გამოვიდა და აივნის მოაჯირზე ჩამოჯდა. ცოტა ხნის მერე ქალბატონი ეკაც გამოვიდა...

მარინეს ჩემოდანი უკვე ჩაელაგებინა, სკამის კიდეზე ჩამომჯდარიყო, თითქოს ეშინოდა, კარგად რომ დავჯდე, ალბათ დავრჩებიო.

ნიკამ უცებ იგრძნო, რომ ყველაფერი გათავდა.

„შემიძლია თუ არა ვუთხრა – დარჩიო...“

– მივდივარ, – თქვა მარინემ, – შენ დამირეკე, უსათუოდ დამირეკე და ყველაფერს გეტყვი...

ნიკამ არაფერი უპასუხა, ფანჯარასთან მივიდა და ხეებს შეხედა.

„იწვიმებს, უსათუოდ იწვიმებს...“

მერე გაბრაზდა, რა დროს წვიმაარ, მაგრამ ეს აზრი აეკვიატა, არ მოშორდა, თითქოს სხვა ყველაფერი გაქრა და დაავიწყდა.

„იწვიმებს, უსათუოდ იწვიმებს...“

– ნიკა, დამირეკავ?

„დარჩი, მარინე, დარჩი...“

– ჰო, ხვალვე დაგირეკავ...

„დარჩი!..“

– ნახვამდის, ნიკა... დედა ქუჩაში მიცდის.

ნიკამ ჩემოდანი აიღო:

– ჭიშკრამდე მიგაცილებ...

„იწვიმებს, უსათუოდ იწვიმებს...“

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ნიკას მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ მარინეს მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

21.

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან „ჯაყოს ხიზნები“:

– ვიცი, რა გითხრამ, თეიმურ? – უთხრა ერთ საღამოს ჯაყომ თეიმურაზს. – მუშაობა შენი საქმე არ ვიქნებოდე. მთავრობაც სამსახურს არ მოქცემდე. საცა თავი შეგიყავი, ყველგან გამოგაგდე. ქალაქშიც ვეღარ წახვიდოდე და აქაც უსაქმოდ დაეხეტებოდე. ერთი გითხარი ჯაყოსა, ვაჭრობა როგორ მოგწონდეს?

– ვ...ვვაჭრობა? ვაჭრობა ჩემი საქმეა. ძალიან კარგად მაქვს შ...შშესწავლილი. ბანკში და კოოპერატივში ვმუშაობდი.

– თავი დაგანებე კაპრატივი! „კჩორტუ“ კაპრატივი! შენ ყური მიგდე ჯაყოსა. ჯაყომ კარგად ვიცის ვაჭრობაც და კაპრატივიც. მოდი, ამ სოფელში დუქანი გახსნა. რას იტყოდე?

– დ...დდუქანი? მე?

– მაშ, მაშა! მე ხაზეინი და შენ დახლიდარი. ყური გიგდე ჯაყოსა.

და ჯაყომ თეიმურაზს თავისი გამოცდილება და ნასაზრი გაუშალა:

– ფული ჯაყომ ასე იშოვნე: გლეხი ტუტუცი ხარ, ძველი ფულისა არაფერი გესმის. ჯაყომ კი ადრე გაიგე, რომ წინანდელი ფული სულ ქვეით მიდიხარ და მიდიხარ, მიდიხარ და მიდიხარ! „კჩორტუ“ ასეთი ფული, სთქვა ჯაყომა და ის ფული ერთი დღეც არ შეგინახე. ან რა ფული იყავი, შენი წირიმე, ის ფული?! დილაზე რომ ერთი არშინი ჩითი ერთი მილიონი ეღირებოდა, საღამოზე ორი მილიონი გახდებოდა. ჩვენი საწყალი გლეხები კი ის ფული ინახავდი და ინახავდი, გაკოტრდი და გაკოტრდი! ბოლოს ის ფული ისე გაფუწდი, რომა წრეულს გაზაფხულზე ჯაყომ ერთ არშინ ჩითში შვიდი ათასი მილიონი მიეცი, მაშა! ასეთი ფული ჯაყომ აღარ მიგიღე. ჯაყომ ეშმაკობა გაგიკეთე და მარტო საქონელით ივაწრე. ერთ გირვანქა ნავთში ნახევარი ჩანახი ლობიო აიღე, ან სამი გირვანქა მატყლი, ან ათი გირვანქა

კარგი ხილი. გლეხები დათვლა აღარ ვიცის, ყველაფერი ისე აგერია თავში, რომ ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობდი. ყველანი გაკოტრდი, ჯაყო კი გადარჩი და ბევრი მოიგე. ახლა ყველაფერი გამოიცვალე, ახლა ნამდვილი ფული გაჩნდი. აი, გენაცვალე ამის მადლსა!

ჯაყომ ჩერვონცების დასტა ამოიღო და ააშრიალა:

– ისეთი ძალა გაქვს ამ თუმანსა, როგორც ნიკოლოზის დროს გქონდა. ეხლა კარგი დრო გაქვს დუქანსა. დაჯექი, გაყიდე და ასეთი ჩერვონცები დააგროვე და დააგროვე, დააგროვე და დააგროვე, მაშ, მაშა! გენაცვალე ჯაყოი ჩერვონეცსა...

კიდევ დიდხანს სწყევლიდა ჯაყო ძველს მილიარდებს და ჰლოცავდა თეთრ ჩერვონცებს. მერმე თეიმურაზს ჰკითხა:

– ჰა, რას იტყოდე? კარგი საქმე გითხრამს ჯაყოი თუ არა?

– მოვიფიქრებ, ჯაყო.

და იმავე დღეს თეიმურაზმა მარგოს ჰკითხა:

– შენ რას იტ...ტყვი, მარგო?

– ცუდუბრალოდ ხეტიალს ისევ დახლიდარობა სჯობია, ჯაყოს მადლს მაინც არ დაგაყვედრიან.

– მეც აგრე მგონია.

ჯაყომ და თეიმურაზმა კიდევ იფიქრეს და ილაპარაკეს...

– აბა, ნათლია, პასუხი მოგეცი ჯაყოსა.

თეიმურაზმა მისცა:

– თთ...თანახმა ვარ, ჯაყო. საქმე დავიწყოთ. ჯერ ჯამაგირი არ მინდა, მაგრამ თუ საქმე კარგად წავიდა, ცოტა რამე დამინიშნე და ვალში გამომიბარე.

– ჯაყოც თანახმა ხარ. მაშ ღმერთი იყავი ჩვენი საქმის ამხანაგი, დავიწყებდეთ!

... ვაჭრობა გაჩაღდა. თეიმურაზმა ანგარიშის საქმე წესიერად დააყენა. რამდენიმე რვეული გაიჩინა და ორი საათი ჯაყოს ეჩიჩინა:

– ეს არის ს...სსალაროს წიგნი, ეს კიდევ ს...სსაქონლის დავთარია. ეს იქნება პ...პპირადი ანგარიშების წიგნი. ამას ჰქვიან ბ...ბბუღჰალტერია.

– ვიცის, გაიგებდის ჯაყოი. კარგი ყოფილა ეგ ბუღლატერია.

– ბუღ...ღჰალტერია?! ჯაყო, ეს ქვეყანა ბუღჰალტერიაზე არის აშენებული! – ადუღდა დახლიდარი. – სადაც ბუღჰალტერია იციან, იქ ყველაფერი იციან: წესი, დის...სსციპლინა, შრომა და მომავალი; სადაც არა იციან, იქ უწესობა, ანარქია, არევ-დარევა და წყვდიადი მეფობს.

– ვიცის, ჯაყომა, ვიცის.

– ჯაყო! – არ სცხრებოდა თეიმურაზი. – კაცობრიობის ისტორიაში რამდენიმე სხივმოსილი თაბახია: პოვნა ხორბლის მარცვლისა, ცეცხლისა, ურმის თვლისა და აღმოჩენანი გალილეის, კოპერნიკის, ნიუტონის, სტეფენსონისა და ლუკა პაჩიოლასი, რომელმაც 1494 წელს ბუღჰალტერია მოიგონა!

– ალბათ ძალიან ჭკვიანი ვიქნებოდა ის კაცი.

– რა თქმა უნდა! სტეფენსონმა მოიგონა ორთქმავალი და პირველი რკინის გზა იმან ააშენა.

– მალადეც, სტეფანე, მალადეც!

– ეს კიდევ არაფერი: გალ...ლილეიმ დაამტკიცა, რომ დედამიწა ბრუნავს.

ჯაყომ გადაიხარხარა:

– ბრინკა, ხომ არ გაგიჟდი?!

– მაშ, ჯაყო, მაშ! განა აქამდე არ იცოდი, რომ მზე ერთ ადგილზე სდგას, დედამიწა კი თავის ღერძზე სტრიალებს და მზეს გარშემო უვლის?

ჯაყომ ისე დაიხვიხვინა, რომ მისი ხმა ლიახვის ჭალას ჩასწვდა.

– მზე ერთ ალაგზე სდგეხარ?! ხა-ხა-ხა! დედამიწას ღერძი გაქვს?! ხო-ხო-ხო!

თეიმურაზი დიდხანს ეჩიჩინებოდა ჯაყოს, გონებას უხსნიდა, მაგალითებით უმტკიცებდა და ცხარედ ედავებოდა, მაგრამ მისი საბუთები ჯაყოს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა:

– დედამიწა ურემი ხომ არა ხარ, რომ ღერძი გქონდეს!

– ჭკუაში, ჯაყო, ჭკუაში წარმოიდგინე.

– ჭკუაში მე კი არა გაქვს ღერძი, შენა გაქვს, შენა, შე ბრინკავ, შენა! შენი თავი ტრიალებს, თორემ დედამიწა ვინ დაგძრავს ადგილიდან! აი, აგრე ვიცის ბევრი წიგნის კითხვამა.

– ჯაყო! გაიგე, რომ...

– კარგი, მორჩი და გაგათავე! შენც გაგიჟდებოდე და საწყალი ჯაყოც გინდა გაგაგიჟო?! არ გინდა ჯაყოს შენი სწავლაი! „ჯორტუ“ შენი ღერძიცა და ბუღლატერიაც! „ჯორტუ“! მორჩი და გაგათავე!

ჯაყოს სიბნელითა და კერპობით გულნატკენი თეიმურაზი დახლში ჩადგა და ყოჩაღად დატრიალდა.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ თეიმურაზ ხევისთავის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ჯაყო ჯივაშვილის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

22.

ყურადღებით წაიკითხეთ გივი გეგეჭკორის ლექსი „მეცხრამეტე საუკუნის პოეტები“:

რად არის ასე უძვირფასესი,
წუხილის ასე გამქარვებელი,
მშობლიური და შვების მომტანი
ეგ თქვენი სახე,
სპეტაკი წვერი
და თქვენი შუბლი – ეკლესიის თეთრი პორტალი.

თქვენ სურათიდან როცა დამყურებთ,
მე ვხედავ ხოლმე თქვენს მეტყველ თვალებს
და თქვენს ხელებზე დაყრდნობილ ნიკაპს.
(ასე დაჰყურებს ამაყი ბოტი
დაბლა კუნტრუშით მიმავალ თიკანს).

ქრესტომათიის ბინადარნო იმ საუკუნის,

რომ ატარებდით გენერლის მუნდირს
ან რომ იყავით მასწავლებლები
ქართლის სოფელში და დაგდევდათ ბავშვების გუნდი.
მომრიგებელი მოსამართლე დუშეთის მაზრის
ან „ივერიის“ თანამშრომელი
ან ნამესტნიკის გერქვათ მოხელე,
თქვენს ცრემლში თრთოდა ეს საქართველო
და თქვენი ლექსით გულს იოხებდნენ.

თქვენი ბავშვობა ჩამონგრეულ სათონეს ახსოვს
და კიდევ ახსოვს ნაოხარ საბძელს,
თქვენ ესწრებოდით დევების ქორწილს
და ტრიალებდა ოხშივარი საძროხის ქვაბზე.

მე უცოდველი ბავშვი ვიყავი,
თქვენი უბიწო და გულუბრყვილო
ლექსის ხაფანგში როცა გავები,
თქვენი იმედი მერცხალია, იჩხვლიტებიან
თქვენი ცრემლები – იაგუნდის ქინძისთავები.

თქვენ ოცნებობდით გახარებულ წიფლის შიმელზე[8],
არ არსებობდა თქვენთვის პირადი
და ლოცვებივით წერდით ლექსებს, ეკლესიაში
უნდა წირვაზე წაგეკითხათ თითქოს კვირადღით.

მისახვედრია, თქვენი გრძნობა, თქვენი გონება
როგორ ებრძოდა ეჭვის მორიელს.
(საცოდავია, ვინც პირდაპირ სათქმელს ვერ ამბობს
და იშველიებს ალეგორიებს).

თქვენ განისვენებთ მთაწმინდაზე ან დიდუბეში
ან ქისტაურში, ან შუამთაში,
თქვენს საფლავებზე ჭრიჭინების მღერის კაპელა,
ჩუმი ვარსკვლავი დგება ათასი.
ათიათასჯერ მეორდება, ღამის შრიალში
ათიათასჯერ გიხდით ბენეფისს,
ეტლში ცხენები გამოვუშვით, უნდა გატაროთ,
ეტლში შევებით, როგორც ცხენები.

თქვენ გიფრიალებთ ჩოხის კალთები,
მხრებზე გასხედან კვირიონები,
ფეხზე გაცვიათ ღაზლის წინდები,
მუდამ მეოცე საუკუნის ფანჯრებთან დგახართ
და მუდამ ჩვენსკენ იყურებით და ირინდებით.

---

[8] **შიმელი** – ახალგაზრდა ხე.

თქვენი მგზნებარე, ნაღვლიანი ქართული ლექსის
სტრიქონი როცა ჩაგვიქროლებს, როგორც კომეტა,
ჩვენთან მოდიხართ, რომ ჩვენთან დადგეთ
ოცდამეერთე საუკუნის მისადგომებთან.

თქვენს შემდეგ ბევრი არამზადა ეფარებოდა
სამშობლოს სახელს, მისი უღირსი,
თავიდან თავის მტრებს იშორებდა
მისი სახელით და ხარობდა ხალხის წუხილში.

არავის შერჩა... სხივი თქვენი შარავანდედის
აკვანზე დახრილ ქართლის დედას მუდამ ამკობდა,
თქვენ დგახართ მუდამ შორიახლოს,
თვალს არ გვაცილებთ,
ო, თქვენი მზერა რა უმანკოა!..

ჩვენ არაფერი, არაფერი გვეპატიება
ახალგაზრდობით ანდა სიბერით
და თქვენთან მხოლოდ პირნათელნი უნდა მოვიდეთ
ყველანი, ბოლოს, როცა ერთად შევიკრიბებით...

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ აფასებს ავტორი მეცხრამეტე საუკუნის ქართველი პოეტების ღვაწლს;
- იმსჯელეთ, რა ფუნქცია აკისრია მათს შემოქმედებას „ოცდამეერთე საუკუნის მისადგომებთან“;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

23.

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობიდან „შელოცვა რადიოთი“ :

ელის ოთახებს მიაყურა.
სიჩუმე.
ოდნავი შრიალი.
„ჟურნალს ფურცლავს, ალბად.“
„არაფერი მესმის, ვერ გამიგია...“

გასწია თავის ოთახისკენ; აქ, დერეფანში, სინათლე უხვად ჩამოდიოდა; ფეხის ხმაც მოესმა. და აყვა პირველსავე პაწია კიბეს – არ შეამჩნიონ, რომ ვზვერავდიო. სხვენი, წინად თეთრეულის საშრობი და დეკორაციების საწყობი ბ. ბრომლეის ჰქონდა დაკავებული. აქ ისროდა საბმელს, ეკრივებოდა მოკრივეს, ხტოდა მაგიდებზე, დგებოდა თავზე, დადიოდა ხელებზე... იძინებდა იგი გამაკში.

იქვე კუთხეში რამინომ თავისი კარავი მოაწყო.

ბრომლეი აპირებდა მიმალულიყო, ჩვეულებრივ ჩაფი წყალი ტანზე გადაესხა, და, რადგან არავინ ყავდა სავარჯიშოთ, მანეკენთან გაემართა კრივი.

ფიქრებში გართულმა გაიარ-გამოიარა და უეცრად ინდოელის კარავს მიადგა. კარად ჩამოშვებული ფარდა გადაწეული დარჩენოდა რამინოს, და იქიდან მზის ცოცხალი სხივი ეფინებოდა იატაკს.

შეიხედა. კარავს მეორე მხრიდან ტილო არ ჰქონდა ჩამოშვებული და სხვენის პირდაპირ უსაზღვრო სივრცეს უერთდებოდა.

ბრომლეი უფრო გააკვირვა აღმოსავლეთისკენ სახემიპყრობილმა რამინომ, რომელსაც ხელები თავის უკან გადაეხლართა.

– ნამაზს ასრულებს? – და ბრომლეის უნდოდა გაშორებოდა იმ ადგილს, მაგრამ შეამჩნია, რომ ინდოელი ნელ-ნელა ეშვება ფეხის წვერებზე.

ბრომლეი ცქერად გადაიქცა.

ინდოელი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ქანდაკებას ჰგავდა – იმდენად სწორი, მკვრივი, მოხდენილი და ყოველი ნაკვთის მოძრაობაში იმდენად სიცოცხლით სავსე იყო.

– არა, ეს ლოცვა არ უნდა იყოს... ეს ვარჯიშობაა... თავისებური, – გაიფიქრა ბრომლეიმ.

რამინო ხან სრულიად შეწყვეტდა სულის თქმას, დიდ ხანს, დიდ ხანს; ხან კი ისე მოითქვამდა სულს, რომ თითქოს სიმაღლე ემატებოდა...

ბოლოს ინდოელი წყნარად შემოტრიალდა და ისეთის სისწრაფით მოისხა ხალათი, რომ ბრომლეის ეს მოძრაობა სრულიად გამოეპარა.

– ვიჭიდაოთ! – მიმართა ბრომლეიმ.

ინდომ მდაბლად თავი დაუკრა და თავაზიანად უარი უთხრა თავის გაქნევით.

– არა, უნდა მეჭიდო...

ისევ ღრმა თავის დაკვრა და ისევ უარი.

– დავენიძლაოთ!

ინდოს გაეღიმა.

ბრომლეიმ აღარ აცალა ინდოელის გარკვეულ პასუხს და ხელი ჩაავლო, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ ბრომლეიმ განცვიფრებით შენიშნა, რომ იატაკზე წევს, ინდოელს კი ხელები ჩვეულებრივ გულზე დაუკრეფია და მშვიდათ დასცქერის, მხოლოდ ხალათი დავარდნია ძირს.

ინდომ ნიშნად სრულის უარყოფისა უკან დაიხია და თავის ხალათს წამოკრა ხელი ასაღებად.

– არა, ვერ გაგიშვებ, უნდა ვიკრივოთ, – გზას უღობავდა ბრომლეი და საკრივოდ გასწია მუშტები, მაგრამ ამავე დროს მარჯვენა ხელში რაღაც ისეთი მოხვდა, რაც სრულიად არ ჰგავდა მუშტს და სიმწრისაგან უკან დაიხია.

– ეს რა ყოფილა?!

ინდოელმა ზრდილობიანად თავი დახარა, თითქოს ბოდიშს იხდისო, რომ სურვილს ვერ უსრულებს მოწინააღმდეგეს, და წყნარის ნაბიჯით მიიმალა ქვედა სართულში...

* * *

საუზმეზე ელისთან შევიდა ჰექსლეი და ბრომლეი.

– დამითმეთ თქვენი ინდოელი, – მიმართა ბრომლეიმ ჰექსლეის.

– არ შემიძლია.

– 10 000 დოლარი.

– მე ხომ მონები არ მყვანან.

– 15 000... თქვენ ნუ შემიშლით ოღონდ ხელს, რამინოს მე თვით მოველაპარაკები.

– თუ რამინო არ იქნება წინააღმდეგი, ასეთი თანხის უარის ყოფა ძნელია.

კუთხეში მდგარი რამინო ადგილზე ოდნავ შეინძრა; მან საყვედურით ერთი გადახედა ჰექსლეის, და სახემ იმავ წამს ჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღო.

– რას იტყვით, რამინო? – დაეკითხა ბრომლეი.

– თქვენ მარტო თანხმობისთვის 15 000 აძლევთ ბატონ ჰექსლეის?.. ჩემი გასამრჯელო სრულიად დამოუკიდებელია ამ თანხიდან?

– სწორედ.

– მაშ მიეცით!..

რამინო ნელის ნაბიჯით გავიდა ოთახიდან...

... და სამუდამოდ გაჰქრა.

ვერ ნახეს მხოლოდ მისი ტანსაცმელი, სხვა ყველაფერი, ნაჩუქარი ნივთებიც კი, დაწყობილი დახვდათ მაგიდაზე და ორი სიტყვა ინგლისურად:

„აღარ მომწონს, რაც აქ ხდება“.

* * *

კარზე დაკაკუნების შემდეგ ბრომლეი და ჰექსლეი ახალგაზრდულის მხიარულებით შემოვიდნენ, თითქოს ერთმანეთს მოსდევდნენ.

– თქვენ უნდა გაგვასამართლოთ, ქალბატონო.

ელი მათ მიუბრუნდა:

ვერ გაიგო, რას ელაპარაკებოდენ.

მეტად მოწყენილმა სახემ ორივე შეაკრთო.

– რა გნებავთ? – ნაძალადევის ღიმილით შეეკითხა ელი.

– რამინო წავიდა...

– ვიცი... ბედნიერი... – კიდევ უფრო მწუხარე სახე ფანჯრისკენ მიიბრუნა.

„შენც უნდა წახვიდე. შენც უნდა წახვიდე“. – თითქოს რაღაც უმღეროდა ყურებში.

– რა ვქნა, ქალბატონო, გარწმუნებთ, ჯერჯერობით ჩემთვის შეუძლებელია რუსეთში წასვლა და არც თქვენ გირჩევთ, რომც მოხერხდეს...

– ყოველ საშუალებას ვიხმარ, რომ გამოვაწყო თქვენი გამგზავრება, ოღონდ ცოტათი გამხიარულდით, – დაუმატა ბრომლეიმ, რომელსაც სრულიად არ შეეძლო მწუხარების ცქერა.

ელიმ სახეს თითქოს ხელით გადააფარა ღიმილი.

– ...და მერე რა გნებავთ?

– ბ. ჰექსლეის არ მიაქვს რამინოს დათმობისათვის დაპირებული თანხა, – გაუხარდა ბრომლეის, რომ ელი ჩვეულებრივ მუსაიფში ჩაება.

– როგორ გამოვართვა, როცა რამინო წავიდა, ბ-ნ ბრომლეის მისი სამსახურით არ უსარგებლნია...

– თქვენ ხომ დაუთმეთ თქვენი უფლება; და რამინო როგორ მოურიგდებოდა ბ-ნ ბრომლეის, ეს მათი საქმე იყო...

– აი, აი მეც ამას ვამბობ... კარგი ეხლა, გავათავოთ...

ჰექსლეიმ გამოწვდილი ჩეკი პორტმანეში უკმაყოფილოდ ჩაიდვა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, რაც მეტად აწუხებდა ბრომლეის.

„ის იტანჯება; ჩვენ მოსვენებას არ ვაძლევთ“, – ფიქრობდა ორივე ვაჟი.

ელი არაფერზე არ ფიქრობდა, მხოლოდ გარინდულს ესერებოდა გული.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ბრომლეის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ რამინოს მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ ელის

დამოკიდებულებას ინდოელის გადაწყვეტილების მიმართ);

- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

24.

ყურადღებით წაიკითხეთ მურმან ლებანიძის ლექსი „ეტლი“, მიძღვნილი აკაკი წერეთლისადმი:

თეთრად ჩაცმული,
ფეხშიშველი და დაქანცული,
ეტლს მიაქროლებს ოცდაათი ტურფა ქალწული;
შენ, დიდებული, იმ ეტლში ზიხარ,
მე გეკითხები: – ასეთი ვინ ხარ? –
შენ მიპასუხებ, ღიმილის მჩენი:
– მამა ვარ შენი!

მე კარგად ვიცი, ვინ ხარ და რა ხარ,
შენ სხვას უთხარი სიდიდე შენი!
ღვთაებრივ ჩანგით, ჰა, ფეხზე დგახარ,
მკერდს თეთრი ვარდის აკიდო გშვენის!
მე კარგად ვიცი, ვინ ხარ და რა ხარ,
შენ სხვას უამბე სიმდიდრე შენი!

მე კარგად ვიცი – არწივის ჭანგი!
მე კარგად ვიცი – მამულის მწყემსი!
ცოტაა მხოლოდ ლექსი და ჩანგი!
ცოტაა მხოლოდ ჩანგი და ლექსი!
მე ვიცი, რაა არწივის ჭანგი!
მე ვიცი, რაა მამულის მწყემსი!

მწყემსო კეთილო, თავაწეული
ცად აწკრიალებ კისერს – სალამურს!
ლექსი ხარ – ცეცხლად გარდაქცეული,
რომ გულს ქართვლისას მიესალამო!
მწყემსო კეთილო, თავაწეული
ცად აწკრიალებ კისერს – სალამურს!

მესმის ამაყი შენი ძახილი:
– სირცხვილი მონას და ისიც მგოსანს! –
ნისლში ფრიალებს შენი სახელი,
შენი ლომური ჭაღარა მოჩანს...
მესმის ამაყი შენი ძახილი:
– სირცხვილი მონას და ისიც მგოსანს!

სხვა საუკუნე მოდის და მოვა

და წავა შავი წარსულის ჯანღი!
შენ გიყვარს მეტი ქართველი ხალხი!
სხვა საუკუნე მოდის და მოვა
და წავა შავი წარსულის ჯანღი!

თეთრად ჩაცმული, ფეხშიშველი და დაქანცული,
ეტლს მიაქროლებს ოცდაათი ტურფა ქალწული,
შენ, ღვთაებრივი, იმ ეტლში ზიხარ,
გეკითხებიან: – ასეთი ვინ ხარ?!
და შენც პასუხობ, ღიმილის მჩენი:
– მამა ვარ თქვენი!

მე კარგად ვიცი, ვინ ხარ და რა ხარ!
შენ სხვას უთხარი სიდიდე შენი!
ღვთაებრივ ჩანგით, ჰა, ფეხზე დგახარ –
მკერდს თეთრი ვარდის აკიდო გშვენის!
მე კარგად ვიცი, ვინ ხარ და რა ხარ!
შენ სხვას უთხარი სიმდიდრე შენი!

და მიქრის ეტლი, და დაღლილ ქალწულთ
არც შეჩერება,
არც ეტლიდან გამოხსნა არ სურთ –
თავს უზენაეს ბედქვეშა რაცხენ...
სულმნათო! შენი მირონი აცხე
მათს ნათელ შუბლებს, მოჰფინონ რათა
ათასწლეულებს ძენი თვისნი, რომ, ოდეს ეტლით
შენ ჩაუქროლებ საუკუნეებს,
მათ
ყვავილები მოგაყარონ
მეტი და მეტი!

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ აკაკი წერეთლის მხატვრული სახის შესახებ მოცემული ლექსის მიხედვით;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

25.

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი დავით კლდიაშვილის მოთხრობიდან „სამანიშვილის დედინაცვალი“ :

გულჯავრიანი პლატონი ერთხანად გაუძღვა თავის გახრეკილ ცხენს, მაგრამ ბოლოს მოთმინება დაეკარგა განუწყვეტლად აღვირის ქაჩვითა და შეძახებით.

– შენც ჯინაზე მიდგები, შე ოხერო? – გააჩერა მან ცხენი და გულმოსული მოაჯდა ზურგზე, გადაჰკრა წკეპლა და ფერდებგამობზეკილი ცხენი აძუნძულდა. – შენ მაინც მოგერევი, სხვასთან თუ ვერაფერი გავაწყვე!.. კიდევ დამიდგები ჯინაზე?! – და მან შეუბრალებლად გადუჭირა და გადუჭირა წკნელი, მაგრამ პლატონის გასაჯავრებლად და თითქოს მისი დაქადნების გასამტყუნებლად ამ გახრეკილმა პირუტყვმაც მალე იძულებული გაჰხადა მხედარი ხელახლა ჩამოექვეითებინა. ამგვარის დაჯაბნებით ყველასაგან გულდამწვარმა პლატონმა გაიგდო წინ ეს გახრეკილი პირუტყვი და, უკან ფეხდაფეხ მიმყოლი, გრძელი წკეპლის ცემით მიერეკებოდა ჯახრაკ ცხენს.

ნახევარზე მეტი გზა გაიარა პლატონმა თავისუფლად ისე, რომ მიმავალ-მომავალი კაცი არ შეხვედრია; ასე თავისუფლად მიმავალი იგი თავის ფიქრებში იყო გართული, თავის მგზავრობის აზრის აღსრულებით იყო გაბრუებული. უეცრივ ცხენის ფეხის ხმა მოესმა პლატონს; მიიხედა უკან და უკმაყოფილებით პირი ისევ გამოიბრუნა, – ვიღაც ხანშიშესული კაცი მოათოხარიკებდა მაღალ ცხენს.

– ჰეი, თქვენი, თქვენი!.. – თავისთვის წაიდუდუნა პლატონმა. მას ახლა ყოველი მოხუცებული კაცის დანახვა ეჯავრებოდა თავის მამის გამო.

– გამარჯობა, ყმაწვილო! – შესძახა წამოწეულმა ცხენოსანმა.

– ღმერთმა გაგიმარჯოთ, ბატონო! – მიუგო პლატონმა და დარცხვენით შეაჩერა თავისი ცხენი.

პლატონმა ახლა იცნო, ვინც იყო ეს ჩასუქებული, წვერებმოპარსული, კაზიროკ-ქუდიანი, ქოლგით იღლიის ქვეშ, წითურის სახის კაცი და იმიტომაც დაატანა თავის პასუხს: „ბატონო“; იგი იყო იმ კუთხეში ცნობილი, სახელის მქონე აზნაური ივანე გვერდევანიძე, სოფლის ადვოკატი.

– სად მიხვალთ, ყმაწვილო? – შეეკითხა გვერდევანიძე პლატონს.

– აგერ გიახლებით, ბატონო, მაღალშენში! – და პლატონი შეჯდა ცხენზე.

– კაი დაგემართოთ! აბა მგზავრები ვყოფილვართ ამ ერთ ხანაზე!..

ეწყინა ეს პლატონს. ათასწილად ერჩია მარტოდ, თავისუფლად მგზავრობა, მაგრამ ახლა მეტი გზა აღარ ჰქონდა, ხათრს ხომ არ გაუტეხავდა ამ მოსახათრებელ კაცს, უნდა ერბენინა თავისი გაძვალტყავებული ცხენი გვერდევანიძის თოხარიკთან.

– რა ხანია მოვდივარ და ერთი კაცი არ შემხვთომია, რომ ხმა გამეცა ვისთვისმე... მოვდივარ ასე მუნჯად! – თქვა გვერდევანიძემ.

– სად ბრძანებულხართ აქეთ, ბატონო? – რომ ხმა ამოეღო, შეეკითხა პლატონი.

– ქვედურეთში ვიყავი... ბრეგაძეები არიან, აზნოუშვილები... შენი მტერი იქნა დამსილი და დაგლახაკავებული, ისინი დამსილი არიან... და, რავარც იცით ახლანდელი ჩვენი აზნოუშვილების ამბავი, გაყოფა უნდათ, მაგრამ გასაყოფი რომ აღარაფერია! ერთი მეორეს წაგლეჯაზეა გამაცადინებული, რამე ხერხით უნდა მეტი რამ ირგოს, ერთმანეთს აღარაფერს ანებებენ და ჭიჭყინობენ, დავიდარაბობენ, ჩხუბობენ დილიდან საღამომდის, ჰკლავენ ერთმანეთს...

– ცუდი დრო მოვიდა, ბატონო, ერთობ ცუდი დრო!.. ხალხიც მომრავლდა... ჩხუბით თუ გაიწმინდება ცოტაზე მაინც ქვეყანა, თვარა... მაგრამ ეგ თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რასაკვირველია! – შენიშნა თავის მხრივ პლატონმა.

– შეიძლება, შეიძლება! – დაატანა გვერდევანიძემ. – ჰო და იმას ვამბობდი, ამ ბრეგაძეებმა მთხოვეს მათში ჩამოვვარდნილიყავი და რამე რიგად გამერიგებინა ისინი... ხელის მოსაკიდებელი საქმე არაა, არც გავერევოდი, მართალი გითხრა, ნამეტანი შეუსმენელი და დაუჯერებელი ხალხია, მაგრამ უარი ვეღარ ვუთხარი, უფრო იმიტომ, რომ ჩემი ნათესავი ქალია იმ ოჯახში... დედინაცვალია ამ ბრეგაძეების და მათ ჩხუბში და უწესრიგობაში საწყალი ქვრივი დედაკაციც ნამეტანი შევიწროვებაში ჰყავთ... სიცოცხლე გოუმწარეს უბედურს!..

– თუ შვილი ჰყვანდა მაინც ამ დედინაცვლობაში?! – წამოსცდა პლატონს სრულიად უნებურად.

– აჰ! შვილი არც უწინდელი ქმრის ხელში ყოლია და არც ამ მეორე ქმრის ხელში! უბედური, უშვილო, ერთი საწყალი დედაკაცია, იმიტომაც უფრო მებრალება... გერები ოუტყდნენ, აი ისე, როგორც იცი ღარიბი ოჯახის ამბავი... დედინაცვლის შენახვა კი არა, თავისი თავი ძლივს გამოაქვთ წლიდან-წლამდინ!.. მამის ხელში ქე იყო ისე ერთგვარი ოჯახი და ახლა სამად გასაყოფი რომ შეიქმნა, ამ დედინაცვალსაც თავისი წილი საქვრივო გამოსაყოფი შეექმნა, – არც ერთს აღარაფერი ურჩება და, რასაკვირველია, ჭიჭყინობენ, ერთმანეთს ედავებიან, ერთიმეორეს ხელიდან გლეჯენ, თუ რამ ხელში ხვდათ...

ასე ლაპარაკობდა გვერდევანიძე, მაგრამ მისი სიტყვები პლატონის ერთ ყურში რომ შედიოდა, მეორე ყურში გადიოდა; მისი ყურადღება სრულიად იმან დაიპყრო, რომ ამ კაცისაგან იმ ქვრივ, გაწვალებულ დედინაცვალზე გაიგონა. ეს სწორედ ძვირფასი რამ გასაგონი გაიგონა პლატონმა...

ტკბილად მიმუსაიფობდნენ ჩვენი მგზავრები და ამ ლაპარაკში პლატონისათვის დროც შეუმჩნევლად გადიოდა და გზაც ერთობ მოკლდებოდა. კიდევ დიდი სიამოვნებით ივლიდა ამ კაცთან იგი, რომ უეცრად თავისი გადასახვევი გზა არ დაენახა. პლატონმა შეაჩერა ცხენი და თავდაბლად მიმართა გვერდევანიძეს:

– მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო.

– ოჰ! აქეთ მიდის თქვენი გზა?

– დიახ, ბატონო!.. ნურას უკაცრავად... გეახლებოდით ერთ ხანს კიდევ, რომ საჭირო საქმე არ მქონდეს სწორედ...

– რატომ, რატომ, შე კაცო!.. იცოცხლეთ, აწი მეც მალე მივალ სახლში... მშვიდობით!

– მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ისე ფეხს რავა მოუკრავს ადამიანს ღმერთი, რომ არავინ შეგხვდეთ კიდევ?! – საამებლად გააყოლა გვერდევანიძეს სიტყვა პლატონმა და მერე თავის გზაზე გადაუხვია.

– ასე კარგია კაი კაცის შეხვთომა! – ამბობდა გუნებაში პლატონი. – ჰა, ქვედურეთში, ბრეგაძეებისას... სამი ძმა ყოფილა... გამოვიკითხავ და, თუ რიგიანი ვინმეა... გვერდევანიძის ნათესავია, მარა ეგებ ვინმე ოხერი გვარიშვილის იყვენ... ყველაფერს გევიგებ... ეს ხომ გულში მეყოლება, თუ დარიკომ სხვასთან ვისთანმე არ მიმასწავლა... გევიგებ ამბავს და, თუ ღვთის რისხვა არაა, კიდევაც გავათავებ საქმეს... კი, კი, ასე ვიზამ, ასე ვიზამ! – ხმამაღლა წამოიძახა პლატონმა და ამ წამოძახებასთან – ალბათ, პირუტყვმა სხვა რამ იფიქრა – ცხენიც გაჩერდა. პლატონმა ერთი-ორი „აჩუ“ მიაძახა, ქუსლიც შემოარტყა ფერდის ძვლებზე, წკეპლაც გადუჭირა, მაგრამ ცხენი ისევ იმავე ადგილას იდგა, ფეხსაც არ იცვლიდა.

პლატონი იძულებული შეიქმნა ჩამომხტარიყო. დაინახა მქელავი, არაქათგამოლეული, ერთიანად გაოფლიანებული ცხენი, რომელსაც აბურძგვნილი ბალანი საცოდავ შეხედულებას აძლევდა და მხედარმა თავში ხელი შემოიკრა:

– ეს მუდრეგი რაღა მოსახმარი იქნება აწი? სულ ერთიანად გადატყაული ექნება ამ უპატრონოს ზურგი... აჩუ! – მიაძახა გულმოსულმა და თან ჯოხიც გადაჰკრა.

შეღავათმიცემული ცხენი მისუსტებული, აძიგძიგებული ნაბიჯით აპოლიკდა ქვებიან ბრეკზე და რაც შეეძლო, რაც ღონე ჰქონდა შერჩენილი, მიჩანჩალებდა და ცდილობდა, უკან ჩამოეტოვებინა თავისი ჩამოქვეითებული მხედარი, რომ მტკივან ზურგზე არ შესკუპებოდა ხელახლად. რამდენსამე მანძილზე კიდევაც აუსრულდა წადილი გასაჭირში ჩავარდნილ პირუტყვს, მაგრამ ბოლოს პლატონი მაინც დაეწია, გააჩერა და მარდად მოახტა ზურგზე. ამ კაცმა თავისი თავმოყვარეობის დაცვა ამჯობინა მის შებრალებას და სიძის ჭიშკრამდის ამხედრებული მივიდა.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ პლატონის მხატვრული სახის შესახებ;

- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

26.

ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხიდან სწერს ტარიელს:

„აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა,
არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალ-გვართა,
კვლაცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად საომართა;
ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა!

ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივს გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შემბმელთა დაჰხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

ნუთუ ესენი გეგონნენ სხვათა მებრძოლთა წესითა!
ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა;
შენ მკვდარსა გნახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა;
მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა!

შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა,
ჩემი სთქვა: „სხვათა მიჰხვდების იგი ალვისა ტანითა!“
არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა;
ან თავსა კლდესა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა.

შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხვდეს მთვარე შენი!
შენმან მზემან, ვერვის მიჰხვდეს, მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი.
აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი.
სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი!

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა,
მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.

მზე უშენოდ ვერ იქნების, რათგან შენ ხარ მისი წილი.
განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი!

მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;

მომეგონოს მოშორვება, მემატების წყლული წყლულსა;
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!

წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აუპყრობელსა,
გულსა ალხინე ჩემისა მოშორვებისა მთმობელსა,
მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა!

რაცა ვიჩივლე, ბედისა ჩემისა კმა საჩივარად!
ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად!
შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყივარად,
ვირე ცოცხალ ვარ, მეყოფი სატირლად და სატკივარად.

აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა!
გარდმიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა;
ესეღა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.
რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა“.

ესე წიგნი, საყვარელსა მისსა თანა მინაწერი,
რა დაწერა, გარდაჰკვეთა მათ რიდეთა ერთი წვერი.
თავ-მოხდილსა დაუშვენდა სისხო, სიგრძე, თმათა ფერი,
ალვისაგან სული მოქრის, ყორნის ფრთათა მონაბერი.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ნესტანის მხატვრული სახის შესახებ მოცემული ტექსტის მიხედვით;
- იმსჯელეთ ამ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

27.

ყურადღებით წაიკითხეთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „წიგნი“[9]:

მე ის კაცი ვარ, – ჩათქმული ღიმილით დაიწყო მუხლებზე ხელებდაბჯენილმა მოხუცმა, – მამაშენის მოკვლა რომ დამევალა. ხომ ხვდები, როდის უნდა ყოფილიყო ეს? ჰო, ოცდაოთხ წელში. ვეშაძეც ხომ გაგიგონია, მოჭიდავე? მოვიდა ჩემთან მაგ ვეშაძის გერი, წრუტი. მე გოდორსა ვწნავდი სახლის გვერდზე, ჩამომიცუცქდა, დამიწყო გოდრის წნელების გადაწვნა, მე აქედან ვწნავ, ის – იქიდან, და ამ წნელების ჟაპაჟუპში მეუბნება, – ამაღამ სამელეში ამოხვალ ანტონეს ნაბინავართანო. რა მინდა-მეთქი, – ისაო, რომაო, ი წიგნებს რო ჩაჰყურებ დღე და ღამე, სამშობლო გეძახის, დედა საქართველოო. თვრამეტი წლისა ვარ, მკლავიც გამაგრებული მაქვს, კისერიც, უღელში რომ შემაბა,

[9] ტექსტი მოცემულია მცირეოდენი შემოკლებით.

მოზვერს გავუწევ, თან, მართლა, წიგნები მიყვარს, თუ კითხვა დავიწყე, ზარბაზნის ხმაზე თავს არ ავწევ. ერთი შემომხედა წრუტმა. ერთი შევხედე და ამით დავამთავრეთ ლაპარაკი...

შებინდდა და წავედი. ჩავიდე ხანჯლისშვილი აექ, შარვლის სალტაში და წავედი სამელეში. ისეთი მივდივარ, ჩემი მგონია ქვეყანა. მივედი ანტონეს ნაბინავართან, პატარა შუქი გამოკრთის, შევიხედე, შევედი. წრუტი ზის, წრუტის მამინაცვალი და ორიც კიდევ სხვა. მიიწ-მოიწიეს, აქ დაჯექიო. დავჯექი. ცოტა ხანში კიდევ ხუთნი მოვიდნენ; ბოლოს მოვიდა ტორიანი, ეგაც ხომ გაგიგონია, დიდი მამულების დამკარგავი, ციხეში ნაჯდომი. ტორები ჰქონდა, მართლა რა, ვაშლივით დაიჭერდა ადამიანის თავს. დაჯდა, მუხლებზე დაიწყო ის ტორები საზარლად, გახსნა კრება, როგორც წესია და რიგი. თვითონვე ილაპარაკა: – დიდი საქმე იწყება, მთელი ქვეყანა ფეხზე დგება, ერთ ღამეში მოეღებათ ბოლო ბოლშევიკებსო. ახლა ეს არის საჭირო: წინასწარ უნდა ჩამოვიცილოთ რამდენიმე კაციო. ჩვენთან, პირველ რიგში, უნდა მოიკლასო, მამაშენზე ამბობს, მაგათი უჯრედის მდივანიო. ის უნდა მოკლასო... – შემოგვატარა თვალი, დამაცქერდა, – ვისითაც სუნთქავს სამშობლოს მომავალიო. ჩემკენ იშვერს თითსაც. – ამით აიღებ მამაშენის სისხლსაცაო. მამაჩემი ვაზიანის ბრძოლაში დაიღუპა, – სხვა დავალებებს სხვები სხვა დროს მიიღებთო.

დანარჩენები ისე ისხდნენ, თითქოს შეშურებოდეთ, ასეთი სასიამოვნო დავალება რომ მე მხვდა წილად. ბერდენკას გადმომცემდა წრუტი, ბერდენკას და ვაზნებს. რა დამჭირდებოდა შემდეგში, ფული იქნებოდა თუ რა, ვალდებულებას კისრულობდნენ, ყველა ამომდგომოდა მხარში. ყოველგვარი ღალატი ისჯებოდა სიკვდილით. ამოიღო მეტრიანი ხანჯალი ტორიანმა, დაიჭირა კელაპტარივით სწორად, მოსჭიდეთ მარჯვენა ხელი ყველამაო. მე სულ წვერი მომიწია. – ამ ხანჯალზე დაგვიფიცნიაო! ხანჯალი იყო, ბუზი შეეჭრებოდა ზედ, მერე, – აკოცეთო, – ანიშნა ჩემზე. გადამკოცნა ყველამ.

– დაუმტკიცე შენს ხალხს, რომ არ გადაგვარებულა ჩვენი ჯიში და ჯილაგიო.

მე ისე ვარ შეპყრობილი მამაჩემის სისხლის აღების წყურვილით, არაფერზე დავიხევ უკან. თანაც რა არის კიდევ, ყველანი დიდები არიან. მე ვარ ყველაზე პატარა და, მე რომ მავალებენ საქვეყნო საქმეს, ესეც მეამაყება...

ძველი საკრამიტეს აქეთ, დიდ ტინთან უნდა დამეცადნა, იქ მოვიდოდა წრუტი, იქ მომიტანდა ბერდენკას. მივჯექი ტინთან, დავუცადე. მოვიდა წრუტი, მომცა ბერდენკა, ახალთახალი, ნავთის სუნი ასდიოდა ისევ. ბერდენკა მომცა და ათი ცალიც ვაზნა. თოფი რომ დავიჭირე, იმან ხომ მთლად გამაბუმბერაზა. ძალიან ცუდი ძალა აქვს იარაღს ამ მხრივ. გგონია, მთლად თავისუფალი ხარ და ვეღარც ვეღარავინ გძლევს ქვეყანაზე. წამოვიღე ბერდენკა და ჩვენი თუთის ფუღუროში დავმალე. სამი-ოთხი დღე მამაშენს ვუთვალთვალებ... შევატყვე, ღამეს ერიდება, მზის ჩასვლისას გამოივლის ღიჭიან ტყეს, შებინდდება და უკვე შინ არის. შინიდან კიდევ უიარაღოდ არ გამოიხედავს გარეთ.

გადავიტანე ღამით ბერდენკა ღიჭიანში, ახლა იქა მაქვს დამალული. გავიდა მთელი კვირა, ტორებიანი შორიდან მიღრენს, აღარ შეიძლება მეტი მოცდა და ავედი ერთ მზის ჩასვლისას ღიჭიანის დიდ მუხაზე. ხომ გახსოვს ის დიდი მუხაც, ტოტები ისე ჰქონდა გადმოშლილი, ქვეშ უნდა გაევლო გამვლელ-გამომვლელს. თან შეხორხლილი იყო ღიჭით და სუროთი. შევიმალე შიგ, ვარ ეგრე. ჩავიდოდა მზე და გამოჩნდებოდა მამაშენიც. თუ დაიგვიანებდა, მით უკეთესი. ლურჯა ცხენი ჰყავს, თუშური ქუდი ახურავს, მხარიღლივ ჩანთა ჰკიდია, იარაღიც აქვს – ბრაუნინგი, შვიდვაზნიანი...

ჩავიდა მზე, ჩამუქდა ქვეყანა და გამოჩნდა კიდეც მამაშენი. დამიარა ჟრუანტელმა ტანში. როგორია, ჰა, კაცის მოკვლა! მერე შენი სოფლელისა, რომ იცნობ, გიცნობს, გამარჯობას ეუბნები. თანაც პატარა შვილები ჰყავს, კიბეზე ელოდებიან. თავიც საშინელებითა გაქვს გამოტენილი – მკვლელს მოკლულის სისხლი არ მოასვენებს, რამდენსაც ხელს წაიღებს ხორცისაკენ, იმდენი მოკლული დაუდგება წინაო. ეს მამაშენი კიდევ როგორ მოდის! მოშვებული ჰყავს ცხენი თავის ნებაზე, ხელში წიგნი უჭირავს და კითხულობს. უკვე ბინდდება, ალბათ ასოებს ძლივს არჩევს და მაინც კითხულობს. ხომ გითხარი, წიგნის კითხვა მეც მიყვარდა. დღესაც ზეპირად ვიცი

„გამზრდელი“ და „ალუდა ქეთელაური“, კიდევ ბევრი სხვა. ნეტავ რა წიგნია, ესე ჩატკბობით რომ ჩაჰყურებს-მეთქი. ვაკვირდები, მაგრამ მარტო ის გამომაქვს, რომ ყვითელი ფურცლები აქვს, მიძონძებულიც არის ცოტა. გადააბრუნა მეორე მხარეს, იქ რაღაცა ეხატა, გადაშალა ის ფურცელი ღიმილით და ეგრე ღიმილითა და კითხვა-კითხვით გამიარა ქვეშ. უცებ გამახსენდა, რისთვისაც მეჭირა თოფი. ავწიე, მივიდე მხარზე, მაგრამ ისევა ვხედავ, ზურგიდან ვხედავ, ეცინება მამაშენს, კუჭკუჭებს სიცილით... – არა, მე ამგვარი საქმისთვის არ გამოვდგები-მეთქი. – ჩამოვედი მუხიდან, დავმალე ბერდენკა იქვე, ტყეში და წამოვედი და წამოვედი ქალაქში.

რამდენი წელია გასული მას შემდეგ და დღესაც მაინტერესებს, რა იყო, რა წიგნს კითხულობდა მაშინ მამაშენი. ბევრჯერ შევხვედრივარ შემდეგში, მაგრამ მაგაზე ხმას როგორ დავძრავდი, გვეკუთვნოდა კი, იმასაც და მეც, ხატივით გვქონოდა დასვენებული ის წიგნი...

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ მთავარი გმირის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

ბ) შეფასების კრიტერიუმები:

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **30.** თუ აბიტურიენტის ნაშრომი მოცემული ტექსტის პერიფრაზია, თითოეული მითითება მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით არის შესრულებული ან ტექსტი მთლიანად არაადეკვატურადაა გაგებული (ანდა გაურკვეველი კალიგრაფიის გამო ნაშრომის წაკითხვა ვერ ხერხდება), ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება***.

დავალების ესა თუ ის მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ **ერთი-ორი** წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ნაშრომი, რომლის მოცულობაც 120 სიტყვას არ აღემატება, VIII, IX და X კრიტერიუმებით არ შეფასდება!

I კრიტერიუმი

№	*მოცემული ტექსტის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	ტექსტი *ღრმადაა* გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	4
2.	ტექსტი *ადეკვატურადაა* გაგებული.	3
3.	*ერთ* შემთხვევაში შეინიშნება ტექსტის არაადეკვატური გაგება.	2
4.	*ერთზე მეტ* შემთხვევაში ტექსტი *არაადეკვატურადაა* გაგებული.	1
5.	ტექსტი *მთლიანად არაადეკვატურადაა* გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას და ***კარგადაა ორგანიზებული,*** აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	3
2.	ნაშრომი უპასუხებს ***სამ*** მითითებას, თუმცა ტექსტი არ არის კარგად ორგანიზებული ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა გამოყოფილი;*** ან ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას, თუმცა ***ტექსტი არ არის*** კარგად ორგანიზებული ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა გამოყოფილი;*** ან ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას, თუმცა ***ტექსტი არ არის*** ორგანიზებული ან/და აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	*დავალების (მითითებების) ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალება ***ადეკვატურად*** არის გააზრებული, არ არის საკითხიდან გადახვევის არც ერთი შემთხვევა (ისეთი ფაქტის, მოსაზრებისა თუ ციტატის დამოწმება, რომელიც განსახილველ საკითხს არ უკავშირდება).	2
2.	დავალების პირობა ძირითადად ***ადეკვატურად*** არის გააზრებული, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ***არაადეკვატური*** გაგება ან არის საკითხიდან გადახვევის ორიოდე შემთხვევა (ისეთი ფაქტის, მოსაზრებისა თუ ციტატის დამოწმება, რომელიც განსახილველ საკითხს არ უკავშირდება).	1
3.	დავალების პირობა ***არაადეკვატურადაა*** გააზრებული.	0

IV კრიტერიუმი

№	*მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***სამივე*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** (არგუმენტირებულია) და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით.	6
2.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	5
3.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	4

4.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	3
5.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ***მეორე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	2
6.	***სამივე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	1
7.	***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ან მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ანდა ***ერთი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული.	0

V კრიტერიუმი

№	*ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***დამაჯერებელია, გამოყოფილია არაერთი*** მხატვრული საშუალება და დამოწმებული მაგალითები ***სწორია.***	3
2.	მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***დამაჯერებელია, გამოყოფილია არაერთი*** მხატვრული საშუალება, თუმცა ერთ შემთხვევაში მაგალითი ***არასწორია*** ანდა მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***არადამაჯერებელია,*** თუმცა ***გამოყოფილია არაერთი*** მხატვრული საშუალება და დამოწმებული მაგალითები ***სწორია.***	2
3.	ნაშრომში არის მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, მაგრამ ***არ არის*** გამოყოფილი ***არცერთი*** მხატვრული საშუალება; ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, მაგრამ ***გამოყოფილია რამდენიმე*** მხატვრული საშუალება, თუმცა დამოწმებულ მხატვრულ საშუალებათაგან ერთი ***არასწორია.***	1
4.	ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, გამოყოფილი მხატვრული საშუალებები ***არასწორია*** ან ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.	0

VI კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათ-ლება.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	0

VII კრიტერიუმი

№	*ფაქტობრივი სიზუსტე*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	0

VIII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატუ-ლი, შერჩეულია დასმული ამოცანის ***შესაფერისი სტილი,*** გვხვდება ორიოდე სტილისტიკური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტადაა*** გამოხატული, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება რამდენიმე სტილისტიკური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ***ლექსიკა მწირია,*** გვხვდება არაერთი სტილისტიკური ხარვეზი.	1
4.	თხზულება სტილისტიკურად ***გაუმართავია*** (ზოგიერთი მონაკვეთის აზრის გაგება ჭირს).	0

IX კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია-ორთოგრაფია და სინტაქსი*	*ქულები*
1.	არ არის ***ორზე მეტი*** შეცდომა.	3
2.	არ არის ***ოთხზე მეტი*** შეცდომა.	2
3.	არ არის ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	1
4.	დაშვებულია ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	0

X კრიტერიუმი

№	*პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***სამზე მეტი*** შეცდომა.	2
2.	არ არის ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	0

გ) კომენტარი

აბიტურიენტმა დაკვირვებით უნდა წაიკითხოს ტექსტი, ყურადღება გაამახვილოს იმ მითითებებზე, რომლებიც მოსდევს ყოველ ტექსტს და რომელთა მიხედვითაც უნდა დაიწეროს მოცემული ტექსტის ანალიზი. მან უნდა გაიაზროს ავტორის მთავარი სათქმელი, ტექსტის მიზანდასახულობა, დაახასიათოს პერსონაჟი და ახსნას მისი ქცევის მოტივაცია, ყურადღება მიაქციოს ტექსტის სტილურ და ტროპულ თავისებურებებს. აბიტურიენტი უნდა მოერიდოს ფუჭსიტყვაობას, იმსჯელოს მკაფიოდ და გასაგებად. ხშირ შემთხვევაში აბიტურიენტები არგუმენტირებული მსჯელობის ნაცვლად ტექსტის ვრცელი მონაკვეთების (იშვიათად – მთელი ტექსტის) ***შინაარსს*** გადმოსცემენ, წერითი დავალების პირობა კი მხატვრული ტექსტის ***ანალიზს*** (შესაბამისად – ***მსჯელობას)*** მოითხოვს. მხოლოდ შინაარსის გადმოცემა ან პერიფრაზი, თუნდაც სრულიად უშეცდომო, დადებით შეფასებას ვერ დაიმსახურებს.

მსჯელობისას, რასაკვირველია, დასაშვებია სხვა ტექსტების, ციტატების მოხმობა, თუმცა დამოწმებული მასალა უნდა იყოს დავალების პირობის ***ადეკვატური,*** გარდა ამისა, ციტირებისას აუცილებელია სიზუსტე. ციტატაში დაშვებული შინაარსობრივი თუ ენობრივი შეცდომები შეფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.